საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№41 (606)
17 - 23 ნოემბერი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



«რატომ დასცინით ადამიანებს?» – ლუკაშენკომ მთავრობის წევრებს კოვიდისტერიკის აღკვეთა მოსთხოვა 24



## საქართველო – ჩვენი ევრო-ამერიკელი დაუძინებელი მეგობრების მეწველი ძროხა

მხოლოდ ბილდტის კომპანიის ანგარიშზე საქართველოს ბიუჯეტიდან 97 მლნ ლარია შესული 2

მამა ბასილი (მკალავიშვილი):



8-9 ზიარება მონანულს, მარხულს ეკუთვნის. შიმშილობა ეკლესიურად აკრძალულია



3

რას მოუტანს რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება საქართველოს

მალხაზ ბახია:



4 საქართველოში უნდა დაფუძნდეს «სახელმწიფო საბჭო» და ამ ორგანიზაციას უნდა შეუერთდეს ჟაჟიას პოლიტიკისა და მისი იდეის გამტარებელი ადამიანები



მკვიდრი მოსახლეობის დაბერება, შობადობის კლება – ქართველი ერი გადაშენების გზაზეა 10



ევროპული ფაშისტური მოძახილი და ქართული პოლიტიკური ბანი 6-7



უკრაინის შემდეგ საქართველო 15

მიმასთვის დამამჭრალნი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქალბატონი კრამონი რატომ არ აკრიტიკებდა „ნაცმოძრაობას“? იმიტომ ხომ არა, რომ მათგან სარგებელს იღებდა და ახლა ეს არხი გადაკეტილია? და მაშინაც და ახლაც დასავლეთმა ხომ ყველაფერი იცოდა? იცოდა, რა ხდებოდა ქართულ ციხეებში, იცოდა იმ უსამართლობის შესახებ, რომელსაც სჩადიოდა წინა ხელისუფლება, დეტალებში იცოდა გირგვლიანის, რობაქიძის საქმეები, მაგრამ პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ წინა ხელისუფლება რუსეთის მიმართ ატარებდა ზუსტად ისეთ პოლიტიკას, როგორიც დასავლეთს სურდა, და სანაცვლოდ ნაციონალური ხელისუფლება იღებდა ხელშეუხებლობის გარანტიას.**

# საქართველო — ჩვენი ევრო-ამერიკელი დაუძინებელი მეგობრების მეწველი ძროხა

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი კვლავ ციხეშია; ციხეშია იმიტომ, რომ ასე გადაწყვიტა ქართულმა სასამართლომ. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კი სჯერა, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის მისჯილი 6 წელი ძალიან ცოტაა იმ დანაშაულებიდან გამომდინარე, რომლებიც ხელისუფლებაში მისი ყოფნის პერიოდში მოხდა. არის დანაშაულები, რომლებზეც ექსპრეზიდენტი ხელებს შლის, მე რა შუაში ვარო, მაგრამ, რეალურად, ქვედა რგოლი ვერ გაბედავდა მათ ჩადენას, უმაღლესი ხელისუფალის ნება რომ არ ყოფილიყო. მოლოდინისამებრ, სააკაშვილს დამცველები ევროპა-ამერიკაში გამოუჩნდნენ. მოლოდინისამებრ იმიტომ, რომ თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ არაერთი დასავლელი გამოკვება ქვეყნის ბიუჯეტით და მათი კეთილგანწყობა მილიონობით დოლარის გადარიცხვით მოიპოვა.**

## ხელისუფლების საყურადღებოდ: კუჭი მხოლოდ ევროპარლამენტარებს კი არა, რიგით ადამიანებსაც აქვთ!

„აღმაშფოთებელია, რომ მიხეილ სააკაშვილს საკუთარ სასამართლო პროცესზე დასწრების უფლებაც კი არ მიეცა. სტალინის საბჭოთა პერიოდში მოსკოვის ცნობილი საჩვენებელი სასამართლო პროცესებიც კი არ წასულა ასე შორს“, — ეს განცხადება შვედეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **კარლ ბილდტმა** გააკეთა.

თავის დროზე ბილდტი, მართლაც, ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკოსი იყო ევროპაში და მისი ზენიტში ყოფნა ემთხვევა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდს. შესაძლოა, ბევრმა არც ის იცის, რომ ბილდტი პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა. ის იყო ცნობილი და გავლენიანი კოლსანტინგური კომპანია Kreab-ის გენერალური დირექტორი. სწორედ ამ კომპანიის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ „ზემოთ“ კაცი უნდა ჰყოლოდათ და არჩევანი ბილდტზე შეაჩერეს. **„ნაციონალური მოძრაობა“ კი კონკრეტულად KREAB-ს წლიურად 17-დან 20 მილიონ ლარამდე ურიცხავდა ევროპაში პიარის სანაცვლოდ და მართალია, ბილდტი ამტკიცებდა, ამ კომპანიასთან საერთო აღარაფერი მაქვსო, მაგრამ, ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი განზე რომ არ იდგებოდა, ცხადია. ბილდტი იყო ის კაცი, რომელიც 2003-2008 წლებში 11-ჯერ ჩამოვიდა საქართველოში, ის ერეოდა არა მხოლოდ ქვეყნის საშინაო საქმეებში, არამედ საკადრო გადაწყვეტილებებშიც.**

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შეფასებისას საქართველოში შვედეთის ელჩმა **ჰანს გუნარ ადენმა** პირდაპირ განაცხადა, რომ არჩევნები არ იყო გამჭვირვალე, რომ მისი ლეგიტიმურობა ეჭვს იწვევდა და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სამშობლოში ბილდტსაც უპატაკა. ბილდტმა ყველაფერი „კარგად“ გაიგო და... ადენი საქართველოდან გაიწვიეს. ეს იყო და არის ერთადერთი შემთხვევა დღემდე, როცა შვედეთმა საქართველოდან ელჩი ვადამდე გაიწვია. ბილდტზე კიდევ ერთი ვთქვათ და მოვრჩეთ — **2012 წლის არჩევნებამდე კარლ ბილდტი საქართველოში ჩამოვიდა და დაუფარავად განაცხადა, რომ საქართველო უკვე მიეჩვია დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და მომავალი არჩევნების შედეგის ქუჩაში გაპროტესტებას საჭიროდ და აზრი არ ექნებოდა. ანუ, ის დარწმუნებული იყო, რომ ნაციონალები კვლავ მოიგებდნენ და პრევენცია გააკეთა, ოპოზიცია ქუჩაში რომ არ გასულიყო. ჰოდა, არ არის გასაკვირი, ბილდტი ხმაღამოღებული რომ იცავს სააკაშვილს. უხეში დათვლებით, მისი კომპანიის ანგარიშზე საქართველოს ბიუჯეტიდან 97 მილიონი ლარია შესული და, რაღა თქმა უნდა, ეს თანხა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მას საქართველოს ხელისუფლებაში „მეწველი ძროხის“ დაბრუნება უნდოდეს.**

„საქართველო შეძრწუნებულია ციხეში ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ არასათანადო მოპყრობით. ამ ვიდეოების გავრცელება საქართველოს მთავრობის მიერ სავალალოა. საქმე სულ უფრო პოლიტიკური ხდება და „ქართული ოცნება“ უფრო და უფრო ემსგავსება წინა ხელისუფლებას. საქართველო უკეთესს იმსახურებს“, — ეს განცხადება კი ევროპარლამენტარ **ვიოლა ფონ კრამონს** ეკუთვნის.

დავიწყოთ იმით, რომ **ქალბატონ ვიოლას საქართველოზე წარმოდგენა არ აქვს,** რადგან მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან „შეძრწუნებული“ მიშას ციხეში ყოფნით. რაც მთავარია, **ვიოლა ფონ კრამონი ფონს იოლად გადის და ცდილობს, ნაციონალებიდან მიღებული თანხები მარტივად „გააპრავოს“. ჰო, ის თანხები, რომელსაც სწორედ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნისას იღებდა მათი მხარში დგომის სანაცვლოდ, მათი შავ-ბნელი საქმეების „გამწვანების“ სანაცვლოდ და...**

**კრამონს ერთი შეცდომა მაინც გაეპარა, როცა თქვა, რომ „ქართული ოცნება“ უფრო და უფრო ემსგავსება წინა ხელისუფლებას...“ რას ნიშნავს ეს? არის თუ არა ეს აღიარება იმისა, რომ წინა ხელისუფლება ვერ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ... სად იყო მაშინ ქალბატონი კრამონი და რატომ არ აკრიტიკებდა „ნაცმოძრაობას“? იმიტომ ხომ არა, რომ მათგან სარგებელს იღებდა და ახლა ეს არხი გადაკეტილია? და მაშინაც და ახლაც დასავლეთმა ხომ ყველაფერი იცოდა? იცოდა, რა ხდებოდა ქართულ ციხეებში, იცოდა იმ უსამართლობის შესახებ, რომელსაც სჩადიოდა წინა ხელისუფლება, დეტალებში იცოდა გირგვლიანის, რობაქიძის საქმეები, მაგრამ პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ წინა ხელისუფლება რუსეთის მიმართ ატარებდა ზუსტად ისეთ პოლიტიკას, როგორიც დასავლეთს სურდა, და სანაცვლოდ ნაციონალური ხელისუფლება იღებდა ხელშეუხებლობის გარანტიას.**


ანა ფოტიგა


კარლ ბილდტი


მეთიუ ბრაიზა


ვიოლა ფონ კრამონი

ისე არ გაიგოთ, თითქოს „ქართული ოცნება“ არ ფიქრობს ლობისტებზე და ბიუჯეტიდან სხვა ჯიბეებში არ მიდის მილიონები. მართალია, იმ ოდენობით არა, რამდენითაც წინა ხელისუფლების პირობებში, მაგრამ მაინც იხარჯება ჩვენი, თქვენი ფული და იხარჯება მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულმა ადამიანებმა მხარდამჭერი განცხადებები გააკეთონ. რეალობა კი სხვაგვარია და ეს არც წინა ხელისუფლებამ იცოდა და არც ამჟამინდელმა იცის: **პოლიტიკოსების გარდა, არავის არ აინტერესებს არც კრამონისა და არც ბილდტის აზრი. ჰო, გააჩერეთ ქუჩაში ასი, გნებავთ, ათასი ადამიანი, რიგითი მოქალაქე, ის მოქალაქე, რომელზეც საქართველო დგას, და ჰკითხეთ, მნიშვნელოვანია თუ არა ვიოლა ფონ კრამონის, კარლ ბილდტის ან ნებისმიერი ევროპარლამენტარის აზრი და გეტყვით, რომ მათთვის სულერთია, რას ფიქრობენ ისინი და უფრო მეტიც, მოქალაქეები გეტყვიან, რომ ზემოდასახელებულ პირებს არ უნდა ჰქონდეთ ქართულ პოლიტიკაში ჩარევის უფლება.** სად იყო ან ერთი ან მეორე, როცა ქართულ ციხეებში, ხმამაღალი პროტესტი კი არა, ხმამაღლა გაცინებაც კი უსასტიკესი ცემით ისჯებოდა? **სად იყვნენ ევროპარლამენტარები და ამერიკის ელჩი, როცა ციხიდან გამოსული ადამიანები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩურჩულით საუბრობდნენ, რადგან ჩვეულებრივი საუბრისთვის ციხეში სჯიდნენ?**

სამწუხაროდ, „ქართული ოცნებაც“ ანალოგიურ გზას ადგას და მაქსიმალურად ცდილობს, დასავლეთიდან ზეწოლა შეამციროს. არადა, ზუსტად იციან, **„ქართულ ოცნებაზე“ დასავლელი „პარტნიორების“ მხრიდან წნეხი პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული იმ თანხაზე, რომელსაც პიარკომპანიებსა და „ლობისტებს“ უხდიან.** ე.ი., მეგობრებისა და პარტნიორების აზრი იცვლება იმის მიხედვით, ვინ ვის და რამდენს უხდის. ეს ხომ ნათელი მაგალითია იმისა, რომ ყველა საკუთარ ჯიბეზე ფიქრობს და სინამდვილეში არავის ადარდებს, სააკაშვილს გადასხმას გლდანის ციხეში გაუკეთებენ თუ რესპუბლიკურ საავადმყოფოში. **ან რატომ არავინ ამბობს იმას, რომ, თუ სააკაშვილისთვის არ ვარგა ციხის საავადმყოფო, რატომ არის ის კარგი სხვა, რამდენიმე ათასი პატიმრისთვის?**

**მეთიუ ბრაიზაც** გემახსოვრებათ, კაცი, რომელიც ლამის საქართველოში დასახლდა და ჩვენი ხელისუფლება მის გარეშე ნაბიჯს არ დგამდა. ბრაიზამ ახლაც ამოიღო ხმა, აქაოდა, მიშას ნუ მიჩაგრავთო, და ნუ გიკვირთ, ასე რომ იქცევა. **სწორედ ბრაიზას „შეტენეს“ რამდენიმე მილიონი ნაციონალებმა ხელისუფლებაში ყოფნისას, სწორედ ბრაიზას გადაუხადეს საქართველოს ბიუჯეტის თანხით თურქეთში ქორწილი და პირველი ღამისთვისაც 5-ვარსკვლავიან სასტუმროში საპრეზიდენტო ნომერიც საქართველოს ბიუჯეტის ფულით უქირავეს.** ამერიკის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მეორე მოადგილე ხმამაღლა ამბობს, ქართული დემოკრატია საფრთხეშიაო და, ალბათ, მაშინ ყვაოდა, როცა „დემოკრატიული საქართველოს“ თანხებით პირველი ღამის ჟინს იკმაყოფილებდა.

ის ადამიანები, რომლებმაც საქართველოს წინა ხელისუფლების პერიოდში სხვადასხვა სიკეთე მიიღეს, აუცილებლად გააპროტესტებენ სააკაშვილის ციხეში ყოფნას. მათ მიღებული ფულის გამომუშავება აქვთ დაწყებული და არ გაჩერდებიან, სანამ ბოლო ცენტამდე არ დაიმსახურებენ საქართველოდან წაღებულ თანხებს. თუ ისე მოხდება, რომ მიშას გამოუშვებენ, მერე უკვე სხვა ტარიფი იქნება, სხვა მიდგომა და სხვანაირად მოწველიან საქართველოს.

დასასრულ, 12 ნოემბერს მიშას მოსანახულებლად ევროპარლამენტარი **ანა ფოტიგა** ჩამოვიდა, მაგრამ ციხეში არ შეუშვეს. ამის შემდეგ ფოტიგამ სოციალურ ქსელში შემდეგი სიტყვები დაწერა: **„ციხეში მიხეილ სააკაშვილის მონახულებაზე უარი მივიღე. ვწუხვარ საქართველოს მთავრობის მხრიდან გამჭვირვალობისა და კეთილი ნების ნაკლებობის გამო და ვიმეორებ, რომ ჯერ კიდევ არსებობს სიტუაციის მოგვარების შანსი. საქართველოს მთავრობა სრულადაა პასუხისმგებელი ყოფილი პრეზიდენტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე“.** ეს ის ფოტიგაა, რომელზეც ორიოდე კვირის წინათ პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, — ჩემი უფროსი არ არის და მაგის ჭკუაზე ვერ ვივლიო. შესადარებლად გეტყვით, რომ ნაციონალების მმართველობის პერიოდში პატიმრებს პაემნის უფლება თვეში ერთხელ ჰქონდათ და, ოჯახის წევრების გარდა, პაემანზე შესვლა არავის არ შეეძლო. იმხანად ფოტიგა, სავარაუდოდ, ამ ყველაფრით კმაყოფილი იყო, რადგან უხდიდნენ, ახლა კი არავინ უხდის და... ასეა, მშიერმა კუჭმა ყვირილი იცის. **ხელისუფლების საყურადღებოდ: კუჭი მხოლოდ ევროპარლამენტარებს კი არა, რიგით ადამიანებსაც აქვთ!**

**ბესო ბარბაქაძე**

ევროპაში არ არიან ისეთი სულელები, რუსეთთან მომაკვდინებელ ბრძოლაში რომ ჩაებან. ეგ კი არა, სწორედ ევროპა ცდილობს, მაქსიმალურად დაათბოს ურთიერთობა რუსეთთან, რადგან კარგად ხვდება, რომ სამომავლოდ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საკვები პროდუქტების წარმოების მხრივ ყველაზე მძლავრი მოთამაშე იქნება და, თუ მანამდე რუსეთს უწესებდნენ სანქციებს, უახლოეს მომავალში, სურვილის შემთხვევაში, სწორედ რუსეთს ექნება შესაძლებლობა, სანქციები დაუწესოს ბევრ კონტინენტს.

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას მოუტანს რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება საქართველოს

**1 დეკემბრიდან რუსეთი მზესუმზირის ზეთზე საექსპორტო გადასახადს ზრდის. რას ნიშნავს ეს? შესადარებლად გეტყვით: ნოემბერში ზეთის ექსპორტის გადასახადი 1 ტონაზე 194, 5 დოლარს შეადგენდა, დეკემბრიდან კი 276,7 დოლარი იქნება. მზესუმზირის ზეთზე საექსპორტო მცურავი ბაჟი რუსეთის ფედერაციამ 2021 წლის 1 სექტემბრიდან დააწესა და 2022 წლის 31 აგვისტომდე იმოქმედებს. შემდეგ კი მეგობარი ქვეყნებისთვის სხვა ტარიფი იქნება, დანარჩენებისთვის — სხვა, ანუ ზუსტად ისე, როგორც ხორბლის შემთხვევაში.**



**რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, პირველ რიგში, სტაბილურობის განცდას მოიტანს და ეს ეროვნულ ვალუტაზეც დადებითად აისახება; დაწესდება შეღავათიანი ფასები როგორც ენერგომატარებლებზე, ისე ხორბალზე, ზეთსა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტებზე. პარალელურად, ქართული პროდუქცია შეუფერხებლად გავა რუსულ ბაზარზე. ქართული პროდუქციის უდიდესი ნაწილი ახლაც სწორედ იქ იყიდება, მაგრამ პროდუქტების გატანა დამშვიდებული, დალაგებული და დიალოგის რეჟიმში მყოფი ურთიერთობების პირობებში უფრო ადვილი და მომგებიანი იქნება**

ბოლო 10 თვეში რუსეთმა 5,4 მლრდ დოლარის ღირებულების ზეთისა და ცხიმის ექსპორტი განახორციელა. ეს გასული წლის მონაცემებს 47%-ით აღემატება. და რაც ყველაზე საინტერესოა — **საქართველოსთვის რუსეთი მზესუმზირის ზეთის მთავარი მომწოდებელი ქვეყანაა.** მიმდინარე წლის 9 თვეში 25 257,6 ტონა ზეთის შესაძენად ქვეყნიდან 36,9 მლნ დოლარი გავიდა, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 42,9%-ით მეტია. 2030 წლისთვის რუსეთის ფედერაცია აუთვისებელი მიწების, სულ ცოტა, 30%-ის ათვისებას აპირებს და ამ ტეროტორიაზე, ხორბლის გარდა, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მოყვანასაც დაიწყებს. **მსოფლიო აღიარებს, რომ ბოლო ათწლეულში ყველაზე მეტად საკვები გაძვირდა და ეს ტენდენცია მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება. შედეგად, რუსეთი ცდილობს არა მხოლოდ ნავთობპროდუქტებით იყოს მსოფლიო ბაზარზე მთავარი მოთამაშე, არამედ კვების პროდუქტებითაც.** ხორბლის, ანუ მთავარი საკვები პროდუქტის მიმართ ეს კარგად გამოსდით და, ალბათ, სხვა მიმართულებითაც კარგად გამოუვათ. სახელმწიფო მთლიანად გადართულია წარმოებაზე და ამით არამხოლოდ ეკონომიკას განავითარებს, არამედ მოქალაქეთა ყოველდღიურ ყოფასაც.

„რა უნდა გაკეთდეს კავკასიაში? რუსეთთან დაპირისპირება არ არის სწორი და ევროპული გზა, ამისთვის ევროპას არც სამხედრო ძალაუფლება აქვს და არც სურვილი, მაგრამ მან უნდა აჩვენოს, რომ არის მნიშვნელოვანი აქტორი, და რომ არ დათმობს თავის ადგილს. დღეს ბევრი დისკუსიაა ამ რეგიონში სხვადასხვა ფორმატის დიდი ინფრანსტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც ევროპას შავ ზღვასთან, კასპიის ზღვასთან და აზიასთან აკავშირებს. ეს რეგიონი არ შეიძლება გახდეს ვინმესთვის ექსკლუზიური — არც რუსეთის, არც თურქეთისა და არც ირანისთვის. დღეს კარგად ვხედავთ, რომ ეს ქვეყნები აქტიურები არიან, აქვთ დამსახურება და ინტერესი, რომ იყვნენ ამ რეგიონში, არც ერთ ამ ქვეყანას არ აქვს ეკონომიური საშუალება, რომ განახორციელოს ის დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებზეც ყველა საუბრობს. ევროპა ერთადერთია, რომელსაც ეს ძალაუფლება გააჩნია. ეკონომიური ძალაუფლების გარდა, მას უნდა ჰქონდეს ხედვა, რისი განხორციელება სურს, რეგიონის დასტაბილურების ხედვა და იმის აღქმა, რაში მდგომარეობს მისი ძალა დღეს. ეს ძალა შეიძლება მდგომარეობდეს დიდი პოლიტიკური პროექტის განხორციელებაში“, — ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა.

ამ განცხადებით **ქალბატონმა ვაი-პრეზიდენტმა აღიარა, რომ ევროპას არც სურვილი აქვს და არც შესაძლებლობა, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში შევიდეს. მას რომ არ ეთქვა, ისედაც ცხადი იყო, რომ ევროპაში არ არიან ისეთი სულელები, მომაკვდინებელ ბრძოლაში ჩაებან. ეგ კი არა და, სწორედ ევროპა ცდილობს, მაქსიმალურად დაათბოს ურთიერთობა რუსეთთან, რადგან კარგად ხვდება, რომ სამომავლოდ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საკვები პროდუქტების წარმოების მხრივ ყველაზე მძლავრი მოთამაშე იქნება და, თუ მანამდე რუსეთს უწესებდნენ სანქციებს, უახლოეს სწორედ რუსეთს ექნება შესაძლებლობა, სანქციები დაუწესოს ბევრ კონტინენტს.**

რუსეთთან ურთიერთობის არაოფიციალური გადატვირთვა დაიწყო ევროპის ყველა დიდმა ქვეყანამ. გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის ლიდერების განცხადებებში მკაცრი ტონი, საერთოდ, გამქრალია. ისინი მზად არიან, **ვლადიმერ პუტინის** პირველივე დაძახებაზე მოსკოვში ეახლონ და გრძელვადიანი ხელშეკრულებები გააფორმონ ნებისმიერი მიმართულებით, რადგან კარგად იციან, უახლოეს მომავალში რუსეთთან მეგობრობა სანატრელი იქნება ყველასთვის. და ამ დროს რას აკეთებს საქართველო, რომელიც ეკონომიკის, პრაქტიკულად, ყველა სფეროთი ჩამოკიდებული სწორედ ჩრდილოელ მეზობელზეა? არაფერს და ეს არაფერი, წლებია, გრძელდება. **საბედნიეროდ, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ იმდენი მაინც მოახერხა, რომ დასავლეთის წნეხს გაუძლო და რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში არ შევიდა, მაგრამ ეს საკმარისი აშკარად არ არის, რადგან როგორც წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, ისე ახლაც, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაყინულია.** მცდელობა იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებს დამოუკიდებლად ესაუბრონ ჩვენი მთავრობის წევრები, იყო, მაგრამ მხოლოდ განცხადებების დონეზე და ამ განცხადებებზეც დასავლეთს უმწვავესი რეაქცია ჰქონდა.

მეორე მხრივ, **დღევანდელი ხელისუფლება აშკარად ხვდება, რომ რუსეთთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს.** ორივე მხარისთვის ცხადია, რომ **კარასინი-აბაშიძის** ფორმატის შეხვედრები შედეგის მომტანი არ არის და ეს შეხვედრები მხოლოდ იმისთვის იმართება, რომ როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ვალდებულება აქვთ აღებული დიალოგზე და ამ ვალდებულებას ზედაპირულად ასრულებენ. ვერ გეტყვით, რამდენჯერ შეხვდნენ კარასინი და აბაშიძე ერთმანეთს, მაგრამ რეალური შედეგი ამ შეხვედრებს არ მოუტანია და გარედან ისე ჩანს, რომ ორი ხანში შესული ადამიანი ერთმანეთს მეგობრულად ხვდება, რაღაც თემებს განიხილავენ, ის „რაღაც“ კი დაკავშირებული არ არის რეალობასთან.

ზემოთ ზეთის გაძვირება ტყუილად არ გვიხსენებია. ოფიციალური მონაცემებით, მას შემდეგ, რაც საქართველოში ზეთის ფასმა მოიმატა, გაყიდვები 14%-ით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ არამხოლოდ ზეთის, არამედ, საზოგადოდ, ნებისმიერი პროდუქტის შეძენა უჭირს მოსახლეობას. **ქართული ეკონომიკა სულს ღაფავს და მაშველ რგოლად ის 4 მილიარდ ლარზე მეტი უნდა მოევლინოს, ხელისუფლება ვალად აღებას 2022 წლისთვის რომ აპირებს.** ჰო, ცოტა ხნის წინათ ევროკავშირის 75 მილიონი ევროს სესხზე ვთქვით უარი და გაგვიხარდა, რომ ბოლომდე დაქცეულები არ ვყოფილვართ, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ზუსტად იცოდა, რომ დიდი ვალის აღება მოუწევდა და ევროკავშირთან აღარ დახურდავდა. ქვეყანაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ფონი არასტაბილურობის განცდას იწვევს და ექსპერტებიცა და ეროვნული ბანკიც არასტაბილურობას ხშირად ასახელებენ ვალუტის გაუფასურების მთავარ მიზეზად, რომელიც ფასებსაც ურტყამს. არადა, **რატომღაც გვგონია, რომ რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება იქნება მთავარი მიზეზი იმისა, რომ ხალხს სტაბილურობის განცდა გაუჩნდეს. თუნდაც ერთი მიმართულებით (არ აქვს მნიშვნელობა, ხორბალი იქნება თუ ზეთი) ქმედითი ნაბიჯის გადადგმა სამომავლოდ ქვეყანას ძალიან წაადგება.** მით უმეტეს ახლა, როცა **მთელი მსოფლიო ცდილობს, სწორედ რუსეთთან მოაგვაროს ურთიერთობა, რადგან ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ჩართო თავისი ყველაზე მძლავრი ბერკეტი — უზარმაზარი ტერიტორია და სწორედ თავისი ტერიტორიის ათვისებით აპირებს, შექმნას ჭარბი პროდუქცია.** თუ რუსეთის ფედერაცია ქვეყანაში ყველა აუთვისებელ მიწის ნაკვეთს დაამუშავებს, იმდენი პროდუქციის წარმოება შეუძლია, რომ ევროპას მარტო მოამარაგებს საკვები პროდუქტებით. ამას მიხვდა დასავლეთიც და ამის განხორციელება დაწყებული აქვს რუსეთს.

**რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყებამ საქართველოს?** რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, პირველ რიგში, სტაბილურობის განცდას მოიტანს და ეს ეროვნულ ვალუტაზეც დადებითად აისახება. დაწესდება შეღავათიანი ფასები როგორც ენერგომატარებლებზე, ისე ხორბალზე, ზეთსა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტებზე. პარალელურად, ქართული პროდუქცია შეუფერხებლად გავა რუსულ ბაზარზე. ქართული პროდუქციის უდიდესი ნაწილი ახლაც სწორედ იქ იყიდება, მაგრამ პროდუქტების გატანა დამშვიდებული, დალაგებული და დიალოგის რეჟიმში მყოფი ურთიერთობების პირობებში უფრო ადვილი და მომგებიანი იქნება.

ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს, მაგრამ გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც, 30 წელია, ვართ, ნეიტრალური საგარეო კურსი და ნებისმიერ პარტნიორთან ტოლსწორად საუბრის დაწყებაა. საქართველო არ უნდა დაემონოს არც ერთი ქვეყნის პირველ პირებსა და ელჩებს, ჩვენს ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავისი ხედვა, საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარიოს არავინ და ნებისმიერ პრობლემაზე ნებისმიერ ქვეყანასთან უნდა ისაუბროს პირისპირ, შუამავლების გარეშე. სხვაგვარად უცხო ქვეყნები მაქსიმალურად შეეცდებიან, საკუთარ თავზე მოირგონ ჩვენი პრობლემის მოგვარება და სარგებელი ნახონ. ეს კი საქართველოს არასდროს წასდგომია, არც მომავალში წაადგება. ამას რაც მალე მივხვდებით, მით უკეთესი.

**გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც, 30 წელია, ვართ, ნეიტრალური საგარეო კურსი და ნებისმიერ პარტნიორთან ტოლ-სწორად საუბრის დაწყებაა. საქართველო არ უნდა დაემონოს არც ერთი ქვეყნის პირველ პირებსა და ელჩებს, ჩვენს ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავისი ხედვა, საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარიოს არავინ და ნებისმიერ პრობლემაზე ნებისმიერ ქვეყანასთან უნდა ისაუბროს პირისპირ, შუამავლების გარეშე. სხვაგვარად უცხო ქვეყნები მაქსიმალურად შეეცდებიან, საკუთარ თავზე მოირგონ ჩვენი პრობლემის მოგვარება და სარგებელი ნახონ. ეს კი საქართველოს არასდროს წასდგომია, არც მომავალში წაადგება. ამას რაც მალე მივხვდებით, მით უკეთესი**

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუკი რამ სიბინძურე არსებობს, თუკი რამ საძულველი და სამარცხვინო არსებობს, ისეთი სამარცხვინო და საშინელი ეშმაკსაც რომ გააკვირვებს, ევროპა-ამერიკიდან შემოდის ამ ძირძველ, უდიდესი ტრადიციების მქონე ქვეყანაში და ეს, წლებია, გრძელდება. გადააგვარეს და გადააჯიშეს თაობები, მოსპეს ახალგაზრდები. ქვეყანა იღუპება, დიდი დროც არ გვაქვს იმისთვის, რომ რაიმე გამოვასწოროთ“.



მალხაზ ბახია:

# საქართველოში უნდა დაფუძნდეს «სახელმწიფო საბჭო» და ამ ორგანიზაციას უნდა შეუერთდეს ჭაჭიას პოლიტიკისა და მისი იდეის გამტარებელი ადამიანები

**მას შემდეგ, რაც ოდესის ყოფილი გუბერნატორი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოვიდა, ისედაც ეკონომიკურ-სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისში მყოფი ქვეყანა თავდაყირა დადგა. ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც მანამდეც ნეგატიურად იყო განწყობილი „ქართული ოცნების“ მიმართ, სააკაშვილის ჩამოსვლამ და მისი ჩამოსვლით გამოწვეულმა არეულ-დარეულობამ დეპრესიაში ჩააგდო. გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“, ჩვენდა გასაკვირად, გახშირდა ზარები იმ ადამიანებისა, რომლებსაც სურთ, ამ „არეულ-დარეულ“ ქართულ პოლიტიკაში ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია გამოჩნდეს... გვესაუბრება აბაშის რაიონის სოფელ მაიდნის მკვიდრი, ამიერკავკასიის ჯარების გადამდგარი პოლკოვნიკი მალხაზ ბახია.**

## «დაიქცა ქვეყანა ამერიკა-ევროპის იმედად»

— 1990 წლიდან, მას შემდეგ, რაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო საქართველოში და შემდეგ **შევარდნაძის** დამქაშებმა ყველაფერი ეროვნულის მოსპობა გადაწყვიტეს, ჩვენი ქვეყნის საქმე უკან-უკან მიდის, ეს ფაქტია და ამაზე აღარ ვდავობთ.

შევარდნაძის დაწყებული ქვეყნის ნგრევა **სააკაშვილმა** განაგრძო. ამ უკანასკნელმა, რისი გაფუჭებაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააფუჭა, სისხლში ჩაახშო ეროვნული სულისკვეთება.

**საქართველოში არ არსებობს საწარმო, ფაბრიკა, ქარხანა... უმუშევრობამ მოიცვა ქვეყანა, შიმშილობს მოსახლეობის დიდი ნაწილი და ასეთ ვითარებაში ჩვენი ხელისუფლებები, უკვე 30 წელიწადია, ამერიკის მთავრობასთან კეკლუცობის მეტს არაფერს აკეთებენ. კეკლუცობენ იმისთვის, რომ ფული მოიპოვონ და ეს ფული თვითონვე ჩაიჯიბონ. ყველამ კარგად ვიცით, ამერიკა და ევროპა ჩვენი ქვეყნის მმართველებს ფულს ქარხნებისა და ფაბრიკების ასაშენებლად არ აძლევენ. ეს ფული მონობის საფასურია. ამერიკას ფეხებზე ჰკიდია ჩვენი განვითარება, კულტურა, ეროვნული საგანძური და ამას საქართველოში „მოღვაწე“ ამერიკის ელჩები ხან პირდაპირ გვეუბნებიან და ხანაც ირიბად.**

ამერიკა-ევროპას არ სურს და საქართველოში აღარ არსებობს მეცნიერებათა აკადემია, გაუქმებულია ასობით კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლეს სასწავლებლებში რას ასწავლიან ახალგაზრდებს, არავინ იცის და, შესაბამისად, ქვეყანასაც დაეტყო უსწავლელი თაობების კვალი. აღარ არსებობს სპორტი, არადა, ქვეყანას თავის დროზე ეს მთავარ პრიორიტეტად ჰქონდა. სკოლა სკოლას აღარ ჰგავს და საბავშვო ბაღი — საბავშვო ბაღს... **დაიქცა ქვეყანა ამერიკა-ევროპის იმედად...**

**საქართველოში არც ერთი უწყება სათანადო დონეზე არ მუშაობს. თუკი ვინმეს რამე საქმე ჰქონია სამინისტროსთან, სულ-ერთია, რომელთან, ყველა იტყვის, რომ არაკომპეტენტური, საქმის უცოდინარი კადრებითაა დაკომპლექტებულიო; და ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, წლებია, გრძელდება. რასაც ახლა ვამბობ არახალია, ყველა ხელისუფლების პრობლემაა.**

საშინელებაა, უყურებდე, როგორ იღუპება ქვეყანა და ვერაფერს აკეთებ. მართლა ვერაფერს ვაკეთებთ, არადა, ვუყურებთ, რომ ახალგაზრდები, პლანის მოწევის გარდა, არაფერზე არ ფიქრობენ და საქმეც არა აქვთ.

საშველი რა არის? მე თითქმის ზეპირად ვიცი ქართველი პოლიტიკოსის ალექსანდრე ჭაჭიას ყველა ინტერვიუ თუ გამოსვლა.

**„შეხედეთ ევროპელ პოლიტიკოსებს, მათი უმეტესობა ხომ დეგენერატია — პედერასტი, ლესბოსელი, ხეპრე, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი ხალხების ეროვნულ ინტერესებზე. ყველა გაჰყვირის ადამიანის უფლებებზე, თუმცა სულაც არ აინტერესებთ ადამიანის ბუნებრივი, ფუნდამენტური უფლებები — სიცოცხლის უფლება, შრომის, ჯანდაცვისა და განათლების უფლება, არც ხალხების უფლება, იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, აღმსარებლობის შესაბამისად; თავს გვახვევენ ადამიანის უფლებების გაგებას, როგორც ცხოველური ინსტინქტების, ყველაზე ქვენა გრძნობების რეალიზაციას, რომლებსაც მსოფლიოს ყველა რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს, ვინაიდან ცდილობს, იხსნას ადამიანების საზოგადოება გაპირუტყვებისგან. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით! ხალხებისთვის „ევროპული ფასეულობების“ ნიღბით ამ პირუტყვული ინსტინქტების თავსმოხვევით ძალები, რომლებიც აკონტროლებენ დასავლურ სამყაროს, ზრდიან დეგენერატების თაობას, ქმნიან დეგენერატთა პოლიტიკურ კლასს, რომლისგანაც აყალიბებენ პარტიებს, მთავრობებს, პარალელურად კი ხელში იგდებენ დაქვემდებარებული ქვეყნების რესურსებს. ახალგაზრდებზე დასავლური პროპაგანდის გავლენის სიძლიერე აკრძალვების უარყოფაშია. „ძირს მონობა! ყველაფერი დასაშვებია!“ — გაჰყვირიან ეს პროპაგანდისტები. ეს მოწოდება ძალიან მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ტრადიციულ საზოგადოებაში ბავშვობიდან ესმით: „ეს არ შეიძლება! ეს აკრძალულია! ეს არ შეეფერება ადამიანს! ეს კაცს არ ეკადრება!“. ტრადიციული საზოგადოება ხომ ადამიანურ მორალზეა აგებული, მორალი კი, ფაქტობრივად, აკრძალვების სისტემაა. და უცებ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ: „მორალური ნორმები, ტრადიციები, ადათწესები — ეს ყველაფერი სისულელეა, ატავიზმი, წარსულის გადმონაშთი! ყველაფერი შეიძლება!“. მორალური ნორმების უარყოფა, ზნეობრივი აკრძალვების გაუქმება ადამიანებს აქცევს პირუტყვებად, რომელთა მართვაც ძალიან ადვილია. ერი ნახირად რომ არ იქცეს, საჭიროა სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეებს გამხრწნელი გავლენისგან დაიცავს, არ დაუშვებს უზნეობის პროპაგანდას, გარყვნილებას, იზრუნებს ერის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. ასეთი სახელმწიფო კოლონია ვერ იქნება,“ — ამბობს ალექსანდრე ჭაჭია.**

## «ქართულმა ოცნებამ» და მისმა მმართველმა, ბიძინა ივანიშვილმა, მოსპო ქვეყანა საბოლოოდ. ისინი გაურიგდნენ ნაცებს, ეს ვითომ ორი პარტია, ერთ პარტიად იქცა. ამერიკამ და ჩვენმა ხელისუფლებებმა ერთობლივად გაგვანადგურეს «ოქროს აკვანში» გამოზრდილი ქართველები

ქვეყანა ფეხზე რომ დადგეს, უფრო ზუსტად, საქართველოში სიცოცხლე რომ ჩქეფდეს, გლეხებს, მოსამსახურეებს, ხელოსნებსა და, საერთოდ, **შრომისა და დასაქმების მსურველ ადამიანებს ცხოვრების სტიმული რომ მიეცეთ, ამისათვის ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, მეზობელ ქვეყანასთან მჭიდრო კომუნიკაცია.**

დღემდე ვერ გაიგეს მონადქცეულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა, რომ უკვე მთელი ევროპა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება-დათბობას ცდილობს, რადგან ის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც ორიენტირებულია თავისი მოსახლეობისა და ქვეყნის დაცვაზე, თავს არავის ესხმის, არ სურს ცუდი არავისთვის, უბრალოდ, ვერ იტანს, როცა ერჩიან და თავს იცავს აგრესიისგან. **ამერიკა თავდამსხმელი ქვეყანაა, ამერიკა მონებს ეძებს, ეს ასე რომ არ იყოს, რა ჯანდაბა უნდა, აბა, ჩვენგან, ასე შორეულ ამერიკას?!**

თუკი რამ სიბინძურე არსებობს, თუკი რამ საძულველი და სამარცხვონო არსებობს, ისეთი სამარცხვინო და საშინელი, ეშმაკსაც რომ გააკვირვებს, ევროპა-ამერიკიდან შემოდის ამ ძირძველ, უდიდესი ტრადიციების მქონე ქვეყანაში და ეს, წლებია, გრძელდება. გადააგვარეს და გადააჯიშეს თაობები, მოსპეს ახალგაზრდები. ქვეყანა იღუპება, დიდი დროც არ გვაქვს იმისთვის, რომ რაიმე გამოვასწოროთ.

თქვენ მეკითხებით, რისი გაკეთება შეუძლია **ალექსანდრე ჭაჭიას,** თუკი ქვეყანა დაღუპვის გზაზეაო. გიპასუხებთ: **ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია რუსეთთან დაამყაროს ის ურთიერთობა, რომელიც სჭირდება ქვეყანას. ეს არ იქნება რუსეთის მონობა, ეს იქნება ღირსეული პარტნიორობა. ალექსანდრე ჭაჭია სჭირდება ქვეყანას. საქართველოში უნდა დაფუძნდეს „სახელმწიფო საბჭო“ და ამ ორგანიზაციას უნდა შეუერთდეს ჭაჭიას პოლიტიკისა და მისი იდეის გამტარებელი ადამიანები. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მთელი თავისი კოლექტივით უნდა იყოს „სახელმწიფო საბჭოს“ შემადგენლობაში.**

სამეგრელოში თქვენი გაზეთი პოპულარულია და არა მხოლოდ სამეგრელოში, ურთიერთობა მაქვს თითქმის ყველა კუთხის ღირსეულ, პატრიოტ ადამიანებთან და ყველა ამბობს, რომ „საქართველო და მსოფლიო“ არის ერთადერთი გაზეთი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, სიმართლე დავინახოთ, სიმართლე ვიცოდეთ; ვიცოდეთ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში და რა პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოში. თქვენი გაზეთი მიკერძოებული არ არის, ამიტომ ხალხს უყვარხართ და ფიქრობენ, რომ, თქვენ თუ რაიმე სახელმწიფოებრივ საქმეს ჩაუდგებით სათავეში, ყველაფერი კარგად იქნება.

**„ქართულმა ოცნებამ“ და მისმა მმართველმა, ბიძინა ივანიშვილმა, მოსპო ქვეყანა საბოლოოდ. ისინი გაურიგდნენ ნაცებს, ეს ვითომ ორი პარტია, ერთ პარტიად იქცა. ამერიკამ და ჩვენმა ხელისუფლებებმა ერთობლივად გაგვანადგურეს „ოქროს აკვანში“ გამოზრდილი ქართველები.**

**— ასეთ ვითარებაში, ასეთ საზოგადოებაში, როგორც თქვენ ამბობთ, „განადგურებულ, გაცამტვერებულ, დაღუპვის პირას მყოფ“ ქვეყანაში, რისი გაკეთება შეუძლია ალექსანდრე ჭაჭიას?**

— ძირითადად, სამეგრელოში ვარ, თითქმის ყველა რაიონში მაქვს საქმეც და მყავს ნაცნობებიც... რამდენიმე ხნის წინათ ზუგდიდში ვიყავი, ბაზარში მომიწია შესვლა. ნათქვამია კიდეც: **„თუკი რაიმე ამბის გაგება გინდა, ან ბაზარში უნდა მოისმინო, ან ორღობეში, ან წყაროს პირასო...“ ჩვენი პოლიტიკოსებიც ხომ ცდილობენ წინასაარჩევნო კამპანიისას ბაზრებში შესვლას და ხალხის აზრი მოსმენას?! ჰოდა, მეც შევედი ზუგდიდის ბაზარში... როგორც ერთი, ყველა ამბობდა, რომ საქართველოს ჰაერივით სჭირდება ალექსანდრე ჭაჭია.**

ალბათ, გაგიკვირდათ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ დამიჯერეთ, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, თუკი ჩემი თვალითა და ყურით არ დავინახე და მოვისმინე, სხვის ნათქვამსა და გაგონილს არ ვიტყვი ხმამაღლა, ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს, ალექსანდრე ჭაჭია იხილოს ქართულ პოლიტიკაში.**

**— თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე ჩანს, რომ, ალექსანდრე ჭაჭია ქართულ პოლიტიკაში თუ გამოჩნდება, ალტერნატივა არ ეყოლება...**

— დიახ, მას არ ეყოლება ალტერნატივა და მოსახლეობის დიდი ნაწილი, სწორედ ის ნაწილი, რომელიც არჩევნებზე არ დადის და რომლის მოზიდვასაც ასე ძალიან ცდილობენ დღეს მოქმედი პარტიები, ალექსანდრე ჭაჭიას გაჰყვებიან. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ!

მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სტკივა დაკარგული ტერიტორიები, გულიდან მოწყვეტილი აფხაზეთი და სამაჩაბლო და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ არჩ- ▶

**„ალექსანდრე ჭაჭია ის კაცია, რომელიც სტალინსაც და ყველას, ვინც სტალინივით სახელმწიფოებრივად აზროვნებდა, პატივს სცემს. ჭაჭიას არ ეშინია სტალინის ხსენების; ჭაჭია ის კაცია, რომელიც ზვიად გამსახურდიასაც დიდებით მოიხსენიებს და უფრო მეტიც, ძეგლი დაუდგა ეროვნული მოძრაობის გმირს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს. ასე რომ, ალექსანდრე ჭაჭია სჭირდება ამ დაღუპვის პირას მდგომ ქვეყანას!“**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ალექსანდრე ჭაჭია ნამდვილი ეროვნული, ქართველი კაცია და ზუსტად ვიცი, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობას ისე დაარეგულირებს, რომ არც ერთი ქართველის თავმოყვარეობა არ შეილახება, მონებად არ ვიქცევით და კაცის კაცები არ გავხდებით»



◀ევნებზე არ დადის ხალხი. მიზეზი არჩევნებზე წაუსვლელობისა არის ის, რომ არც ერთ პარტიას, არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია და არ აქვს აფხაზეთში დაბრუნების გეგმა. ეს გეგმა და მისი განხორციელების შესაძლებლობა ალექსანდრე ჭაჭიას აქვს.

ბატონმა ალექსანდრემ დიდი ხნის წინათ თქვა: **„გალიდან წამოსული ხალხის სასწრაფოდ დაბრუნება საკუთარ სახლებში შესაძლებელია, მაგრამ როგორც ჩანს, არავის აინტერესებს. ის რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ამას ვითავებთ, თუ ვერ შევასრულებთ დაპირებას, პასუხისმგებლობას ვიღებთ საკუთარ თავზე და მზად ვართ, ამისთვის დავისაჯოთ...“**

ბატონი ალექსანდრე ეროვნული მოძრაობიდან მოდის. მას უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება აქვს. დღეს თუკი რომელიმე ქართველზე ვიტყვით, რომ გამოცდილი, მცოდნე და საქმის გამკეთებელი პოლიტიკოსია, ეს ალექსანდრე ჭაჭიაა.

**არსაიდან მოსული ხალხი მართავს ჩვენს ქვეყანას. ე.წ. შრომის წიგნაკს პარლამენტში ხსნიან, მინისტრის პოსტზე იწყებენ „მოღვაწეობას“ და სწორედ ამან დაღუპა ეს ქვეყანა. ვიღაცამ სადღაც ისწავლა, რეკომენდაციებით ჩამოვიდა, ხელისუფლების წარმომადგენლებს უთხრეს ესა და ეს აქა და აქ უნდა დანიშნოო და უსიტყვოდ დანიშნეს... დაიღუპა ეს ქვეყანა, პირველ რიგში ნეპოტიზმით და მერე — ამერიკა-ევროპიდან ხელდასმული ადამიანების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნით.**

ალექსანდრე ჭაჭია ამბობს და ხალხიც ეთანხმება: „პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების სარეალიზაციოდ, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანად დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესად იქცა, ამიტომაც ჩვენ ხშირად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, ერთი და იმავე სახეების გადასვლას პარტიიდან პარტიაში. **ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან ერთმანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე ხუთ-ექვს პარტიაში. იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობა გამოიწვია. ეს, სხვათა შორის, მათ ნაკლებად აღელვებთ. მათ იციან, რომ შეიძლება შეხვიდე პარლამენტში, თუ ამერიკელებს მოეწონები, და ისინი ხელისუფლებას მითითებას მისცემენ ამა თუ იმ პარტიის შეყვანის თაობაზე. ამიტომ ბოლო წლებში ოპოზიციური პარტიების საქმიანობის მთავარი მიზანი იყო, დაემტკიცებინათ ამერიკელებისთვის მზადყოფნა და უნარი, შეესრულებინათ მათი მითითებები უკეთ, ვიდრე ამას მოქმედი ხელისუფლება აკეთებს“.**

**— სიმართლე გითხრათ, სულ მესმის: „ამ ქვეყანას სტალინი სჭირდება“. თქვენ კი გადაწყვიტეთ, რომ ქვეყანას ალექსანდრე ჭაჭია სჭირდება...**

— მე კი არა, ეს ხალხმა გადაწყვიტა... ალექსანდრე ჭაჭია ის კაცია, რომელიც სტალინსაც და ყველას, ვინც სტალინივით სახელმწიფოებრივად აზროვნებდა, პატივს სცემს. ჭაჭიას არ ეშინია სტალინის ხსენების, ჭაჭია ის კაცია, რომელიც **ზვიად გამსახურდიასაც** დიდებით მოიხსენიებს და უფრო მეტიც, ძეგლი დაუდგა ეროვნული მოძრაობის გმირს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს. ასე რომ, ალექსანდრე ჭაჭია სჭირდება ამ დაღუპვის პირას მდგომ ქვეყანას!

**ზუსტად ვიცი, რომ ბატონი ალექსანდრე ამ ქვეყანას ააყვავებს, თან იცით, როგორ? — ეკონომიკას გააძლიერებს, ფაბრიკა-ქარხნებს ააშენებს; რაც სჭირდება ჩვენი ქვეყნის განვითარებას, ყველა იმ დარგს გააძლიერებს და ეს მოხდება არა მითოსური ამერიკის, რომელსაც ამდენი წელიწადია, ვეხვეწებით, არამედ მეზობელი რუსეთის ფედერაციის დახმარებით და ისე ღირსეულად, რომ თავმოყვარეობა არ შეგველახება.**

ამის მაგალითად მოვიყვან ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვებს: **„საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც მას ისტორიულად ერგო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობის, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის, მენტალობის გამო. საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების — მართლმადიდებლობის, კათოლიციზმის, გრიგორიანობისა და ისლამის ძირითადი განშტოებების — სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას... ამიტომ საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიეთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური არსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის... იდეალურ შემთხვევაში საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებლად საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტები განთავსდებიან“,** — ეს სიტყვები თავმოყვარე ქართველს ეკუთვნის.

## საქართველოში უნდა დაფუძნდეს «სახელმწიფო საბჭო» და ამ ორგანიზაციას უნდა შეუერთდეს ჭაჭიას პოლიტიკისა და მისი იდეის გამტარებელი ადამიანები. გაზეთი «საქართველო და მსოფლიო» მთელი თავისი კოლექტივით უნდა იყოს «სახელმწიფო საბჭოს» შემადგენლობაში... ურთიერთობა მაქვს თითქმის ყველა კუთხის ღირსეულ, პატრიოტ ადამიანებთან და ყველა ამბობს, რომ «საქართველო და მსოფლიო» არის ერთადერთი გაზეთი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, სიმართლე დავინახოთ, სიმართლე ვიცოდეთ... თქვენი გაზეთი მიკერძოებული არ არის, ამიტომ ხალხს უყვარხართ და ფიქრობენ, რომ, თქვენ თუ რაიმე სახელმწიფოებრივ საქმეს ჩაუდგებით სათავეში, ყველაფერი კარგად იქნება

ამბობენ, ივანიშვილი „რუსის კაციაო“... კაცის კაცი რა უნდა იყოს და თანაც ძალიან მეეჭვება, უფრო ზუსტად, ვერც ვხედავ ივანიშვილის მცდელობას რუსეთთან, ერთმორწმუნე ერთან, ურთიერთობის მოგვარების. აი, **ალექსანდრე ჭაჭია არავის კაცი არ არის. ის საქართველოს კაცია, ნამდვილი, ეროვნული ქართველი კაცია და ზუსტად ვიცი, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობას ისე დაარეგულირებს, რომ არც ერთი ქართველის თავმოყვარეობა არ შეილახება, მონებად არ ვიქცევით და კაცის კაცები არ გავხდებით.**

თქვენთან საუბარს ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვებით დავასრულებ: „თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არჩევანის უფლება და საშუალება გააჩნია. მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდეს ასეთი საშუალება, უნდა გვქონდეს აუცილებელი — სახლი, სამსახური, ხელფასი, პენსია, რაც მოგვცემს საშუალებას გამოვიყენოთ არჩევანის უფლება. ღარიბი ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი, იგი ყველაფერზე წავა სამსახურისა და ხელფასის გამო. გვეუბნებიან, რომ ჩვენ მივიღეთ მსოფლიოში მოგზაურობის თავისუფლება. დიახ, ეს თავისუფლებაა, როდესაც შეგიძლია შენი სიამოვნებისთვის წახვიდე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამის საშუალება მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს აქვს, ხოლო როდესაც ერის ნახევარი მიემგზავრება ლუკმაპურის საშოვნელად, ეს თავისუფლება არაა, ეს მონობაა“.

## «თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არჩევანის უფლება და საშუალება გააჩნია, მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდეს ასეთი საშუალება, უნდა გვქონდეს აუცილებელი — სახლი, სამსახური, ხელფასი, პენსია, რაც მოგვცემს საშუალებას, გამოვიყენოთ არჩევანის უფლება. ღარიბი ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი, იგი ყველაფერზე წავა სამსახურისა და ხელფასის გამო. გვეუბნებიან, რომ ჩვენ მივიღეთ მსოფლიოში მოგზაურობის თავისუფლება. დიახ, ეს თავისუფლებაა, როდესაც შეგიძლია შენი სიამოვნებისთვის წახვიდე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამის საშუალება მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს აქვს, ხოლო როდესაც ერის ნახევარი გარბის ლუკმაპურის საშოვნელად, ეს თავისუფლება არაა, ეს მონობაა»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოსთვის დასავლეთი, დიდი ხანია, კამერტონის როლს ასრულებს. განსაზღვრავს ის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ ტონალობას და საქართველოც სწორედ ამ ტონალობაში აგუგუნდება მისთვის დამახასიათებელი ხმაშეწყობილი ზანებით. სძულს დასავლურ პოლიტიკურ ბომონდს რუსეთი, მაშასადამე, საქართველოსაც სძულს რუსეთი. გმოზენ ევროპაში რუსულ პოლიტიკას, მაშასადამე, საქართველოშიც გმოზენ რუსულ პოლიტიკას.



# ევროპული ფაშისტური მოქალაქი და ქართული პოლიტიკური ბანი

## ქართული ანდაზა ამერიკელ ძაღლებზე

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## მეორმოცე გამოშვება

**2021 წლის 9 ნოემბერს ბათუმის პორტში ამერიკული სამხედრო გემები შემოვიდნენ. ეს ის გემებია, რომელთა შესახებაც რუსეთის პრეზიდენტმა თქვა: ისე ახლოს არიან, გინდა, ბინოკლიდან დაათვალიერებ და გინდა — გამანადგურებელი იარაღის სამიზნე მოწყობილობიდანო.**

სამხედრო გემზე აშშ-ის ელჩ **კელი დეგნანთან** ერთად ასულმა პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** „გულისამაჩუყებელი“ სიტყვა წარმოთქვა: „საქართველო შავი ზღვის რეგიონის ძალზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა. ჩვენს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას ძალიან ძლიერი დატვირთვა გააჩნია. საქართველო არის გლობალური უსაფრთხოების ერთგული მოკავშირე და მონაწილე. ჩვენ კარგად გვესმის შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობა და გამიზნული გვაქვს ჩვენი მოკავშირეების დახმარება ამ მიმართულებით. ჩვენ ვიზიარებთ პასუხისმგებლობას რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაზე და კვლავაც ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. სარდლობებს შორის თავსებადობა, პარტნიორობაზე კონცენტრირებული წვრთნები და კრიზისულ პერიოდებში ჩვენი ძალების გაერთიანება რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაა. მინდა, ჩვენს სტუმრებთან ერთად, დიდი მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ხალხს, თითოეულ ამერიკელს, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან გვერდით უდგანან საქართველოს. ჩვენი მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ჩამობრძანებისთვის და წარმატებულ ვიზიტს გისურვებთ“.

**ქართველებისთვის გულის აჩუყების არანაკლები მცდელობა იყო კელი დეგნანის სიტყვებშიც, რომელშიც, სენტიმენტების საზურველს თუ მოაცილებთ, ფარისევლობის ისეთივე სიუხვეს აღმოაჩენთ, პირმოთნეობისა და მლიქვნელობის როგორი სიუხვეც იყო პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის სიტყვებში:** „მაქვს პატივი, ხომალდ „მაუნთ უიტნისა“ და „არლი ბურკის“ კლასის მართვად სარაკეტო გამანადგურებელ ხომალდ „პორტერს“ დავხვდე საქართველოში. ამ ხომალდების ეკიპაჟისა და პირადი შემადგენლობის ბევრი წარმომადგენელი ამ მშვენიერ ქვეყანას პირველად ეწვია, თუმცა ეს ხომალდები აქ ბევრჯერ ყოფილან. ძალიან ვამაყობთ, რომ კვლავ დაბრუნდნენ დღეს. „მაუნთ უიტნიმ“ 2008 წლის სექტემბერში, რუსეთის საქართველოში შემოჭრის დროს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან 17 ტონა მეტად საჭირო ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანა. ეს იყო ამ ხომალდის პირველი შემოსვლა შავი ზღვის აკვატორიაში და, შეხედეთ, რამდენად წინ წავიდა ამ პერიოდში საქართველო. ამ დიდებული ხომალდების ისტორია და მათი ეკიპაჟების შესაძლებლობები და მიღწევები შთამბეჭდავია. ეს ვიზიტი ადასტურებს, რომ შეერთებული შტატები და საქართველო პარტნიორობის რანგში ერთგულნი არიან უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდეისადმი. ამ ხომალდების ეკიპაჟები და პირადი შემადგენლობა შეერთებულ შტატებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ინტეგრირებული საავიაციო, სახმელეთო და საზღვაო ოპერაციები განახორციელონ სამხედრო და ჰუმანიტარული მისიით, როდესაც მოგვმართავენ და როდესაც საჭირო ვხდებით მსოფლიოში. თქვენი აქ ყოფნა ასევე ადასტურებს შეერთებული შტატების ურყევ ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. მადლობას გიხდით, ბატონო პრემიერმინისტრო, ამ ვიზიტის ხელშეწყობისთვის და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ჩვენი პარტნიორობის ძლიერი მხარდაჭერისთვის“.

**უნდა ვივარაუდოთ, რომ ამერიკელებს თავიანთი მიზნები გააზრებული ექნებათ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას თუ აქვს წარმოდგენილი, სად ყოფს თავს და რა უბედურებაში ხვევს ქვეყანას?**

თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარების უმთავრესი მახასიათებელი ამერიკული ჰეგემონიზმის ეპოქისა და ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრულია. პარალელურად ჩნდება ახალი მახასიათებელი, ესაა რუსეთისა და ჩინეთის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა. ყოველივე ამას ამ მომენტისთვის ისეთი სახე აქვს, რომ მწვავდება წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, აშშ-სა და რუსეთს შორის, მეორე მხრივ, აშშ-სა და ჩინეთს შორის. სხვაგვარად ვერც მოხდება. **სი ძინპინი** გამოდის ლოზუნგით: „ჩინური ერის დიდი განახლება“; **პუტინი** კი ეგზისტენციური ხასიათის ლოზუნგს აყენებს: **„რად გვინდა**



ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკულ ხომალდზე

**ისეთი მსოფლიო, რომელშიც რუსეთი არ იქნება?!“** ჩინეთი უკვე ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პირველობაზე პრეტენზიას აცხადებს და საუკუნის პროექტსაც იწყებს — **„ერთი სარტყელი, ერთი გზა“. აშშ და კოლექტიური დასავლეთი მსოფლიოს ახალს ვერაფერს სთავაზობენ, გარდა ყავლგასული ლოზუნგებისა და ლგბტ იდეოლოგიისა.** რაც შეეხება დასავლეთის ძველ ლოზუნგებს — დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა, იმის გამო, რომ დასავლურმა პროპაგანდამ ეს ჭეშმარიტი ღირებულებები საუკუნის განმავლობაში საკუთარი ცხოვრების წესის მიმზიდველ ფასადად გამოიყენა, რომლის უკან საშინელ რეალობას მალავდა, წარმოუდგენელი დევალვაცია განიცადა, რომლის შედეგად მათგან მხოლოდ ქერქი და ჩენჩო დარჩა. დღეს ისინი უკვე ვერავის ვეღარ ხიბლავს. **ჩინეთს ახალ სიმაღლეზე აჰყავს არამხოლოდ ეკონომიკა და ციფრული ტექნოლოგიები, არამედ ის საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც კარლ მარქსის ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ-ეკონომიკურ აღმოჩენებზე აღმოცენდა და რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მთელ მსოფლიოში რევოლუციური ვითარება შექმნა.** მეოცე საუკუნის ბოლოსთვის, როდესაც დასავლეთმა საბჭოთა კავშირის დაშლა და კაპიტალიზმის სენით რუსეთის დაავადება მოახერხა, დასავლეთს მოეჩვენა, რომ სოციალიზმის მზე ერთხელ და სამუდამოდ ჩაესვენა, მაგრამ, სულ რაღაც, სამი ათეული წლის შემდეგ ჩინურ ცაზე კომუნისტური ფერის ისეთი სიკაშკაშე იხილა, რომელმაც არამხოლოდ დააბრმავა, არამედ დააყრუა კიდეც. რა კაშკაშია ეს? ის ხომ არა, საშინელი რეალობით გაწამებული და სიკვდილსშენაგებები **თეოდორ დოსტოევსკი** თითქმის ორი საუკუნით ადრე რომ წინასწარმეტყველებდა: „От Востока звезда сия воссияет!“

დასავლეთს დღეს კაპიტალისტური სისტემაც (რუსეთის სახით) უპირისპირდება და სოციალისტური სისტემაც (ჩინეთის სახით). რუსული კაპიტალიზმი ახალგაზრდაა, რის გამოც იგი ჯერ არ არის ისე გახრწნილი და შიგნიდან გამომპალი, როგორც ამერიკული კაპიტალიზმი. ამიტომაც, აშშ ვერც რუსულ კაპიტალიზმს გაუმკლავდება და, მით უფრო, ვერც ჩინურ სოციალიზმს. აშშ-ს ამ ზესახელმწიფოებთან თანამშრომლობის რესურსიც აღარ აქვს, რადგან ერთხელ და სამუდამოდ დაადგა მთელ მსოფლიოსთან კონფრონტაციის მისთვის დამღუპველ გზას. იგი მისთვის ასე საშინელი ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა: ან დაიპყრობს მსოფლიოს, ან განადგურდება, როგორც დედამიწის უბოროტესი იმპერიების უკანასკნელი, ყველაზე საშინელი და აღვირახსნილი წარმომადგენელი. ამიტომაცაა, რომ იგი შიშისგან ძრწის, როგორც კაპიტალისტური რუსეთის სტრატეგიული შეიარაღების, ასევე კომუნისტური ჩინეთის სამართლიანი იდეოლოგიისა და უმძლავრესი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გაქანების წინაშე.

**დასავლეთის ჰეგემონია დასასრულს უახლოვდება. ძველი ეპოქა მიდის, ახალი ეპოქა მოდის.... ეს მარადიული პროცესია, რომელიც ჯერაც ვერავინ შეაჩერა. მით უმეტეს, ვერ შეაჩერებს სიცრუითა და ფარისევლობით გაჯერებული ბინძური ამერიკული იმპერია, რომელმაც მსოფლიოს ისტორიაში ვერაგობისა და უსამართლობის ყველა რეკორდი ჯერ კიდევ 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს მოხსნა, როდესაც მშვიდობიან ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური მომბები დააყარა.** მიუხედავად იმისა, რომ აშშ ჯერ კიდევ ახდენს გავლენას გლობალურ პროცესებზე, მსოფლიო თავაწყვეტილი მიექანება, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, კულტურული, ფინანსური და ტექნოლოგიური მრავალპოლუსიანობის მიმართულებით, რომელსაც ახლა ვეღარაფერი შეაჩერებს. საბოლოო შედეგი ჯერ არა თუ არ დამდგარა, მისი კონტურებიც კი არ გამოკვეთილა, მაგრამ უკვე დადგა არასტაბილურობის ეპოქა. მეტიც, უკვე დადგა საერთაშორისო ქაოსის ეპოქა, რომელიც დამახასიათებელია გლობალური ცვლილებებისა და მასშტაბური გეოპოლიტიკური სიახლეების წინა პერიოდებისთვის. **ჯერ არავინ იცის, რა სახეს მიიღებს ან საით წავა პროცესები — მესამე მსოფლიო ომისკენ თუ ახალი მსოფლიო წესრიგისკენ. ეს დამოკიდებულია იმ აქტორთა ქმედებებზე, რომლებიც საერთაშორისო სცენაზე პოზიციონირებენ. მსოფლიოს სამი პოლუსიდან, რომელთა არსებობა ამერიკელებმა უკვე აღიარეს (აშშ, რუსეთი, ჩინეთი), აშშ ყველაზე აგრესიული და გამოუცნობია.** ესაა ზესახელმწიფო, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალიან ახლოს იდგა მსოფლიოზე ერთპიროვნული და განუსაზღვრელი ბატონობის მისთვის ასე სანუკვარი სურვილის განხორციელებასთან ახლოს, მაგრამ, ერთი მხრივ, ქვეყნის შიგ- ▶

**ამ ვითარებაში ამერიკული სამხედრო გემების მოპატიჟება საქართველოში და მის გემბანზე საქართველოს პრემიერმინისტრის მიერ ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების წარმოთქმა ის ისტორიული და სტრატეგიული შეცდომაა, რომელიც საქართველოსთვის შორეულ პერსპექტივაში კი სასიკეთოს ვერაფერს მოიტანს, მისი ტერიტორიული გამთლიანებისა და სულიერ-ეკონომიკური აღორძინებისთვის კი უაღრესად საზიანოა. საქართველოს დღეს არაფერი ისე არ აკლია, როგორც გამჭრიახი პოლიტიკა და პოლიტიკოსები, რომელთა გარეშეც არც ერთი ხალხი და არც ერთი სახელმწიფო ფეხზე არასოდეს წამომდგარა**

**მეოცე საუკუნის ბოლოსთვის, როდესაც დასავლეთმა საბჭოთა კავშირის დაშლა და კაპიტალიზმის სენით რუსეთის დაავადება მოახერხა, დასავლეთს მოეჩვენა, რომ სოციალიზმის მზე ერთხელ და სამუდამოდ ჩაესვენა, მაგრამ, სულ რაღაც, სამი ათეული წლის შემდეგ ჩინურ ცაზე კომუნისტური ფერის ისეთი სიკაშკაშე იხილა, რომელმაც არამხოლოდ დააბრმავა, არამედ დააყრუა კიდეც. რა კაშკაშია ეს? ის ხომ არა, საშინელი რეალობით გაწამებული და სიკვდილსშენაგებები თეოდორ დოსტოევსკი თითქმის ორი საუკუნით ადრე რომ წინასწარმეტყველებდა: „ОТ ВОСТОКА ЗВЕЗДА СИЯ ВОССИЯЕТ!“**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნით განვითარებულმა ობიექტურმა კრიზისულმა სიტუაციებმა, მეორე მხრივ კი, **რუსეთის წარმოუდგენლად სწრაფი ტემპებით განვითარებამ (განსაკუთრებით, სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით) და ჩინეთის რევოლუციურმა ნახტომმა, როგორც ეკონომიკის აღმავლობის, ასევე ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, აშშ-ის ამ ბოროტი სურვილის რეალიზება საბოლოოდ დაასამარა. აშშ ახლა ყველა ღონეს მიმართავს დაკარგული დიდების აღსადგენად, მაგრამ წარსული მომავლად ვერ იქცევა. ამით აიხსნება მისი უკიდურესი გაღიზიანება და წრესგადასული აგრესიულობაც.**

რაც შეეხება რუსეთსა და ჩინეთს, ჯერჯერობით ორივე ეს ზესახელმწიფო სიმშვიდესა და წონასწორობას ინარჩუნებს, მაგრამ დასავლეთს მრავალი ბერკეტი აქვს მათი სიმშვიდისა და წონასწორობის დასარღვევად. **აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი რუსეთის წინააღმდეგ ევროპაა, რომელსაც იგი მუდმივად აქეზებს. ეს ისტორიულადაც ასე ხდებოდა, ვინაიდან, როგორი საკვირველიც უნდა ჩანდეს, ქრისტიანულ ევროპაში არსებობს სიძულვილის აკუმულირებისა და აფეთქების ძნელად გასაგები და კიდევ უფრო ძნელად ასახსნელი პოტენციალი, რომლის დაპროგრამებისა და მიზანმიმართული ამოქმედების შემდეგ იგი დამანგრეველ გავლენას ახდენს პროგრამის შესაბამისად წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით.** გასულ საუკუნეში ფაშიზმის აღმოცენება ერთდროულად რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოში (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, გერმანია) მეტყველებს კონტინენტისთვის დამახასიათებელ ფსიქიკურ თავისებურებაზე, რომლის უარყოფა შეუძლებელია. პატრიოტიზმი (სამშობლოს სიყვარული), ცხადია, მხოლოდ ევროპელების ნოუ-ჰაუ არ არის, მაგრამ სამშობლოს სიყვარული იმის გამო, იმის ხაზგასმით, იმის შეგნებითა და შეგრძნებით, რომ ჩემი სამშობლო ყველაზე კარგია, სწორედ ევროპული ფაშიზმისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. ფაშისტებს სამშობლო მხოლოდ იმის გამო კი არ უყვართ, რომ ეს არის ადგილი (ქვეყანა), სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, რომ ეს არის ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობს მათი მშობელი ხალხი, რომლის ენაზე, კულტურაზე, რელიგიაზე, წესებსა და ტრადიციებზე ისინი აღიზარდნენ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს კულტურა მთლიანად მათ ეკუთვნით და თვითონაც მთლიანად ამ კულტურას ეკუთვნიან, არამედ იმიტომ, რომ, ეს ყველაფერი ერთად აღებული, მათი წარმოდგენით, ყველა დანარჩენზე უკეთესია, ყველა დანარჩენს ობიექტურად აჭარბებს და აღემატება, ანუ ყველა დანარჩენი მათ ხალხს, მათ კულტურას და მათ სამშობლოს ჩამორჩება; ყველა დანარჩენი მათ ქვეყანაზე, მათ ხალხზე დაბლა მდგომია და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ მათი სამშობლოა სიცოცხლის ღირსი, სხვები კი განადგურებას იმსახურებენ. მათი აზრით, სხვათა განადგურება ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებაა. აი, ასეთი აღმავალი ხაზით მიემართება ფაშისტური აზროვნების დეგრადაცია, მისი დაცემა და განადგურება. იქ, სადაც ფაშიზმი ჩაისახება და აღმოცენება-განვითარებას იწყებს, პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის ეს თავისთავად კეთილშობილი და ამაღლებული გრძნობა ისე გადაგვარდება, რომ მისგან მხოლოდ სხვათა სიძულვილი რჩება. ფაშისტებს ჰგონიათ, რომ, რაც უფრო სძულთ სხვები, მით მეტად უყვართ და ემსახურებიან თავისას. ასეთია ფაშისტური პატრიოტიზმის ფსიქოლოგიური თავისებურებანი. საერთოდ, პატრიოტიზმი უაღრესად ფაქიზი, რთული და, მე ვიტყოდი, ძალიან საშიში მოვლენაცაა, ვინაიდან ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს. გიყვარდეს შენი ისე, რომ არ დააზიანო სხვისი, ძალიან მაღალ კულტურასა და ინტელექტს მოითხოვს. სამშობლოს სიყვარული კარგად შესრულებულ მოვალეობაში გამოიხატება და არა გულზე მჯიღის ცემაში. ფაშისტები პირიქით იქცევიან. ისინი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან სამშობლოზე, რაც კატასტროფულ შედეგამდე მიდის. სამშობლოს თავშეკავებული სიყვარული ნამდვილი პატრიოტიზმია, სამშობლოს მყვირალა (რეგვენული) სიყვარული კი, რომლის რეციდივები ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში ბევრი გვინახავს, ფაშიზმია. **დღევანდელ დასავლეთშიც (ისევე, როგორც საქართველოში), სამწუხაროდ, პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს რუსეთის სიძულვილი უფრო ასულდგმულებს, ვიდრე საკუთარი სამშობლოს სიყვარული. ეს სიძულვილი თანდათანობით ემსგავსება და უტოლდება კიდეც მეოცე საუკუნის ევროპელი ფაშისტების უკიდეგანო სიძულვილს სლავების, ებრაელების, ბოშებისა და სხვათა მიმართ.** თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთში ანტისემიტიზმის ყოვლად სამარცხვინო და საყოველთაოდ დასაგმობი მოვლენა დღევანდელმა რუსოფობიამ ჩაანაცვლა. ამ სენითაა დაავადებული დღევანდელი უკრაინის ხელისუფლება. ამ სენით იყო დაავადებული საქართველოს ნაციონალური ხელისუფლება. დგას იმისი საშიშროებაც, რომ ამ სენითვე დააავადონ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც. **დასავლური კაპიტალიზმი მისი უკიდურესად გამწვავებული კრიზისების ახსნას რუსეთის ფენომენისა და ფაქტორის არსებობით ცდილობს და, მზაკვრულად დახვეწილი მრავალი პროპაგანდისტული ეფექტის გამოყენებით ხშირ შემთხვევაში ახერხებს კიდეც, რომ ყოველი მისი წარუმატებლობა, მსოფლიოში არსებულ უამრავ სხვა პრობლემასთან ერთად, რუსეთს გადააბრალოს.** საქართველოსთვის დასავლეთი, დიდი ხანია, კამერტონის როლს ასრულებს. განსაზღვრავს ის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ ტონალობას და საქართველოც სწორედ ამ ტონალობაში აგუგუნდება მისთვის დამახასიათებელი ხმაშეწყობილი ბანებით. სძულს დასავლურ პოლიტიკურ ბომონდს რუსეთი, მაშასადამე, საქართველოსაც სძულს რუსეთი. გმობენ ევროპაში რუსულ პოლიტიკას, მაშასადამე, საქართველოშიც გმობენ რუსულ პოლიტიკას.

## დასავლეთის ჰეგემონია დასასრულს უახლოვდება. ძველი ეპოქა მიდის, ახალი ეპოქა მოდის. ეს მარადიული პროცესია, რომელიც ჯერაც ვერავინ შეაჩერა. მით უმეტეს, ვერ შეაჩერებს სიცრუითა და ფარისევლობით გაჯერებული ბინძური ამერიკული იმპერია, რომელმაც მსოფლიოს ისტორიაში ვერაგობისა და უსამართლობის ყველა რეკორდი ჯერ კიდევ 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს მოხსნა, როდესაც მშვიდობიან ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური ბომბები დააყარა




**ეს ვრცელი შესავალი იმის სათქმელად დამჭირდა, რომ რუსოფობია დასავლეთიდან მოდის. ნუ მოიტყუებთ თავს იმით, რომ რუსეთმა ტერიტორიები წაგვართვა და აქედან მოდის ჩვენი ანტირუსული განწყობები (აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემები შედეგია და არა — მიზეზი). რომელი ტერიტორიების დაკარგვაზე იყო საუბარი იმ დროს, როდესაც ანტირუსული ისტერიკით იყო გაჯერებული ე.წ. ეროვნული მოძრაობა?!** ჩემი თაობის ხალხს, რა თქმა უნდა, იქამდეც ახსოვს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ანტირუსული გამოხდომები. ეს რეციდივები, დაკარგული ტერიტორიებით კი არა, დასავლეთის სპეცსამსახურების კარგი მუშაობით უნდა ავხსნათ. უბედურება ის არის, რომ **ამ განწყობების შექმნით დასავლეთმა არამხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ საქართველოს დაშლასაც მიაღწია. რუსოფობიის გაღვივებით დასავლეთი საკუთარ თავსაც აზიანებს, მაგრამ ამაზე თვითონ იდარდოს. ჩვენ კი საკუთარ თავს მივხედოთ. რუსეთთან მტრობას მასთან მეგობრობა რომ სჯობს, ეს ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა თუ იცოდნენ, არც ჩვენ გვაწყენს ამ ჭეშმარიტების ცოდნა.** დავაკვირდეთ, რა ხდება დღეს რუსეთის ირგვლივ. დავაკვირდეთ, რა ხდება შავ ზღვაში და, მივხვდებით, რომ **რუსეთზე აბსოლუტურად უსამართლო, ფორსირებული, ჰიბრიდული შეტევა მიმდინარეობს. ე.წ. ფეიკნიუსების გავრცელებით დაწყებული და, ნატოს ალყაში მისი მოქცევით დამთავრებული,** რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედებულია ყველა ღონე და საშუალება იმისთვის, რომ იგი კუთხეში მიამწყვდიონ, დააუძლურონ და ისეთივე ფინალი გაუმზადონ, როგორიც საბჭოთა კავშირს. ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ კიდევ გავიმეორებ: აშშ და კოლექტიური დასავლეთი, სადაც მოქმედებენ, ყველგან რუსეთს ებრძვიან. დასავლეთმა უკრაინის შემდეგ ბელარუსი ამოიღო მიზანში და ესეც, რა თქმა უნდა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაა, ოღონდ, არამხოლოდ იმის გამო, რომ რუსეთი და ბელარუსი სამოკავშირეო ხელშეკრულებით გაერთიანებული სახელმწიფოებია, არამედ იმიტომაც, რომ რუსეთი და ბელარუსი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია ერთმანეთისთვის. ევროპაში ცდილობენ, რომ ბელარუსისა და პოლონეთის საზღვარზე წარმოშობილი პრობლემა, რომელიც ბელარუსიდან ევროკავშირის მიმართულებით მიმავალ ლტოლვილთა მასას უკავშირდება, ბელარუსის ხელმძღვანელობას გადააბრალონ და მის წინააღმდეგ გამოიყენონ, მაგრამ ნათელია, რომ ბელარუსი არაფერ შუაშია. პრეზიდენტ **ლუკაშენკოს** განცხადებით, მინსკი მეტად ვეღარ შეაკავებს არალეგალურ მიგრანტთა ნაკადს ევროკავშირის მიმართულებით. ახსნა კიდეც ეს მოვლენა: „დასავლეთის მიერ ბელარუსისთვის დაწესებული სანქციების გამო, ამისთვის არც თანხები გვყოფნის და არც ძალა“. **დასავლეთმა ბელარუსს ომი გამოუცხადა მხოლოდ იმის გამო, რომ ბელარუსს არ სურს რუსეთთან ისტორიული ძმობისა და მეგობრობის დანგრევა. ბელარუსი, საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებით, ომს არ უცხადებს რუსეთს. ამიტომაცაა, რომ ევროპა ყველაფერს აკეთებს რუსეთსა და ბელარუსს შორის ბზარის გასაჩენად. პოლონეთის პრემიერმინისტრმა მორავეცკიმ ბელარუსისა და პოლონეთის საზღვარზე წარმოქმნილ გაუგებრობაში არამხოლოდ ბელარუსი და მისი პრეზიდენტი ლუკაშენკო, არამედ რუსეთის პრეზიდენტი პუტინიც დაადანაშაულა:** „პრეზიდენტი ლუკაშენკო პოლონეთზე განხორციელებული შემოტევის შემსრულებელია, მაგრამ ამ შემოტევას ჰყავს შემკვეთი. ეს შემკვეთი რუსეთის პრეზიდენტი პუტინია“. რუსეთისა და მისი პრეზიდენტის მიმართ პოლონეთის პრემიერმინისტრის ამ უტაქტო გამოხდომაშიც ჩანს ევროპის უცერემონიო და აგრესიული დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. ოღონდ რამე მიზეზი იპოვონ, ოღონდ თითზე დასახვევ საბაბს მიაგნონ და უკან არაფერზე იხევენ. **რუსეთის სამხედრო ნაწილების რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილების გამო დასავლეთში ღრიანცელი აქვთ ატეხილი, აშშ-ის სამხედრო გემები კი შავ ზღვაში რუსეთის საზღვრებთან ისე თავისუფლად დაცურავენ და ამერიკული სამხედრო თვითმფრინავები ისე ლაღად ფრენენ, თითქოს ამერიკის მისადგომებთან იმყოფებიან. ეს სულაც არ მეტყველებს რუსეთის სისუსტეზე. ეს თუ რამეზე მეტყველებს, პირველ რიგში, მხოლოდ იმაზე, თუ რა უპასუხისმგებლოდ იქცევა აშშ, ნატო და კოლექტიური დასავლეთი არამხოლოდ რუსეთის, არამედ მსოფლიოს წინაშე. ამ ბრძოლაში ამერიკელთა გამარჯვება გამორიცხულია, რადგან მათ მხარეს ისტორიული სიმართლე არ არის.** რაც მთავარია, მათ არ შერჩათ არც ერთი (იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო) რესურსი ამ დაპირისპირებაში გასამარჯვებლად. რუსეთის პრეზიდენტმა ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა: **„ჩვენ არ მივსულვართ მათთან, მათ გამოიარეს ათასობით კილომეტრი და მოვიდნენ ჩვენს საზღვრებთან. ჩვენ ჩვენს ტერიტორიაზე ვართ და ჩვენი მომავლისთვის ვიბრძვით. მათ იციან, რომ ამ ომიდან გამარჯვებული ვერ გამოვლენ“.**

ამ ვითარებაში ამერიკული სამხედრო გემების მოპატიჟება საქართველოში და მის გემბანზე საქართველოს პრემიერმინისტრის მიერ ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების წარმოთქმა ის ისტორიული და სტრატეგიული შეცდომაა, რომელიც საქართველოსთვის შორეულ პერსპექტივაშიც კი სასიკეთოს ვერაფერს მოიტანს, მისი ტერიტორიული გამთლიანებისა და სულიერ-ეკონომიკური აღორძინებისთვის კი უაღრესად საზიანოა. საქართველოს დღეს არაფერი ისე არ აკლია, როგორც გამჭრიახი პოლიტიკა და პოლიტიკოსები, რომელთა გარეშეც არც ერთი ხალხი და არც ერთი სახელმწიფო ფეხზე არასოდეს წამომდგარა.

ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისთვის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს. ესაა ახალი, თანამედროვე კავშირის შეკვრა, რომლის საუკეთესო მაგალითს რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფო იძლევა. პუტინიც და ლუკაშენკოც გამჭრიახი და შორსგამხედვარე პოლიტიკოსები არიან, რომელთა მსგავსი საქართველოს ჰაერივით სჭირდება.

**P. S. უკვე აუტანელია ლაპარაკი იმაზე, რომ სააკაშვილი რუსეთის კაცია და, აქედან გამომდინარე, მან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთს ჩააბარა. ეს წმინდა წყლის ამერიკული დემაგოგიაა. ნიკარაგუის დიქტატორ სომოსას მისამართით აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტის ნათქვამის პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, სააკაშვილი ძაღლისშვილია, მაგრამ ის ამერიკელი ძაღლისშვილია. ეს კი სამუდამო მოცემულობაა. ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო, ქართული ანდაზაა, რომელიც ამერიკელ ძაღლებზეც ვრცელდება...**

**სააკაშვილი შემთხვევით არ აღმოჩენილა ქართულ ციხეში. ამერიკელები ერთხელ კიდევ შეეცდებიან უკვე გაჭრილი კარტის გათამაშებას საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ.**

**სიტუაცია ყოველ წამს იძაბება და, სანამ ეს სტატია გამოქვეყნდება, შესაძლებელია, მსოფლიოში სულ სხვა ვითარება იყოს, ვიდრე ამ წუთისთვის არის.**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მოვითხოვთ, სახელმწიფო მართვის სტრუქტურებიდან, განსაკუთრებით სანმართალდამცავი ორგანოებიდან, დაითხოვონ თბილად მოკალათებული ნაციოანალები, რომლებიც შიგნიდან ანგრევენ ქვეყანას, ყოველივე ქართულს! საერთოდ აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“! ეს უნდა აღსრულებულიყო 2012 წელს, როცა დამარცხდნენ. სამშობლოს, სარწმუნოების ინტერესები თავდადებას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისგან“.

მამა ბასილი (მკალავიშვილი):

# ზიარება მონანულს, მარხულს ეკუთვნის. შიმშილობა ეკლესიურად აკრძალულია

**ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება დღითიდღე მძიმდება, რევოლუციის საფრთხე კვლავ რეალურია. ქვეყნის ნომერი პირველი დესტრუქციული ძალა გადატრიალების პროვოცირებას ყველა საშუალებით ცდილობს. 9-წლიანი მკვლელი რეჟიმი პოლიტიკური მეორედ მოსვლისთვის ყველაფერს იკადრებს. ის, რომ სააკაშვილის გარემოცვა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მსხვერპლსაც არ მოერიდება, უკვე აშკარაა. ამ პროცესში მათთვის დაბრკოლება (არც მორალური და არც პოლიტიკური) არ არსებობს. ძალადობა, სისხლი და დაპირისპირება მათი უცვლელი სტილია, უცვლელია სტრატეგიაც, რომ სიცრუითა და დეზინფორმაციით საზოგადოებაში საპროტესტო მუხტის აწევა სცადონ... გთავაზობთ ინტერვიუს გლდანის ივერიის ღმრთისმშობლის ტაძრის წინამძღვართან, მამა ბასილთან (მკალავიშვილთან), რომელიც სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა ერთ-ერთი პირველი ამოიღო სამიზნეში...**

## «მწვალებელ სააკაშვილს საპატრიარქოში ჰყავდა თაყვანისმცემელი იერარქები, რომელთაც მისი სურათები კელიაში კედელზე ჰქონდათ ჩამოკიდებული»



## «ბატონო ირაკლი, თქვენ თუ ამ მანქურთებს დაუთმობთ ჩვენს ბედკრულ, მრავალჭირგამოვლილ ქვეყანას, ჩათვალეთ, რომ საქართველო აღარ იარსებებს და ღმრთის რისხვაც არ აგვცდება!»

**— მამაო, 2 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში რთული ვითარებაა. პოლიტიკური დაძაბულობა პიკს აღწევს. ყველაზე მთავარი და, ალბათ, საგანგაშოც, რაც ამ პროცესებში იკვეთება, არის ის, რომ დანაშაულებრივი ძალა ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროვოცირებას ცდილობს. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები უკვე დაუფარავად აცხადებენ, რომ არჩევნებს აზრი არ აქვს და საჭიროა „მშვიდი რევოლუცია...“ როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს?**

— ქვეყანაში დაძაბული მდგომარეობაა სააკაშვილის „მოღვაწეობის“ პირველი დღიდანვე, და დაძაბულობა იქნება მანამ, სანამ არ მიეზღვება მას თავის ბანდასთან ერთად, რასაც იმსახურებენ. შეძრწუნებული ვარ. **დღეს დაძაბულობამ პიკს მიაღწია და ფაქტობრივად, ცირკის არენად ვიქეცით, სადაც ყოველდღიურად იმართება საცირკო წარმოდგენები. ავტორია საქართველოსა და უკრაინის დამსახურებული მსახიობი, ჯამბაზი და ჯალათი სააკაშვილი,** რომელსაც უკრაინაში შენობის სახურავზე დასდევდნენ დასაჭერად, რესტორნიდან თმებით გამოათრევდნენ ხოლმე და ა.შ. ახლა მორიგი წარმოდგენა დადგა — ჩაჯდა ტრაილერის რძისა და არაჟნის კონტეინერში და შემოიპარა საქართველოში. მგზავრობისას იმდენი არაჟანი მიირთვა, საპატიმროში შესვლისთანავე შიმშილობა გამოაცხადა. დაკავების მომენტში ხინკლებს მიირთმევდა, თან არაყს აყოლებდა. პოლიციას თავი დააჭერინა და საკმაოდ მხიარული (მომღიმარე) განწყობით დაიმკვიდრა ადგილი კეთილმოწყობილ ციხეში. შიმშილობის იმიტაციით საკმაოდ იღებდა ორგანიზმისთვის საარსებო კალორიებს.

ჯამბაზი სააკაშვილი სიგიჟესაც კარგად ითავსებს. 2003 წელს ძალისმიერი მეთოდებით პარლამენტში შევარდა; გიჟმა „ურალის“ მარკის მანქანით ეკლესიის კარი შელეწა; ტელევიზია დაარბია; ციხეში ადამიანებს ცოცხებით აუპატიურებდა; თავისი ხალხი დაბომბა პატარა ბავშვებთან ერთად... არ იფიქროთ, იმიტომ განვიკითხავ, ჩვენი ეკლესია რომ დაარბია, არა. დარბევის წინა დღეს, 11 მარტს ჩემი მრევლის რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად სახალხო დამცველის ოფისის ეზოში ვამხილე სააკაშვილი, ვთქვი, რომ მის პრეზიდენტობას სავალალო შედეგი მოჰყვებოდა. მართლაც — **ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იელოველთა სექტა, რომელიც ბატონმა გურამ შარაძემ გააუქმებინა ხელისუფლებას, სააკაშვილმა რეგისტრაციაში გაატარა. ბატონი გურამი გამუდმებით ამხელდა სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს, რის გამოც ილია ჭავჭავაძის 100 წლისთავის დღეს ქალაქის ცენტრში, ქუჩაში დახვრიტეს. მე კი, ერთ მღვდელს, არ მაპატიეს სარწმუნოების დაცვა, არ მაპატიეს, რომ მარტო ვებრძოდი მსოფლიო ბოროტების მანქანას და 5 წელი გისოსებს მიღმა მამყოფეს...** რაც შეეხება იმას, რომ დანაშაულებრივი ბრბო დესტაბილიზაციას ცდილობს, არა, უკვე ახორციელებს არეულობას და აცხადებს, საჭიროა „მშვიდი“ რევოლუციაო, იქნებ თქვენ ამიხსნათ, რას ნიშნავს მშვიდი რევოლუცია...

**— რაც 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის რეჟიმმა აკეთა, ცხადია, არავის დავიწყებია, მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტია: არჩევნებზე მათ შთამბეჭდავი შედეგი ჰქონდათ. 14 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზეც შეძლეს რამდენიმე ათასი ადამიანის გამოყვანა. თქვენ, როგორც რეჟიმის მიერ დაზარალებული სასულიერო პირი და დარბეული ტაძრის წინამძღვარი, როგორ ფიქრობთ, რასთან გვაქვს საქმე, რისი შედეგია ის, რომ ამდენი წლის შემდეგაც ქვეყნის პირველი დესტრუქციული ძალა ისევ პოლიტიკური პროცესების ავანგარდშია?**

— გეთანხმებით, ფაქტია, მათ გარკვეული შედეგი ჰქონდათ არჩევნებში. მიზეზზე ლაპარაკი ცოტა შორიდან დავიწყოთ. 2012 წელს ბატონმა ივანიშვილმა ქვეყანას ჯალათი მოაშორა — მკვლელი სააკაშვილი, რაც მიუღებელი იყო ოკეანის გაღმელთათვის, საზოგადოდ, დასავლეთისთვის — მათთვის, ვინც თავგამოდებით იცავენ ლგბტ პირების უფლებებს. მათ **საქართველოს მიზანმიმართულად მოახვიეს თავს ე.წ. კოაბიტაცია, რითაც ისარგებლეს ნაცსექტის წარმომადგენლებმა და ძალის მოკრება დაიწყეს, რადგან ქვეყნის მართვის ყველა რგოლში, ყველა დაწესებულებაში სააკაშვილის წიწილები დარჩნენ. ამას ხელი შეუწყო ხელისუფლების ჰუმანურობამ და შედეგი აშკარაა.** ისიც გაითვალისწინეთ, რომ მმართველი პარტიის გარდა, სხვა ე.წ. პარტიები — ყველანი ერთნი არიან თავიანთი ამბიციებით. რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა“ იქნება ავანგარდში, რადგან ჩვენს ქვეყანას ღალატი შინაური მტრებისა თუ მოძმხვდურთაგან ლაიტმოტივად გასდევს, შინაური მოღალატენი კოლოსალურად ფინანსდებიან საზღვარგარეთელი მფარველებისგან. სწორედ ეს იყო ძირითადი იარაღი 14 ოქტომბერს, როცა თავისუფლების მოედანზე გაუთვითცნობიერებელმა ადამიანებმა, 50–100 ლარად მოსყიდულებმა მოიყარეს თავი. ხალხის სიმრავლე ბევრს არაფერს წყვეტს, მთავარია, რისთვის დგახარ, რას მოითხოვ, რა მიზანი გამოძრავებს. მათი მოთხოვნები და ღრიალი ყოველგვარ ობიექტურ რეალობას მოკლებულია.

**— სააკაშვილის პატიმრობასა და მის ყბადაღებულ შიმშილობაზეც გკითხავთ. სამწუხაროდ, აღმოჩდნენ სასულიერო პირები, მათ შორის მაღალი იერარქებიც, რომლებიც მას ხან დავით აღმაშენებელს ადარებენ, ხან დემეტრე თავდადებულს და ა.შ. ზოგმა ქრისტესაც კი შეადარა. რას ფიქრობთ ამ ადამიანებზე, მათ საქციელზე და, საერთოდ, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

— მწვალებელ სააკაშვილს საპატრიარქოში ჰყავდა თაყვანისმცემელი იერარქები, რომლებსაც მისი სურათები კელიაში კედელზე ჰქონდათ ჩამოკიდებული და მასზე ლოცულობდნენ. როცა მათი მამა-მარჩენალი კიევში გადასახლდა, მის გზას გაჰყურებდნენ. სამწუხაროდ, **საპატრიარქოში ბევრი განიხილავდა სააკაშვილს აღმაშენებლის, დემეტრე თავდადებულის დარად. ისინი ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი იყვნენ. სააკაშვილს რამე ქრისტიანული რომ ჰქონდეს, ამდენ სისაძაგლეს ჩაიდენდა? ან ქვეყანას, რომელსაც თავისად თვლის, ასე მოექცეოდა? მეუბნებით, ზოგი ქრისტესაც ადარებსო, ახლა მე გეკითხებით, ღვთისმსახურად, ქრისტეს სჯულის დამცველად შეიძლება ჩაითვალოს ის სასულიერო იერარქი, რომელიც ასეთ მკრეხელობას წარმოთქვამს?** ახლა **მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა** აზიარა სააკაშვილი. ეს ზიარება კანონიკურად არ ჩაითვლება, რადგან ზიარება მონანულს, მარხულს ეკუთვნის. შიმშილობა ეკლესიურად აკრძალულია. ზიარების მიმღები ცოდვებს ინანიებს. **სააკაშვილს იმდენი მკვლელობა აქვს ჩადენილი, უწინარესად, ერის წინაშე უნდა შეინანოს და შენდობა ითხოვოს. შენდობა ითხოვოს შვილმკვდარი მშობლების წინაშე, უმოწყალოდ ჩახოცილი ახალგაზრდების ხსოვნის წინაშე. მე არ ვიცი, სააკაშვილმა რა შენდობა სთხოვა მეუფე ნიკოლოზს, რა ცოდვები მოინანია, ეს აღსარების საიდუმლოა, მაგრამ პატიმარი, რომელსაც არანაირი სინანული არ გააჩნია, ზიარების ღირსი არ არის.**

**— მამაო, რას ფიქრობთ, ვინ აგულიანებს სააკაშვილს ასეთი გაუწონასწორებელი ნაბიჯების გადასადგმელად, ნუთუ მას არ ჰყავს მრჩეველი?**

— სააკაშვილი ისეთი გაუწონასწორებელი პიროვნებაა, მისი საქციელის გაკონტროლება შეუძლებელია. ისე, იქნებ ახლა საპყრობილეში მაინც ჰქონდეს იმდენი დრო, რომ დაფიქრდეს, გააცნობიეროს, რამდენი ბოროტება ჩაიდინა, რამდენი ადამიანი გაამწარა, რამდენის დედა ძაძებით შემოსა, რამდენი ბავშვი ობლად დატოვა... ეს ერთი და მეორე: **როგორ ბედავს სააკაშვილის დამცველი აღვირახსნილი ბრბო საკუთარი თავის პატრიოტად გამოცხადებას, როცა ქვეყანას ტერორში ამყოფებს? დაიღალა ხალხი, დაიღალა საქართველო, შფოთავენ წინაპართა სულები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე. პარლამენტის წინ, გამზირზე, სადაც იკრიბებიან და არის ერთი გნიასი, 9 აპრილს ხომ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები დაიღუპნენ.** ნუთუ არ შეიძლება აიკრძალოს იმ პატივმისაგებელ ადგილას ასეთი გაუთავებელი წივილ-კივილი?... დავდოთ პირობა, რომ ყოველი ჩვენგანი სათუთად შევინახავთ მათი სულების სამყოფელს. რაც შეეხება სააკაშვილის ▶

# როგორ ბედავს სააკაშვილის დამცველი აღვირახსნილი ბრბო საკუთარი თავის პატრიოტად გამოცხადებას, როცა ქვეყანას ტერორში ამყოფებს? დაიღალა ხალხი, დაიღალა საქართველო, შფოთავენ წინაპართა სულები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე. პარლამენტის წინ, გამზირზე, სადაც იკრიბებიან და არის ერთი გნიასი, 9 აპრილს ხომ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები დაიღუპნენ.

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გარემოცვას, სააკაშვილის პოლიტიკურ გუნდს ვგულისხმობ, აშკარაა, რომ ისინი ახლა ისე არიან დაბოღმილი და გაბოროტებული, ყველაფერს იკადრებენ — პროვოკაციებს, არეულობებს, ომსაც კი... სხვათა შორის, მინდა გავიხსენოთ, 2007-2008 წლებში სააკაშვილი პიროვნულად როგორ შეურაცხყოფდა რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** — „ლილიპუტი“, „ქონდრისკაცი“. ეს იყო პირდაპირი პროვოკაცია და პასუხმაც არ დააყოვნა. მივიღეთ ომი, რომელმაც მოგვიტანა ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა. აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ თავიანთ აქციებზე ისინი ისევ ლანძღავენ რუსეთს, შეურაცხყოფენ მის დროშას და ისევ უშვერი სიტყვებით მოიხსენიებენ პუტინს. რისთვის კეთდება ეს ყველაფერი? ძალიან მარტივი რამისთვის — ისევ დაძაბონ ვითარება, გაამწვავონ და კიდევ ერთი დაპირისპირება დაიწყოს.

**— მედიაც ხომ დიდ როლს ასრულებს ამ ყველაფერში?**

— ცხადია. საქართველოში, საუბედუროდ, მორალურად მოშლილი ტელევიზიების უმეტესობა ნაციონალების გავლენის ქვეშაა, ამიტომ, რა თქმა უნდა, **შემთხვევითი არ არის, რომ მათ ეთერებში რეგულარულად გამოდიან ევროპული „ფერადი სარწმუნოების“ დამცველები და საზოგადოებას ჭკუას არიგებენ. მიზანი გასაგებია, გათვლა კეთდება იმაზე, რომ მოგვისპონ ოცსაუკუნოვანი სარწმუნოება და ქართველი ერი ლგბტ–თა დამცველად აქციონ.** აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, თქვენი ნებართვით, მივმართო **ინგა გრიგოლიას,** რომელმაც თქვა: „ასე როგორ უნდა მოექცე შენს პრეზიდენტს... როგორც მოკლეს პირველი პრეზიდენტი...“ **ვეკითხები გრიგოლიას: როგორ ბედავთ და საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას, აიგივებთ სააკაშვილთან, როგორ სპეკულირებთ მისი სახელით?! იქნებ მოიგონოთ, როგორ დაუშინეს ჭურვები მას, როგორ გააძევეს სამშობლოდან; როგორ უღალატეს, როგორ გაწირეს... ეს ერთი და მეორე — დაგავიწყდათ „იმედის“ დარბევა, მიწაზე რომ ხოხავდით, ფეხშიშველი ჩირგვებში რომ იმალებოდით თავის გადასარჩენად?! ახლა ამ უბედურების ავტორს ტელესტუდიიდან ეკეკლუცებით და ერთგულებას ეფიცებით?** შეიკრიბეთ ერის მოღალატეთა სექტის სადგომში და ერთმანეთს ეცილებით ე.წ. პატრიოტები სხვის განკითხვაში. გრიგოლია, გონს მოეგე, ეცადე, მოთოკო ზღვარგადასული ემოციები და დაიბრუნო პატივისცემა ერისა!

**— მიდის საუბრები იმაზეც, რომ მუდმივი დესტრუქცია ეკლესიისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ, მათ შორის პეტრე ცაავას გარემოცვის მიერ ჭყონდიდში დატრიალებული ამბებიც, ეკლესიის გახლეჩვის მცდელობაა. სქემა და სცენარიც გასაგებია — ალბათ, ყველაფერი ისე და იმგვარად უნდა მოხდეს, როგორც, ვთქვათ, უკრაინაში... რეალურია ეს ყველაფერი?**

— ეკლესია წარმართველი ძალაა ერის ყოფიერებისა. ეკლესიის ჩამოშლა ერის რღვევას მოასწავებს. ნაციონალებმა პირდაპირი იერიში მიიტანეს ეკლესიაზე. მე ვგრძნობდი ყოველივეს და ვაფრთხილებდი საპატრიარქოს. არ მომისმინეს, ამიტომ განზე გავდექი და განვაგრძე ღვთისმსახურება. უკრაინის ეკლესია წარსულ წლებში რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. მას ავტკეფალია არ ჰქონია. რუსეთსა და უკრაინას შორის დაპირისპირების შემდეგ უკრაინის ეკლესია ორად გაიყო, ერთი ნაწილი რუსეთის ეკლესიას გამოეყო და დამოუკიდებლად დაიწყო ფუნქციონირება, რაც მსოფლიო პატრიარქმა დაუდასტურა. დღეს, ფაქტობრივად, ორად არის გაყოფილი: ნაწილი რუსეთს ემორჩილება, ნაწილი — უკრაინას. **პეტრე ცაავას** მიზანი იყო, თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდოდა, ის პატრიარქის სავარძელს დაიკავებდა. ეს არასოდეს მოხდება, მოსაყდრე **მეუფე შიოა** და მისგან ელის ერი ეკლესიის განწმენდას ულირსთაგან...

**— ბოლოს გამოსავალზეც გკითხავთ, ბოლო არჩევნებმაც ცხადყო, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით 40-50%, უბრალოდ, არ მონაწილეობს მიმდინარე პროცესებში. ხალხი აზრს ვერ ხედავს რომელიმე მოქმედი ძალისთვის მხარდაჭერის გამოცხადებაში. ადრე ვამბობდით, რომ ეს ნიჰილიზმია და ყველას ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული, თუმცა, როგორც ჩანს, ასე არ არის, საზოგადოება რეალურ პოლიტიკურ ალტერნატივას ელოდება, რეალურ ძალას, რომელიც ლიბერალური დასავლეთიდან მიღებულ ბრძანებებსა და დირექტივებზე არ იქნება დამოკიდებული. ხედავთ დღეს ასეთი ძალის ფორმირების შესაძლებლობას?**

— მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არჩევნებში არ მონაწილეობს, ეს არახალია, ისიც ფაქტია, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი გაურკვევლობაშია, ვერ გადაუწყვეტია, ვის დაუჭიროს მხარი, მაგრამ არჩევნები, ფაქტობრივად, სათანადოდ ჩატარდა. **რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა ელოდება ალტერნატიულ ძალას, რომელიც არ დაემორჩილება დასავლეთის მითითებებს და იმოქმედებს ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ესეც ლოგიკურია. ვხედავ ამ ძალას ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის სახით, ის თავის ხალხს უფრო უსმენს, ვიდრე დასავლეთის ბრძანებებს. მთავარია, კურსს არ გადაუხვიოს, მხოლოდ ღმერთზე დამოკიდებულებით იმოქმედოს,** რადგან, თუ ღმერთი რაიმეს შესრულებას დაგავალებს, მის აღსრულებაშიც მოგაგებს შემწეობას. აღვნიშნავ, რომ დღევანდელ უმძიმეს პერიოდში ქვეყნის მართვა ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი გუნდისთვის მეტად მძიმე ჯვარია, თანაც დიდი გამოცდა, რადგან ღმერთმა თუ არ შეგიჭირვა, ძნელია, გაიგო, ღმრთისა ხარ თუ ბარაბასი. წმიდა მათეს სახარებაც გვამცნობს: **„...ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს.“**

ბოლოს, მინდა მივმართო

**«საპატრიარქოში ბევრი განიხილავდა სააკაშვილს აღმაშენებლის, დემეტრე თავდადებულის დარად. ისინი ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი იყვნენ. სააკაშვილს კი რამე ქრისტიანული რომ ჰქონდეს, ამდენ სისაძაგლეს ჩაიდენდა? ან ქვეყანას, რომელსაც თავისად თვლის, ასე მოექცეოდა? მეუბნებით, ზოგი ქრისტესაც ადარებსო, ახლა მე გეკითხებით, ღვთისმსახურად, ქრისტეს სჯულის დამცველად შეიძლება ჩაითვალოს ის სასულიერო იერარქი, რომელიც ასეთ მკრეხელობას წარმოთქვამს?»**



მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ადეიშვილი საპატრიარქოში ილია მეორესთან

**«მივმართავ ხელისუფლებას: მეტის დათმენა აღარ შეიძლება, ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე დგას. თქვენ ქართველი ხალხის უმრავლესობამ კიდევ ერთხელ დაგიდასტურათ თანადგომა, რის გამოც ხელისუფლება ვალდებულია თითოეული ამომრჩევლის წინაშე. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ფეხქვეშ გავთელოთ წინაპართა რუდუნებით ნაკოწიწები, სიცოცხლის ფასად დაცული ერის მენტალიტეტი, იდენტობა, სარწმუნოება, რომელსაც არად აგდებენ დესტრუქციული ძალები «ბელადის» მეთაურობით»**

**გიული ალასანიას,** რომელიც, ეს დღეებია, განცხადებას განცხადებაზე აკეთებს. მესმის, რომ დედა ხართ (ყველა მშობლისთვის შვილი უძვირფასესია) და მიმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ერთადერთ შვილს მიკლავენ, მიშველეთო, მაგრამ **თქვენი შვილი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. არადა, ის ისეთივე პატიმარია, როგორც სხვა. უფლის სამსჯავროზე ყველანი წარვდგებით. ისე, ქალბატონი ირინა ენუქიძე არ იყო დედა?! ქალბატონი ია მეტრეველი და ბატონი თამაზ მოლაშვილი არ იყვნენ მშობლები? ვაზაგაშვილები არ იყვნენ მშობლები?! რომელი ერთი ჩამოვთვალო.** ხალხს თვალებში ნაცარს აყრით და აცხადებთ, ჩემი პატრიოტი შვილი თავგანწირული იბრძოდა ცხინვალის ომში და 20% რუსეთმა წაგვართვაო... **იქნებ დაფიქრდეთ ყოველივე ამაზე და სიმართლეს თვალი გაუსწოროთ. იქნებ, შეწყვიტოთ და მართლა შეინანოთ ყველაფერი, რაც დაუშავეთ საქართველოს, რაც დაუშავეთ სახელმწიფოს და ქართველ ხალხს!..**

**— რაც შეეხება ისევ შიმშილობის თემას, რომელზეც ნაწილობრივ უკვე ისაუბრეთ, სააკაშვილს სოლიდარობა ათეულობით ადამიანმა გამოუცხადა, მათ შორის, ოპოზიციის 10 დეპუტატი პარლამენტში შიმშილობს. მათი აზრით, ხელისუფლებას ამით სერიოზულ პოლიტიკურ დისკომფორტს შეუქმნიან და აიძულებენ, „ნაცმოძრაობის“ მოთხოვნები შეასრულოს?..**

— ვიცოდი, რომ სააკაშვილი შიმშილობას გამოაცხადებდა, ვინაიდან ის **არ ენდობა თავისიანებსაც კი, რადგან თავადაც შეუგზავნია მოწამლული საჭმელი პატიმრებისთვის, პირადად ჩემთვისაც. მარხვაში მოწამლული ხორციანი საჭმელი შემომიგზავნეს ციხეში.** სააკაშვილმა იცის, რომ მასაც ანალოგიურს გაუკეთებენ და ამიტომ გამოაცხადა შიმშილობა, თუმცაღა უკვე გითხარით, ორგანიზმის არსებობისთვის საჭირო საკვებს იღებს, რაც შიმშილობაში არ შედის. ერის სახელით **მივმართავ ხელისუფლებას: მეტის დათმენა აღარ შეიძლება, ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე დგას. თქვენ ქართველი ხალხის უმრავლესობამ კიდევ ერთხელ დაგიდასტურათ თანადგომა, რის გამოც ხელისუფლება ვალდებულია თითოეული ამომრჩევლის წინაშე. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ფეხქვეშ გავთელოთ წინაპართა რუდუნებით ნაკოწიწები, სიცოცხლის ფასად დაცული ერის მენტალიტეტი, იდენტობა, სარწმუნოება, რომელსაც არად აგდებენ დესტრუქციული ძალები „ბელადის“ მეთაურობით.** შეჭირვებულმა ხალხმა რომელი ერთი გადახარშოს — ეკონომიური სიდუხჭირე თუ ამ ზღვარგადასული, გადამეტებული კოაბიტაციით გაძლიერებული, გატუტუცებული, ფსიქიკურად შეშლილი ბრბოს უმართავი, ქვეყნის დამაქცევარი ქმედებები? ასეთ დამნაშავეებს წარსულში თვითონ ხალხი ასამართლებდა: **სააკაშვილისთვის თავისუფლების მოთხოვნა კი არა, საღად მოაზროვნე ადამიანი ნიურნბერგის მსგავსი პროცესის ჩატარებას მოითხოვდა სააკაშვილის კრიმინალური ბანდის განსასჯელად. ჩვენთვის არც ევროპა, არც ამერიკა არ შეიწუხებს თავს, პირიქით, ქართველთა ურთიერთდაპირისპირება ხელს აძლევთ.**

ქვეყნისა და სარწმუნოების დაუძინებელი მტრები ნაციონალების სახით აცხადებენ, რომ არ მოისვენებენ, სანამ არ ჩამოშლიან სისტემას და საწადელს არ მიაღწევენ. თუ მათ ნახევარ მილიონამდე ამომრჩეველი ჰყავთ (ამ რაოდენობით ხომ არ განისაზღვრება საქართველოს მოსახლეობა), დანარჩენი ხომ სამი მილიონი ვართ? ჩვენ რა დავაშავეთ? მოთმენასაც საზღვარი აქვს. ნუთუ არ შეიძლება ამ კრიმინალებს სათანადო ადგილი მიუჩინონ? ყველამ ერთად ვუთხრათ დასავლეთს, რომ ღმრთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყანა მონა არ გახდება, ვუთხრათ, კანონის უზენაესობის შესახებ, ვუთხრათ, რომ არანაირი დროებითი რეგალიების საპირწონედ არ დავდებთ ჩვენს ოცსაუკუნოვან მონაპოვარს. **დიდი ილია ბრძანებს: „საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის შეარყევინა... გულში ღრმად და მკვიდრად განბნეული ჯვარი...ნათელი ბნელზე ვერ შეაცვლევინა“.** ეს ყველაფრის მთქმელია.

**ბატონო ირაკლი, თქვენ თუ ამ მანქურთებს დაუთმობთ ჩვენს ბედკრულ, მრავალჭირგამოვლილ ქვეყანას, ჩათვალეთ, რომ საქართველო აღარ იარსებებს და ღმრთის რისხვაც არ აგვცდება!**

მოვითხოვთ, სახელმწიფო მართვის სტრუქტურებიდან, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოებიდან დაითხოვონ თბილად მოკალათებული ნაციონალები, რომლებიც შიგნიდან ანგრევენ ქვეყანას, ყოველივე ქართულს! საერთოდ, აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“! ეს უნდა აღსრულებულიყო ჯერ კიდევ 2012 წელს. სამშობლოს, სარწმუნოების ინტერესები თავდადებას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისგან...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## დემოგრაფიული ვითარება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1994 წლის შემდგომ 2014 წელს აღირიცხა – 11 548 კაცი. 2020 წელს კი ქვეყანაში გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა რაოდენობაზე მეტი იყო, ხოლო შობადობის კოეფიციენტი 2008 წლის შემდეგ — ყველაზე დაბალი. დემოგრაფიული მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.**

# მკვიდრი მოსახლეობის დაბერება, შობადობის კლება — ქართველი ერი გადაშენების გზაზეა

**1 იანვრიდან საქართველოში პენსია 20 ლარით მომატებს. მომატება ყოველთვის კარგია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რა ტემპით მატულობს ფასები პროდუქტებზე, წამლებზე, საწვავზე და საერთოდ, ყველაფერზე, მივხვდებით, რომ ეს 20 ლარი დიდი შეღავათი ნამდვილად არ არის. პენსიონერებს საქართველოში ძალიან უჭირთ და ამას ისიც დაემატა, რომ ვერაგი ვირუსი სწორედ საპენსიო ასაკის ადამიანებს ურტყამს და ცელავს დაუნდობლად.**



საქართველოში პენსიონერების სიმრავლე (ღმერთმა ყველას დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს!) იმით არის განპირობებული, რომ წლებია, დემოგრაფიული პრობლემის წინაშე ვდგავართ. შესადარებლად გეტყვით, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ჩატარებული ბოლო საყოველთაო სახალხო აღწერის მონაცემებით, **1989 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 5 მილიონ 400 ათას კაცს,** რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო პერიოდში. ამის შემდეგ კი საქართველოში ე.წ. დემოგრაფიული ზამთარი დაიწყო. 2021 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 3 728 573 კაცი შეადგინა. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1994 წლის შემდგომ 2014 წელს აღირიცხა – 11 548 კაცი. 2020 წელს კი ქვეყანაში გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა რაოდენობაზე მეტი იყო, ხოლო შობადობის კოეფიციენტი 2008 წლის შემდეგ — ყველაზე დაბალი. დემოგრაფიული მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.**

როგორ არ გავიხსენოთ იაპონელთა კვლევა, რომელიც ორიოდე წლის წინათ გავრცელდა. დაგვზაფრა, მაგრამ მივივიწყეთ. **იაპონელები წერდნენ რამდენიმე ერის შესახებ, რომლებსაც 2050 წლისთვის გადაშენების საფრთხე დაემუქრებოდათ და მათ შორის ვიყავით ქართველები.** მდგომარეობის გამოსწორება ეკლესიამ სცადა, როცა პატრიარქმა განაცხადა, ვისაც მესამე და მომდევნო შვილი ეყოლება, მე მოვნათლავო. საყოველთაო ნათლობა ახლაც იმართება, მაგრამ მოსანათლი ბავშვების რაოდენობა ყოველ ჯერზე კლებულობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორ შვილზე მეტი ჩვენთან იშვიათად ჰყავთ. რეგიონის სხვა ქვეყნებში მოსახლეობა უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე საქართველოში. სპეციალისტების განმარტებით, ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობით ჩვენი ქვეყანა ორგზის დაბერებულად ითვლება. **ეს ნიშნავს, რომ საქართველოში 65 წელს გადაცილებული მოქალაქეების რაოდენობა 15-20%-ის დონეზეა. არადა, 7%-იანი მაჩვენებელიც კი ერის დაბერებაზე მიანიშნებს და ჩვენ ამ დონეს საგრძნობლად გავუსწარით. მდგომარეობა რომ შეიცვალოს, შობადობა, სულ ცოტა, 20 000-ით უნდა გაიზარდოს და მიგრაციის მაჩვენებელი შემცირდეს. რეალურია თუ არა დღევანდელ პირობებში ამის მიღწევა, თავად განსაჯეთ.**

რას აკეთებდა წინა ხელისუფლება იმისთვის, რომ დემოგრაფიული პრობლემა მოგვარებულიყო? — არაფერს. და რას აკეთებს ამჟამინდელი? სამწუხაროდ, პასუხი იგივეა. არადა, სწორედ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს თავისი რესურსით ამ პრობლემის მოგვარებაში. **დასახვეწია მარტოხელა მშობლის სამართლებრივი სტატუსისა და მდგომარეობის განსაზღვრის საკითხი. საქართველოში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მარტოხელა მშობლის სოციალურ გარანტიებს უზრუნველყოფდა, მაშინ, როდესაც საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები სხვადასხვა ქვეყანაში პრივილეგიებით სარგებლობენ. შვილის ყოლა ისედაც მრავალ ფინანსურ საზრუნავთან არის დაკავშირებული. შობადობის კოეფიციენტის გაზრდის მიზნით სახელმწიფომ განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს მარტოხელა მშობლის მიმართ და იგი მყარი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოს.** მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მარტოხელა მშობლების რაოდენობა წლიდან წლამდე სულ უფრო მზარდია. ოჯახის დანგრევა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ამას ტრაგედიად აღარავინ აღიქვამს და დედის ან მამის გარეშე დარჩენილი ბავშვი ბევრია. ამას გარდა, სოციალური სიდუხჭირის გამო საზღვარგარეთ წასული მშობლის გამო ბავშვი უმამოდ ან უდედოდ იზრდება და, რაც მთავარია, მოკლებულია პერსპექტივას, და ან ძმა შეემატოს. მაგალითად, **საფრანგეთმა,** დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების მიზნით 1995-1998 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2,3% მიმართა მიზნობრივი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად. რატომ მოგვაქვს საფრანგეთის მაგალითი? იმიტომ, რომ ფრანგები ზუსტად იმავე პრობლემის წინაშე იდგნენ, რომლის წინაშეც ჩვენ ვართ. **ფერადკანიანების მასობრივმა შედინებამ ქვეყანაში მოიტანა ის, რომ ძალიან ბევრი მარტოხელა დედა გაჩნდა. ლგბტ თემის მხარდაჭერამ, პროპაგანდამ ქვეყანა მიიყვანა იქამდე, რომ რეალურად ფრანგებს მამაკაცის პრობლემა დაუდგათ და ამიტომ ქალები ფერადკანიანებთან ამყარებდნენ ურთიერთობას.** ახლა საფრანგეთში ამ პრობლემაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, მაგრამ ძირძველი ფრანგები ერის გადაშენებაზე წლების წინათ ალაპარაკდნენ და გამოსავალი კანონმდებლობის შეცვლასა და დემოგრაფიის მიმართულებით უდიდესი სახსრების გადასროლით ნახეს. ანალოგიური პრობლემა უდგას დღეს **ბელგიას, ჰოლანდიას** და ეს ქვეყნებიც ფრანგების გამოცდილებაზე სწავლობენ, ცდილობენ მდგომარეობიდან გამოსვლას.

რასაც ახლა გეტყვით, შესაძლოა, სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ... დემოგრაფიული პრობლემა **ჩინეთსაც** დაუდგა. ჰო, ჩინეთს და არა ახლა, არამედ წლების წინათ. ჩინეთს ისე გაუჭირდა დაბერების მაჩვენებლით, რომ 1981 წელს მიღებული დადგენილება „1 ოჯახი — 1 შვილი“ გააუქმა და ოჯახებს 2 შვილის ყოლის უფლება მისცა. ჩინური ეკონომიკის აღმავლობას თუ გავითვალისწინებთ, ქვეყანა იმისთვისაც არის მზად, რომ ოჯახებს 3 შვილის ყოლის უფლება მისცეს. პარალელურად, ჩინეთი ის სახელმწიფოა, რომელიც თავის მოქალაქეებს სხვა ქვეყანაში ბიზნესის აწყობაში ეხმარება. ჰო, ჩინეთში რომ სოციალიზმია და კომუნისტური პარტია, ალბათ, შეხსენება არ გჭირდებათ.

**თუ საფრანგეთს აფრიკიდან ჩასულებმა შეუტიეს, საქართველოში პრობლემა უფრო ფართოა. აქ უკვე აღარავის უკვირს უცხოტომელთა ნახვა, ისინი ყიდულობენ უძრავ ქონებას, აქვთ ბიზნესი, ქორწინდებიან ქართველ გოგონებზე, თხოვდებიან (იშვიათად, მაგრამ მაინც) ქართველ კაცებზე და... არ ვამბობთ, რომ მათ რამე უნდა შევუზღუდოთ, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებს ცოტა უპირატესობა რომ ჰქონდეს, დაშავდება რამე?** უპირატესობა რომ ჰქონდეს კონკრეტული მიმართულებებით, წახალისებული რომ იყოს სახელმწიფოსგან მრავალშვილიანობის გამო, ოღონდ მართლა წახალისებული და არა ისე, მესამე შვილის შემდეგ ყოველთვიურად 10 ლარი რომ ემატება ბავშვზე. აღარაფერს ვამბობთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართულ ოჯახებზე, რომლებიც უკან დაბრუნებაზე ნაკლებად ფიქრობენ. როცა ცოლ-ქმარი, წლებია, ევროპაში ცხოვრობს, იქ დაბადებული ბავშვი საქართველოს ნაკლებად ეგუება და რჩება მხოლოდ ქართული გვარი, შემდეგ მოჰყავთ უცხოელები ცოლად ან თხოვდებიან უცხოელებზე და საქართველოსთვის სამუდამოდ იკარგებიან. გვინდა თუ არა, მაინც მივდივართ სოციალურ სიდუხჭირემდე და გაჭირვებამდე — ერთი ბავშვის შენახვასაც ძლივს ახერხებენ მშობლები და 2-3 ბავშვი უკვე უდიდეს პრობლემად აწევთ.

იქიდან გამომდინარე, როგორ იმართება საქართველოში კოვიდპანდემია, უნდა ვივარაუდოთ, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა არ მოიკლებს. ასეთ დროს ახალგაზრდებიც ხშირად ფიქრობენ, ღირს თუ არა ბავშვის გაჩენა; თავს იკავებენ, პრობლემაა საცხოვრებელი სახლი და ხშირად ახალშექმნილი ოჯახები მშობლებთან ერთად ცხოვრობენ. ისედაც მცირე ფართობში ერთ შვილზე მეტის ყოლა ფიზიკურადაც შეუძლებელი ხდება. არადა, ახალი ბინის შეძენა სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და... **საფრანგეთმა, როცა დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება გადაწყვიტა, უდიდესი ყურადღება სოფლის მეურნეობის განვითარებას დაუთმო და რეგიონები აალორძინა, რათა სწორედ რეგიონებში ჰქონოდა ხალხს მეტი შემოსავალი, იქ დაფუძნებულიყო და მარტივი გათვლით, პარიზში ბინის ყიდვას სოფლად სახლის აშენება დაეფინანსებინა. ჰო, სწორედ რომ დაეფინანსებინა და ახალშექმნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი მიეცა, მიწა მიეცა და თან პროდუქტიც მიეღო.** საქართველოში კი სოფლები ცარიელია და მათ აღორძინებაზე არავინ ფიქრობს. **მხოლოდ იმის ძახილი, არიქა, უცხოელებს მიწას აღარ მივყიდითო, არაფერს გვიშველის.** უცხოელებზე რომ არ გავყიდით, იმდენი ხომ მაინც უნდა ვქნათ, რომ ადგილობრივს ჰქონდეს მიწის დამუშავების სურვილი და შესაძლებლობა.

ყველაფერთან ერთად, არასრულწლოვნებში აბორტის კეთების მაჩვენებელიც მომატებულია. ეს სწორედ იმის ბრალია, რომ საშოვარზე გადაგებული მშობლები (შინ თუ საზღვარგარეთ) სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ ბავშვებს და არასრულწლოვნობის ასაკში გაკეთებული აბორტი 90%-ით ნიშნავს იმას, რომ მოზარდი ბავშვს დიდობაშიც ვეღარ გააჩენს. **ასე წვეთ-წვეთობით იცლება ის ფიალა, რომელსაც საქართველოს მომავალი ჰქვია, და დღევანდელი გადმოსახედიდან ეს მომავალი ნადგურდება, ეს მომავალი უბრალოდ აღარ გვაქვს. პოლიტიკოსებმა, უწინარესად, ამაზე უნდა იფიქრონ, იმიტომ, რომ, თუ თანამდებობები სამომავლოდაც უნდათ (არადა, უნდათ), ფიზიკურად ამომრჩეველი აღარ ეყოლებათ და მერე ნუ გაგიკვირდებათ, თუ „სტრატეგია აღმაშენებლის“ კანდიდატს თბილისში აფრიკელი ოგბუნუჯუ მოუგებს.**

**ბესო ბარბაქაძე**

**რას აკეთებდა წინა ხელისუფლება იმისთვის, რომ დემოგრაფიული პრობლემა მოგვარებულიყო? — არაფერს. და რას აკეთებს ამჟამინდელი? სამწუხაროდ, პასუხი იგივეა. არადა, სწორედ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს თავისი რესურსით ამ პრობლემის მოგვარებაში**

**საქართველოში 65 წელს გადაცილებული მოქალაქეების რაოდენობა 15-20%-ის დონეზეა. არადა, 7%-იანი მაჩვენებელიც კი ერის დაბერებაზე მიანიშნებს და ჩვენ ამ დონეს საგრძნობლად გავუსწარით. მდგომარეობა რომ შეიცვალოს, შობადობა, სულ ცოტა, 20 000-ით უნდა გაიზარდოს და მიგრაციის მაჩვენებელი შემცირდეს. რეალურია თუ არა დღევანდელ პირობებში ამის მიღწევა, თავად განსაჯეთ**

ყელში ამოვიდა მიშა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბარი, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ იხილა, ჯერ როგორ მიირთმევდა სააკაშვილი ხბოს ღვიძლისა და ბოსტნეულის პიურეს, შემდეგ როგორ ჭიდაობდა ციხის ადმინისტრაციასთან. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მიშას შიმშილობა ტყუილია. არც მანამდე და მით უმეტეს ზემოხსენებული ჭიდაობის ხილვის შემდეგ, უკაცრავად და, სულ ფეხზე მეკიდა, მიშა ჭამდა თუ არა და ჰემოგლობინი რამდენი ჰქონდა.



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მიშა, მიშა, მიშა!... “არა, ამის ატანა უკვე შეუძლებელია! სააკაშვილის მიერ გაკონტროლებულ ტელევიზიებს თავი რომ დავანებოთ, უთოს ჩართვისაც კი მეშინია, იმანაც „მიშა, მიშას“ სკანდირება არ დაიწყოს...**

# მიშას დამცველები, კრიზისი შავ ზღვაზე, ნატოს ახალი სტანდარტებით გაწვრთნილი ქართული ჯარი და ბაიდენის მიერ «ჰაერის გაფუჭების» სამარცხვინო ინციდენტი

ხუმრობა იქით იყოს და, ხელისუფლებას მივმართავ: **რაღაც განსაკუთრებული ზომები და კანონები მიიღეთ, მიშას მომხრე მცირერიცხოვანი სექტანტების დაუსჯელი თარეში აღკვეთეთ და ქართველი საზოგადოება რამდენიმე ათეული (მეტი აღარ გამოდის მათ მიერ დაანონსებულ „გრანდიოზულ“ აქციებზე) ტვინგამორეცხილთა ფსიქოლოგიური ტერორისგან გვიხსენით!** მაგრამ არა, ვერანაირ „განსაკუთრებულ ზომებსა და კანონებს“ ვერ მიიღებს „ქართული ოცნება“, სანამ საქართველოს №1 პატიმარსა და მის მომხრეებს „ყოვლისშემძლე“ ე.წ. გამოხატვის თავისუფლების ანტიეროვნული კანონი იცავს; კანონი, რომლის აპოლოგეტები საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ მთავარი შემოქმედი **ჯორჯ სოროსი,** ე.წ. სახალხო დამცველი **ნინო ლომჯარია,** „კაპიტანი“ **ეკა გიგაური** და მთელი ე.წ. არასამთავრობო სექტორი არიან.

ყოველივე ზემოჩამოთვლილ პიროვნებებსა და ინსტიტუტებს „თუ ერთ ქვაბში მოვხარშავთ“, მივიღებთ ე.წ. მეხუთე კოლონას, რომელმაც ქართველთა სისხლითა და ცრემლით გაუმაძღარი (გურიაში რომ იტყვიან, „შიშველი გადარეული“) სააკაშვილი პოლიტიკურ პატიმრად აღიარა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს, „ქართული ოცნება“ კი არა, სწორედ ეს ლიბრასტული მეხუთე კოლონა, გნებავთ, კოლექტიური დასავლეთი მართავს... აქედან გამომდინარე, ზემონანატრი განსაკუთრებული ზომებისა და კანონების მიღება მეხუთე კოლონის, ანუ აშშ-ის კეთილი ნების გარეშე შეუძლებელია. ასეთ ნებას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, მოკავშირე თუ მეგობარი, მხოლოდ საქართველოსთვის საზიანო შემთხვევებში ავლენს. რომელი ერთი გავიხსენო? ამიტომ **მხოლოდ ერთს შევეხები, სამაგიეროდ ისეთს, რომლის გათვალისწინების გამო ვართ „აყვავებულ-აშენებულები“... სწორედ იანკების კეთილი რჩევის (წაიკითხე, ბრძანება) ნაყოფია ე.წ. კოაბიტაცია, რომელმაც უზრუნველყო პოლიტიკურ საფლავში მწოლიარე ნაცების რეანიმაცია და მთავარ ოპოზიციურ ძალად დანიშვნა. ეს ანგლოსაქსების კეთილი რჩევის შედეგად და აქაური „ასოების“ (არასამთავრობო ორგანიზაციები) შესრულებით დემონსტრაციულად „გაანადგურეს“ სამეგრელოს კასრებში ნაპოვნი საშინელი კადრები. ჩვენს ფსიქიკას გაუფრთხილდნენ. „როგორ შეიძლება ამ კადრების გასაჯაროება, გულები დაუსკდებათ უბრალო ადამიანებსო“, — უბრალო ადამიანების მაგივრად გადაწყვიტეს „ასოებმა“;** იანკების კეთილი ნებით, 10 წელიწადია, „ვერ პოულობენ“ სააკაშვილის სადისტურ-ფაშისტური რეჟიმის მთავარ ჯალათებს — **დათა ახალაიას, ზურაბ ადეიშვილსა** და სხვა მრავალთ; **რატომ არ იჭერენ სვანეთის ამომგდებს, აფრასიძეების ოჯახის ჯალათ გიორგი ბარამიძეს, სულხან მოლაშვილის მწამებელ გიგა ბოკერიას? როგორ, რა მანქანებით გახდა საქვეყნოდ ცნობილი მკვლელი ჟორიკა რურუა პოლიტპატიმარი და ა.შ.** თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ზემოჩამოთვლილ საკითხებში არა მხოლოდ ანგლოსაქსები, „ქართული ოცნებაც“ არის გარეული და ამიტომაც დავარქვი ხელისუფლებასა და ოპოზიციას ქოც-ნაცთა ერთობლივი ხელისუფლება, როგორც ერთი ფესვიდან ამონაყარი ყლორტები... ზემოთქმულიდან გამომდინარე, „სიკეთის თესვაში“ ანგლოსაქსებს (ისე ანგლო კი არა, იქნებ ნაგლოსაქსები დაგვერქმია ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირე-მეგობრებისთვის“) პირველობას ვერავინ შეეცილება... ამ მცირე ლირიკული გადახვევის შემდეგ, ალბათ, დროა, წინამდებარე წერილის მთავარ თემას დავუბრუნდეთ — **მართლაც ყელში ამოვიდა მიშა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბარი, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ იხილა, ჯერ როგორ მიირთმევდა სააკაშვილი ხბოს ღვიძლისა და ბოსტნეულის პიურეს, შემდეგ როგორ ჭიდაობდა ციხის ადმინისტრაციასთან, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მიშას შიმშილობა ტყუილია. არც მანამდე და მით უმეტეს ზემოხსენებული ჭიდაობის ხილვის შემდეგ, უკაცრავად და, სულ ფეხზე მეკიდა, მიშა ჭამდა თუ არა, და ჰემოგლობინი რამდენი ჰქონდა.** არც ადამიანების იმ კატეგორიას ვეკუთვნი, რომელსაც სხვასთან საუბრისას აუცილებლობად მიაჩნია თავისი ჰუმანიზმის წარმოჩენა განცხადებით, რომ „ციხისთვის არავინ ემეტება“. ვისაც რაც გინდათ, ის მიწოდეთ, მაგრამ მიშა მემეტება კი არა, ეგ სადისტი ციხეში უნდა დალპეს. იმ კადრების ცქერისას ორ რამეზე ვფიქრობდი: პირველი — სრულიად სერიოზულად ვაცხადებ, რომ მზად ვარ, ციხეში 1-2 წლით ჩავჯდე, ოღონდაც ერთი პირობით, საკანში მიშასთან, რათა დავანახვო ციხეში, რომელშიც 300 ათასი კაცი გამოამწყვდია, ბალი ათიშაური ღირს თუ უფრო მეტი; მეორე — სირცხვილის განცდა დამეუფლა: **ნუთუ ეს დეგენერატი კურდღელი 9 წლის განმავლობაში მართავდა საქართველოს?..** ნაციონალები მიშა სმეტანსკის საქართველოში განუზაჟებლად შემოპარვამდე თუ ამბობდნენ, — დანაშაულები კი არა, პატარა შეცდომები გვქონდაო, ახლა ეს თავხედები ამაზეც უარს ამბობენ. ამ უნამუსო **სანიკიძემ** განაცხადა, ახლა ხომ დამტკიცდა, რომ ე.წ. ციხის კადრები პუტინის დაკვეთით დადგმული სპექტაკლი იყოო. თუმცა ბიძინას კალთაში შეუმდგარ მილიონერს და სააკაშვილთან შემდგარ „შნირს“ არ დაუკონკრეტებია — „ახლა ხომ დამტკიცდაში“, რომელი დრო იგულისხმებოდა, სამაგიეროდ ამ ბლენძმა ის შემახსენა, რომ დღეს მსოფლიოში „მოშიმშილე პოლიტპატიმარზე“ აქტუალური ცივი ომის შემდეგ ყველაზე დიდი დაძაბულობაა...



ჯო ბაიდენი და პრინცი ჩარლზი

**იანკების კეთილი რჩევის (წაიკითხე, ბრძანება) ნაყოფია ე.წ. კოაბიტაცია, რომელმაც უზრუნველყო პოლიტიკურ საფლავში მწოლიარე ნაცების რეანიმაცია და მთავარ ოპოზიციურ ძალად დანიშვნა. ეს ანგლოსაქსების კეთილი რჩევის შედეგად და აქაური «ასოების» (არასამთავრობო ორგანიზაციები) შესრულებით დემონსტრაციულად «გაანადგურეს» სამეგრელოს კასრებში ნაპოვნი საშინელი კადრები. ჩვენს ფსიქიკას გაუფრთხილდნენ. «როგორ შეიძლება ამ კადრების გასაჯაროება, გულები დაუსკდებათ უბრალო ადამიანებსო», — უბრალო ადამიანების მაგივრად გადაწყვიტეს «ასოებმა»**

**შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთის საზღვრებთან პროვოკაციულად ახლო მანძილზე ნატო-პენტაგონი დაუგეგმავ წვრთნებს ატარებს და 1962 წლის ე.წ. კარიბის კრიზისის შემდეგ მსოფლიო ასე ახლოს არასოდეს ყოფილა ნატო-რუსეთს შორის სრულმასშტაბიანი ომის (ბირთვულისაც კი) საფრთხის წინაშე.** რუსეთი, საკუთარ ძალებში მტკიცედ დარწმუნებული, ამ ყველაფერს ოლიმპიური სიმშვიდით აკვირდება, რომელსაც მაშინ დაარღვევს, თუ ანგლოსაქსები უკრაინას გააბრიყვებენ და ისინი ყირიმდონბას-ლუგანსკის სამხედრო ძალით დაბრუნებას შეეცდებიან. ისტორია მეორდება? **თავის დროზე ანგლოსაქსებმა საქართველო გააბრიყვეს და სააკაშვილს რუსეთთან ომი დააწყებინეს. შედეგად, ჩვენმა ქვეყანამ ტერიტორიები, რომელიც დე ფაქტო ისედაც დაკარგული ჰქონდა, დე იურედაც დაკარგა. თუ ისტორია განმეორდება, უკრაინას უარესი ელის — ევროპის ტერიტორიულად უდიდესი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.**

აქედან გამომდინარე, კოლექტიური დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ლიდერებს თავის დროზე „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილი და მისი, უკაცრავად პასუხია, შარდის ანალიზი და ის, რომელ საავადმყოფოში გადაიყვანენ, სულ ფეხებზე ჰკიდიათ. მხოლოდ უილაჯოდ წკავწკავებენ მიშას ძველი „დოსტები“, უფრო ზუსტად, მის მიერ მოსყიდული კარლ ბილდტები, დევიდ კრამერები და ბალტიისპირელი ფინიები.

**დავით მხეიძე**

P.S.

**რამდენიმე სასაცილო ამბავი, სატირალი რომ არ იყოს:**

**ბრიტანულმა მედიამ აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, რომელიც გლაზგოში კლიმატის გლობალური ცვლილებების სამიტზე იმყოფებოდა, მასხრად აიგდო. ჰერცოგინია კორნოულთან (დიდი ბრიტანეთის პრინც ჩარლზის მეუღლე) გამართულ მიღებაზე 78 წლის პრეზიდენტმა „ჰაერი გააფუჭა“, თანაც ისეთი ხმაურით, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო... სამიტზე შეკრებილები ატმოსფეროში მავნე აირების გამოყოფის შემცირებას გეგმავდნენ, მაგრამ, როდესაც პრეზიდენტმა ბაიდენმა საკუთარი ბუნებრივი აირი გაუშვა, ეს ისე ხმამაღლა გაისმა, რომ უხერხულობისგან კორნოულის ჰერცოგინია და ბრიტანეთის პრინცი ჩარლზი გაწითლდნენ, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი კამილა ჰარისი კი გააოგნა პრეზიდენტის საქციელმა. „ეს იყო ისე ხმამაღლა და იმდენ ხანს, რომ ამ სამარცხვინო ფაქტის იგნორირება შეუძლებელი იყო“, — განაცხადა ვიცეპრეზიდენტმა.**

**კიდევ ერთი „სახალისო“ ამბავი: აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტმა ახლახან წყალში ჩაუშვა ახალი გემი, რომელსაც პირველი გაცხადებული გეი პოლიტიკოსის სახელი, ჰარვი მილკი, დაარქვეს. ცერემონიაზე გემის კორპუსზე შამპანურის მიხეთქება-გატეხვის ტრადიციის პატივი გაურკვეველი სქესის ტრანსგენდერს ერგო.**

**რაც შეეხება ჰარვი მილკს, იგი პოლიტიკაში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მოღვაწეობდა, 40 წლისა მოკლეს... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პენტაგონს ტრანსგენდერი ადმირალი ჰყავს, ხოლო დაბალი ჩინის ოფიცრებსა და რიგითებში ლგბტ-ეებს თვლა აღარ აქვს, მინდა, ჩვენს ხელისუფლებას, თავდაცვის სამინისტროს ვკითხო: ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნატოს სტანდარტებით ქართველი სამხედროების რომელ ერთობლივ წვრთნებზეა საუბარი?**

**თავის დროზე ანგლოსაქსებმა საქართველო გააბრიყვეს და სააკაშვილს რუსეთთან ომი დააწყებინეს. შედეგად, ჩვენმა ქვეყანამ ტერიტორიები, რომლებიც დე ფაქტო ისედაც დაკარგული ჰქონდა, დე იურედაც დაკარგა. თუ ისტორია განმეორდება, უკრაინას უარესი ელის**

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„მძიმე და სახიფათო ვითარებაა ქვეყანაში, რომელიც, ძირითადად, გამომდინარეობს საზოგადოებაში დათესილი პანიკიდან. თუ მთავრობა სასწრაფოდ არ მიიღებს სათანადო ზომებს, შეიძლება მალე დავმარცხდეთ. მტერი ყველაფერს აკეთებს პანიკის დასათესად. უშვებს მცირე ჯგუფებს მეომრებსა და ხალხში ათასგვარი ჭორის გასავრცელებლად. ჰაერიდან წვიმასავით მოდის სასოწარკვეთილი ზღაპრები ადამიანების დასაშინებლად. ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერ ზომები არ მიუღია ამ აბსურდული ჭორების გასაბათილებლად, პირიქით — თვითონვე ვარდებიან პანიკაში“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №40, 2021 წ.

# სტალინი მეორე მსოფლიო ომში

## დიდი სამამულო ომის საარქივო მასალები — 1200 ახალი დოკუმენტი პირველად იხილავს მზის სინათლეს «საქართველო და მსოფლიოს» ფურცლებზე

**1941 წლის 22 ივნისს, ომის დაწყების პირველ დღეს, სტალინის ხელმძღვანელობით მიიღეს სახელმწიფო მნიშვნელობის 9 სხვადასხვა დადგენილება და განკარგულება, რომლებიც ქვეყნის საციცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა.**

22 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებების ნუსხა ასე გამოიყურება:

**1.** მიმართვა უმაღლესი მთავარსარდლობისა ჯარებისადმი სსრკ-ზე გერმანიის მუხანათური თავდასხმის შესახებ;

**2.** კათალიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლის, **სერგის,** მიმართვა მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრებისა და მრევლისადმი;

3. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, **ვიაჩესლავ მოლოტოვის,** მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ;

**4.** სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ;

**5.** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრკ-ის რიგ რაიონებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ;

**6.** მიმართვა სახელმწიფო უშიშროებისადმი, ასევე რესპუბლიკურ, საოლქო და სამხარეო კომიტეტებისადმი საომარი მოქმედებების შესახებ;

**7.** უმაღლესი პრეზიდიუმის ბრძანებულება საყოველთაო მობილიზაციის შესახებ;

**8.** კრემლის კომენდანტის ბრძანება მოსკოვის კრემლის დაცვის გაძლიერების თაობაზე;

**9.** სამხედრო ტრიბუნალის წესდების დამტკიცება და მისი მოქმედების არეალი საომარ და ომისპირა რაიონებში.

ამით მთავრდება ომის პირველი დღე.

ყველა დოკუმეტი, რომლებიც ომის პირველ დღეს შეიქმნა, სტალინის შექმნილია ან მის მიერ შესწორებული. ისტორიამ და საიდუმლო მასალებმა ცხადყო სტალინის „პარალიზებულობა“, რომელიც თითქოს ომის გამოცხადებით შოკში ჩავარდნილმა საბჭოეთის ბელადმა განიცადა. საინტერესოდ მომეჩვენა და თქვენთვისაც საინტერესო იქნება 1941 წლის 27 ივნისს, ომის დაწყებიდან ხუთი დღის შემდეგ, გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში ლეიტენანტ **ფ. მიხაილჩენკოს** ფრონტიდან გაგზავნილი წერილი, რომელიც მთავრობისათვის გასაცნობად გაეგზავნა გაზეთის რედაქციას და არა დასაბეჭდად. აი, რას წერს იგი:

**„მძიმე და სახიფათო ვითარებაა ქვეყანაში შექმნილი, რომელიც, ძირითადად, გამომდინარეობს საზოგადოებაში დათესილი პანიკიდან. თუ მთავრობა სასწრაფოდ არ მიიღებს სათანადო ზომებს, შეიძლება მალე დავმარცხდეთ. მტერი ყველაფერს აკეთებს პანიკის დასათესად. უშვებს მცირე ჯგუფებს მეომრებსა და ხალხში ათასგვარი ჭორის გასავრცელებლად. ჰაერიდან წვიმასავით მოდის სასოწარკვეთილი ზღაპრები ადამიანების დასაშინებლად. ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერ ზომები არ მიუღია ამ აბსურდული ჭორების გასაბათილებლად, პირიქით — თვითონ ვარდებიან პანიკაში. როგორც ადგილზე, ისე ახლო რაიონებში, ერთნაირი მდგომარეობაა. აუცილებელია და გირჩევთ:**

1. გამოსცეთ კანონი პანიკიორებისა და ჭორების გამავრცელებლების მიმართ. დახვრიტეთ რამდენიმე განგაშის ამტეხი და ცრუ ხმების გამავრცელებელი;

2. აკრძალეთ საჰაერო სირენების მასობრივი გამოყენება, რომლებიც აბნევს როგორც მებრძოლებს, ისე მცხოვრებლებს. საჰაერო განგაშის სიგნალი მხოლოდ ერთმა უწყებამ გასცეს;

3. აიკრძალოს ოჯახების გადაბარგება-გადმობარგება თვითნებურად, რაც ხელს უშლის ჯარების გადაადგილებას და ხელს უწყობ პანიკის გავრცელებას;

4. ჩაატარეთ საგანმანათლებლო მუშაობა ჯარსა და მოსახლეობაში პანიკის წინააღმდეგ; განამტკიცეთ რწმენა და იმედი. სანდო ადამიანებს მიეცით იარაღი, რათა უფრო გაბედულად იმოქმედონ ჯაშუშებისა და დივერსანტების წინააღმდეგ. ეს საკითხები ძალზე მნიშვნელოვანია და აუცილებელია, მიაწოდოთ მთავრობას, როგორც ფრონტიდან მიღებული ცნობა.

ლეიტენანტი ფ. მიხალჩენკო“.

წერილს ადევს რეზოლუცია:

„არქივი. ამხ. მიხალჩენკოს მიერ დაყენებული საკითხები გადაწყვეტილია.

**ი. სტალინი. 1941 წელი 10 ივლისი“.**

აღსანიშნავია, როგორ გამართულად მუშაობდა ფოსტატელეგრაფი, რომ ფრონტის წინა ხაზიდან სულ რამდენიმე დღეში სტალინმა მიიღო ლეიტენანტის წერილი, რომლითაც ფრონტის ამბებს ატყობინებდა „პრავდის“ რედაქციას, რადგან იმედი არ ჰქონდა, რომ წერილი სტალინამდე მიაღწევდა. საარქივო მასალებიდან კი ირკვევა, რომ სტალინმა წერილს დაწერიდან 13 დღის შემდეგ რეზოლუცია დაადო.

იმაზე, რაც ჯარისკაცს აწუხებდა, სტალინს უკვე ომის დაწყების პირველივე დღეს ჰქონდა ნაფიქრალი მოგვარებული, მაგრამ ჯარისკაცამდე ჯერ კიდევ არ იყო მისული.

აქვე წარმოგიდგენთ:

### „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საომარი ვითარების შესახებ

**1.** სსრკ-ის კონსტიტუციის 49 მუხლის „პ“ პუნქტის მიხედვით, სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ან გარკვეულ რეგიონებში, ქვეყნის თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ცხადდება საომარი ვითარება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად.

**2.** რეგიონებში, სადაც გამოცხადდა საომარი ვითარება, სახელმწიფო მართვის ყველა ფუნქცია საბრძოლო მიმართულებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ექვემდებარება ფრონტის სამხედრო საბჭოს, არმიასა და სამხედრო ოლქებს, ხოლო იქ, სადაც არ არის შექმნილი სამხედრო საბჭო — სამხედრო შენაერთების უმაღლეს სარდლობას.

**3.** რეგიონებში, რომლებშიც გამოცხადდა საომარი ვითარება, სამხედრო სარდლობას ენიჭება შემდეგი უფლებები:

**ა)** ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოხდეს მოქალაქეთა დასაქმება თავდაცვითი სამუშაოების ჩასატარებლად, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების ობიექტების, საწარმო კონსტრუქციების, ელექტროსადგურების, ელექტროქსელებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო, ეპიდემიოლოგიური და სტიქიური უბედურებებისაგან დასაცავად;

**ბ)** შეიქმნას სამხედრო-საცხოვრებელი პირობები სამხედრო ნაწილებისა და დანაყოფებისათვის;

**გ)** დადგინდეს სატრანსპორტო გადაზიდვების ვალდებულებები სამხედრო საჭიროებისთვის;

**დ)** მოხდეს სატრანსპორტო და სხვა საშუალებათა ამოღება როგორც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან, ასევე ცაკლეული მოქალაქეებისგან;

**ე)** დაწესდეს დაწესებულებების, თეატრის, კინოსა და ა.შ. სამუშაო დღის განრიგი; დარეგულირდეს შეკრებების, მსვლელობებისა და სხვადასხვა თავშეყრის ადგილზე ორგანიზებული დაშვება; შეიზღუდოს და გარკვეული საათებიდან აიკრძალოს ქუჩაში გადაადგილება; აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს საეჭვო პირთა ჩხრეკა-დაკავება;

**ვ)** დარეგულირდეს ვაჭრობა და სავაჭრო ორგანიზაციები (მაღაზია, ბაზარი, საზოგადოებრივი კვების ობიექტები), კომუნალური საწარმოები (აბანო, სამრეცხაო, საპარიკმახერო და სხვ.); დაწესდეს შეღავათების ნორმები სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურეთათვის;

**ზ)** ადგილებში, სადაც გამოცხადებულია საომარი ვითარება, აიკრძალოს შესვლა-გამოსვლა;

**თ)** ადგილებიდან, სადაც გამოცხადებულია საომარი ვითარება, ასევე ცალკეული პუნქტებიდან, მოხდეს ადმინისტრაციული წესით იმ პირთა გამოსახლება, რომლებიც თავიანთი ქმედებებიდან გამომდინარე შემჩნეულნი არიან საეჭვო კავშირებში ან არიან სოციალურად საშიშნი;

**4.** ბრძანებულების მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, სამხედრო საბჭო უფლებამოსილია შემდეგ საკითხებში:

**ა)** გასცეს სათანადო ვალდებულებები მოსახლეობის ყველა ფენისთვის; დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევი პირის მიმართ გატარდეს ადმინისტრაციული წესით დადგენილი თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით ან ჯარიმა 3 000 მანეთის ოდენობით;

**ბ)** გასცეს ბრძანებები ადგილობრივ ორგანოებზე, სახელმწიფო-საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, ასევე მოსთხოვოს მათ უპირობო დაქვემდებარება;

**5.** ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, საზოგადოებრივი დაწესებულებები და სასწავლებლები ვალდებულნი არიან, სრული თანადგომა გაუწიონ სამხედრო სარდლობას და აღმოუჩინონ დახმარება ქვეყნის უსაფრთხოების, დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისთვის;

**6**. სამხედრო სარდლობის ბრძანების შეუსრულებლობის ან დანაშაულის ▶



**1941 წლის 22 ივნისს, ომის დაწყების პირველ დღეს, სტალინის ხელმძღვანელობით მიიღეს სახელმწიფო მნიშვნელობის 9 სხვადასხვა დადგენილება და განკარგულება, რომლებიც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა... ყველა დოკუმეტი, რომლებიც ომის პირველ დღეს შეიქმნა, სტალინის შექმნილია ან მის მიერ შესწორებული. ისტორიამ და საიდუმლო მასალებმა ცხადყო სტალინის «პარალიზებულობა», რომელიც თითქოს ომის გამოცხადებით შოკში ჩავარდნილმა საბჭოეთის ბელადმა განიცადა**

გრიგოლ ოჩიაურის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲤᲝᲡᲢᲐ-ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ, ᲠᲝᲛ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲘᲓᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ ᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲓᲐ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲓᲐ. ᲡᲐᲐᲠᲥᲘᲕᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲓᲐᲜ 13 ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲓᲐᲐᲓᲝ.**

◀ ჩადენის შემთხვევაში, საომარი ვითარების ტერიტორიაზე, სამხედრო კანონებიდან გამომდინარე, დამნაშავე ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;

**7.** სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილებში, სადაც გამოცხადებულია საომარი ვითარება, ყველა დანაშაულებრივი საქმე მიმართული ქვეყნის დაცვისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ, ასევე საზოგადოებრივი წესრგის დაცვის წინააღმდეგ, გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს. კერძოდ:

**ა)** სახელმწიფო დანაშაულის საქმე;

**ბ)** სამართალდარღვევის საქმე, მიღებული 1932 წლის 7 აგვისტოს საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების დაცვის შესახებ;

**გ)** სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული;

**დ)** ძარცვის საქმე;

**ე)** განზრახ ჩადენილი მკვლელობის საქმე;

**ვ)** საპატიმროდან ან ზედამხედველობაში ყოფნისას უკანონოდ გათავისუფლების საქმე;

**ზ)** საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შეუსრულებლობის, თავიდან აცილების ან კანონდამცველთა მიმართ წინააღმდეგობის გაწევის საქმე;

**თ)** იარაღის არაკანონიერი ყიდვა-შეძენა-შენახვის საქმე;

ამას გარდა, თუ სამხედრო სარდლობა მიზანშეწონილად ჩათვლის, საომარი ვითარებიდან გამომდინარე, სამხედრო ორგანო უფლებამოსილია, გადასცეს სამხედრო ტრიბუნალს სპეკულაციური, ბოროტი ხულიგნური ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებების საქმე გათვალისწინებული სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსით.

**8)** სამხედრო ტრიბუნალის საქმეების განხილვა იწარმოებს „საომარ ზონებში სამხედრო ტრიბუნალის რეგლამენტის“ შესაბამისად.

**9)** სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი საკასაციო სარჩელს არ ექვემდებარება და შესაძლებელია, გაუქმდეს ან შეიცვალოს მხოლოდ ზედამხედველობის გზით.

**10)** მიღებული ბრძანება ასევე ვრცელდება ქვეყნის იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არ ხორციელდება სახელმწიფო მართვა და დარღვეულია სსრ კავშირის უფლებამოსილება.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. კალინინი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ა. გორკინი**
**მოსკოვი, კრემლი**
**22 ივნისი, 1941 წ.“**

*(ფოტო №1 და ფოტო №2)*


ფოტო №1


ფოტო №2


ფოტო №3


ფოტო №4

აქვე ვეცნობით პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლის, მიტროპოლიტ სერგის, მიმართვას მღვდელმთავრებისა და მრევლისადმი. ეს სრულიად აქარწყლებს სიცრუეს, თითქოს სტალინმა 1943 წელს სამღვდელოების მაღალ იერარქიასთან შეხვედრა იმიტომ გამართა და პატრიარქის თანამდებობა იმიტომ აღადგინა, რომ გერმანელებს მიბაძა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკლესიისადმი პატივისცემაში. (ფოტო №3 და ფოტო №4).

**„მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავრებს**

ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის მცხოვრებლები გამოვთქვამდით იმედს, რომ ომი, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა, ჩვენ არ შეგვეხებოდა, მაგრამ ფაშიზმმა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, აღიარებს მხოლოდ უხეშ ძალას, რომელიც ფეხქვეშ თელავს ღირსებასა და მორალს, ფეხქვეშ გათელა ყოველგვარი შეთანხმება. მან არც ამჯერად უღალატა ჩვევას და ფაშისტური ბანდები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას. მტერი მოულოდნელად დაგვესხა თავს და ახლა მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლით ირწყვება ქვეყნის მიწა-წყალი. მეორდება ბათო-ყაენის, გერმანელ მებრძოლთა, კარლ XII-ისა და ნაპოლეონის პერიოდები. ქრისტიანობის მტრებს და მათ შთამომავლებს სურთ, კიდევ ერთხელ დააჩოქონ ჩვენი ხალხი და აიძულონ, უარი თქვას ქვეყნის ერთობასა და კეთილდღეობაზე, მაგრამ რუსი ხალხი არაერთხელ მდგარა მსგავსი გამოწვევების წინაშე და, ღმერთის წყალობით, ამჯერადაც, ფერფლად მიმოფანტავს მტრის ძალას. ჩვენი წინაპრები სულით არ ეცემოდნენ უფრო რთულ ვითარებაშიც კი, რადგან ახსოვდათ წმიდათწმიდა ვალი ქვეყნისა და სარწმუნოების წინაშე და ამიტომაც გამოდიოდნენ გამარჯვებული. მათ დიდებულ სახელებს არ შეურაცხყოფთ ჩვენც, მათი შთამომავალნი, მორწმუნე მართლმადიდებლები. მამულის დაცვა ხალხის მზადყოფნაშია — ემსახურო ქვეყანას რთულ ვითარებაში, ემსახურო იარაღითა და, საზოგადოდ, ხალხის გმირობით. ეს ეხება ყველას — მუშას, გლეხს, მეცნიერს, ქალსა და კაცს, ახალგზრდასა და მოხუცს. ყველას შეუძლია და ვალდებულია, შეიტანოს წვლილი საერთო საქმეში.

გავიხსენოთ რუსი ხალხის წმინდა წინამძღოლები — **ალექსანდრე ნეველი, დიმიტრი დონელი,** რომლებმაც თავი შესწირეს ქვეყანასა და ხალხს, მაგრამ თავს სწირავდნენ არა მხოლოდ წინამძღოლები. გავიხსენოთ ასობით ქრისტიანი მორწმუნე, რომელთა სახელიც სამარადჟამოდ შემოინახა რუსმა ხალხმა ლეგენდებში — **ილია მურომეცი, დობრინია ნიკიტიჩი** და **ალიოშა პოპოვიჩი,** რომლებმაც გაანადგურეს სოლოვეი რაზბოინიკი. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ხალხის გვერდით იდგა. ხალხთან ერთად იზიარებდა ქვეყნის წარმატებასა თუ მარცხს. ეკლესია თავის ხალხთან დგას ახლაც და ზეციური კურთხევით გლოცავთ მომავალი საგმირო საქმეებისთვის. ვის, თუ არა ჩვენ, უნდა გვახსოვდეს: „უფროისი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ (იოანე 15:13-15). „სული თვისი დადვას“ გულისხმობს არა მხოლოდ მას, ვინც ბრძოლის ველზე იგემებს სიკვდილს, არამედ ყოველს, ვინც სწირავს თავს, საკუთარ ჯანმრთელობას ქვეყნის სასარგებლოდ. და ასეთ დროს, როდესაც მამული ყველას გვიხმობს გმირობისაკენ, ჩვენთვის, ეკლესიის მსახურთათვის, ულირსი საქციელი იქნება, ჩუმად ვუყუროთ, რაც ხდება გარშემო, და არ გავამხნევოთ შეშინებული, არ ვანუგეშოთ დამწუხრებული, არ შევახსენოთ მერყევთ თვისი ვალდებულება და ნება ღვთისა. ამას დამატებული, მღვდელმსახურთა დუმილი და არმონაწილეობა იმაში, რაც ხდება მრევლის გარშემო, აიხსენება მზაკვრული ჩანაფიქრით საზღვრის იქითა მხარესთან შესაძლო გარიგებაზე, რაც ღალატის ტოლფასია სამშობლოსა და საღვთო ვალდებულებისა; ვინაიდან ეკლესიას სჭირდება მოძღვარი, რომელიც, წმიდა **დიმიტრი როსტოველის** ბრძანებით, ჭეშმარიტად ემსახურება ქრისტეს. მაშ, შევუერთოთ ჩვენი სულები მრევლთა სულებს. აუარებელი მართლმადიდებელი მებრძოლი მიდიოდა თავის გასაწირად ბრძოლებში, თავს დებდნენ სამშობლოსათვის და სარწმუნოებისათვის მტრების შემოსევებისას. ისინი კვდებოდნენ და არ ფიქრობდნენ დიდებაზე, ვინაიდან თვლიდნენ, რომ სამშობლოს სჭირდება მათი თავგანწირვა და სწირავდნენ ყველაფერს, სწირავდნენ სიცოცხლეს. ქრისტიანული ეკლესია კურთხევას გაძლევთ ყველა მართლმადიდებელს ჩვენი ქვეყნის წმინდა საზღვრების დაცვის საქმეში. უფალი გამარჯვებას გვიბოძებს ჩვენ!

**პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი,**
**მოსკოვისა და კოლომენსკის მორჩილი,**
**მიტროპოლიტი სერგი.**
**22 ივნისი, 1941 წ.**
**მოსკოვი“.**



დოკუმენტების ხუთტომეული



პირველი ტომის ყდა

**„ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲬᲘᲠᲐᲓ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ, ᲗᲐᲕᲡ ᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲕᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲖᲔ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲗᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲘᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ, ᲡᲬᲘᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ. ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐᲡ ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. ᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲒᲕᲘᲑᲝᲫᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ!“**

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

«დემოკრატიული პასიანსი»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუმცა სააკაშვილს აშშ-სა და ევროპაში პროდასავლური რეფორმატორის სახელი ჰქონდა, საქართველო „დასავლური ტიპის შემდგარ სახელმწიფოდ“ მხოლოდ 2013 წლის ნოემბერში აღიარეს, მიხეილ სააკაშვილის წასვლის შემდეგ. „დასავლური დემოკრატიის“ ქვეყნების სიაში კი სომხეთი 2018 წლის მაისში ხელისუფლების სათავეში ნიკოლ ფაშინიანის მოსვლით აღმოჩნდა, რომელიც, როგორც FINANCIAL TIMES-ი წერს, „ქვეყანას ავტორიტარული მახედან ამოათრევს“.**

# «დემოკრატიის სამიტი» — რას უპირებს აშშ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს?

**ამერიკული გამოცემა Politico იუწყება, რომ „დემოკრატიის სამიტზე“, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მეთაურობით 9-10 დეკემბერს უნდა გაიმართოს, ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველო და სომხეთი მიიწვიეს. აზერბაიჯანი მიწვეულთა სიაში, რომელშიც 100 ქვეყანაა, არ არის. გამოცემის ვერსიით, აზერბაიჯანის ლიდერი ილჰამ ალიევი, როგორც ზოგიერთი სხვა ქვეყნის ლიდერები, „წლების განმავლობაში ძირს უთხრიდნენ თავიანთ დემოკრატიულ სისტემებს“, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამიტის მუშაობაში აზერბაიჯანის მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ ვაშინგტონის მიერ აღიარებული აზერბაიჯანის ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც უცხოეთში მოღვაწეობენ.**

ბაიდენი ამბობს, რომ „ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს ბრძოლა ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის“. ვაშინგტონი აცხადებს, რომ მისი საგარეო პოლიტიკა ჩასმული იქნება იდეოლოგიურ ჩარჩოებში.

ამასთანავე, როგორც ამერიკული გამოცემა Foreign affairs-ი აზუსტებს, „დემოკრატიული სამიტის“ მიმდინარეობისას ამერიკელები ძალისხმევას არ დაიშურებენ იმისათვის, რომ თვითონ „ჩაუდგნენ სათავეში დემოკრატიულ ალიანსს“.

**პირველ ეტაპზე უნდა გაჩნდეს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების პატარა ჯგუფი, რომელიც „იმსჯელებს სამომავლო ამოცანებზე და შესაძლო ერთობლივი მოქმედებების კონტურებზე“.**

რა თქმა უნდა, თითოეულ კონკრეტულ რეგიონში, მათ შორის ამიერკავკასიაში, „კოალიცია“ ან ჯგუფი იმოქმედებს ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგრამ მთლად გასაგები არ არის, რომელი კრიტერიუმის საფუძველზე აიგება „დემოკრატიული რანგების ცხრილი“.

ახლა — **ვითარების მთავარ თავისებურებებზე:**

**პირველი.** რეგიონში პოსტსაბჭოური ტრანსფორმაცია დემოკრატიზაციის ადგილობრივი მოდელებით განხორციელდა. ყარაბაღის კონფლიქტი აზერბაიჯანში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები საქართველოში — ეს ახალი დემოკრატიზაციის ნაყოფებია, თუ დემოკრატიას განვსაზღვრავთ, როგორც ეთნიკური უმცირესობის უფლებას, ჰქონდეს თავისუფალი არჩევანი და შეეძლოს თავისი სახელმწიფოს შექმნა.

**მეორე.** რეგიონში დემოკრატიული პროცესები მჭიდროდ გადაეხლართა ადგილობრივ ნაციონალიზმს, რომელიც გამაერთიანებელ, სამობილიზაციო, ნაციონალური ზედაფენისთვის ძალაუფლების შემანარჩუნებელ ფუნქციას ასრულებდა.

**მესამე.** ნაციონალური დემოკრატიები — ზოგი დიდი დოზით, ზოგი ნაკლებით — სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირად პოზიციონირებდნენ „მედასავლეთეების“ რანგში, იმ ვარაუდით, რომ მათი ქვეყნების მომავალი დამოკიდებულია ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციაზე, ხოლო აზერბაიჯანი, ამასთანავე, თანდათანობით შორდებოდა რუსეთს და გადადიოდა თურქეთის მხარეს.

**მეოთხე.** საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული პოტენციალი ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოების ჩამოყალიბებაში სხვადასხვა აღმოჩნდა ფორმალური ინსტიტუტებისა და მექანიზმების არსებობის პირობებში.

**თუმცა სააკაშვილს აშშ-სა და ევროპაში პროდასავლური რეფორმატორის სახელი ჰქონდა, საქართველო „დასავლური ტიპის შემდგარ სახელმწიფოდ“ მხოლოდ 2013 წლის ნოემბერში აღიარეს, მიხეილ სააკაშვილის წასვლის შემდეგ. „დასავლური დემოკრატიის“ ქვეყნების სიაში კი სომხეთი 2018 წლის მაისში ხელისუფლების სათავეში ნიკოლ ფაშინიანის მოსვლით აღმოჩნდა, რომელიც, როგორც FINANCIAL TIMES-ი წერს, „ქვეყანას ავტორიტარული მახედან ამოათრევს“.**

მან წააგო ყარაბაღის მეორე ომი, მაგრამ მოსახლეობას ჰპირდება, რომ ქვეყანას „ოცწლიანი სტაგნაციიდან“ გამოიყვანს და დემოკრატიულ გარდაქმნებს განახორციელებს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, **როგორც LE MONDE წერს, ალიევმა „დასავლეთში წლების განმავლობაში შექმნილი დემოკრატიული მმართველის იმიჯი მსხვერპლად შესწირა თავისი ხალხის ნაციონალისტურ ამბიციებს, რათა ძალისმიერი სცენარი გამოეყენებინა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად“.** ფრანგული გამოცემა წერს, რომ „ადრე რესპუბლიკაში იყო ორი ფაქტორი — ყარაბაღის კონფლიქტი და დიქტატორი“. კონფლიქტი გაქრა, „ხოლო დიქტატორი ჰეგემონისტური ტოტალიტარიზმიდან ავტორიტარულ პოპულიზმზე გადადის“. შედეგად, **ამიერკავკასიაში არის ასეთი სურათი: საქართველო მიისწრაფვის დასავლეთისკენ; სომხეთს სურს, დარჩეს რუსეთის მოკავშირედ; აზერბაიჯანი გამოდის, როგორც თურქეთის სტრატეგიული მოკავშირე და პარტნიორი. აი რატომ არის ინტრიგის აზრი ის, როგორ გაშლიან ბაიდენი და მისი თანაშემწეები ამიერკავკასიის „დემოკრატიულ პასიანსს“ და გამოიმუშავებენ რთულ საკითხებში გარკვევის სტრატეგიას.** აშშ კონკრეტულ მიდგომებს ეძებს რეგიონის ქვეყნების სპეციფიკური პრობლემების მიმართ. მისი წარმატება თუ წარუმატებლობა ამ მიმართულებით დამოკიდებულია ინტერესებისა და რესურსების ბალანსირების ხელოვნებაზე, რეგიონში ვითარების რეალისტურ შეფასებაზე.



**ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოგადოება უკვე მიეჩვია განსაზღვრული წესებით არსებობას და ხელისუფლებისადმი უკიდურესი უკმაყოფილების შეთავსებას სიფრთხილესა და თამაშის არადემოკრატიულ წესებთან. ამით ეს საზოგადოებები წარმოაჩენენ ცვლილებებისადმი მოჭარბებულ მოლოდინს, ამიტომ არ უნდა გამოირიცხოს, რომ მომავალში დასავლეთი დაიწყებს ამ განწყობის ექსპლუატაციას თავისი ინტერესებისთვის**



**ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოგადოება უკვე მიეჩვია განსაზღვრული წესებით არსებობას და ხელისუფლებისადმი უკიდურესი უკმაყოფილების შეთავსებას სიფრთხილესა და თამაშის არადემოკრატიულ წესებთან. ამით ეს საზოგადოებები წარმოაჩენენ ცვლილებებისადმი მოჭარბებულ მოლოდინს. ამიტომ არ უნდა გამოირიცხოს, რომ მომავალში დასავლეთი დაიწყებს ამ განწყობის ექსპლუატაციას თავისი ინტერესებისათვის.**

რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით ამიერკავკასიაში შეიქმნა ჰიბრიდული რეჟიმები, რომლებიც ბალანსირებენ დემოკრატიასა და ავტოკრატიას შორის. საქართველომ ლუზა ჯერჯერობით ჩაუშვა დემოკრატიის ყურეში; სომხეთმა, სადაც ალაპარაკდნენ საპრეზიდენტო მმართველობის დაბრუნებაზე, შეიძლება გაიყვანოს თავისი ხომალდი ამ ყურიდან. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ალიევმა კონსტიტუციიდან ამოიღო მუხლი, რომელიც ზღუდავდა ერთი პირის ორი ვადით ყოფნას ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე.

კიდევ ერთი მომენტი: **ამჟამად საქართველოსა და სომხეთში მთავარი ოპოზიციური ძალები ქვეყნის შიგნით მოქმედებენ. აზერბაიჯანში მეტ-ნაკლებად შესამჩნევმა ოპოზიციამ თავისი მოღვაწეობა ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადაიტანა, ძირითადად, ევროპაში. ბაქოში მიიჩნევენ, რომ ეს „ვიწრო უმცირესობაა“, რომელსაც მხარს დასავლეთი უჭერს და ინსტრუმენტად იყენებს აზერბაიჯანზე ზემოქმედებისთვის.** მაგრამ ყარაბაღის მეორე ომში ბაქოს გამარჯვების შემდეგ დასავლეთს შანსი აღარ დარჩა ისეთი „ფერადი რევოლუციის“ მოსაწყობად, როგორიც სომხეთში მოხდა, ამიტომ შეიძლება, ძალისხმევა მიმართონ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ეუთოს მინსკის ჯგუფის მსგავსი ახალი ფორმატის შესაქმნელად, რომელმაც აზერბაიჯანის გამარჯვება შეიძლება დამარცხებად აქციოს. ამასთანავე, არ უნდა გამოირიცხოს, რომ დაიწყოს ზემოქმედება ყარაბაღში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებზე.

**აშშ-მა და საფრანგეთმა, როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყნებმა, შეიძლება მოითხოვონ კონფლიქტის ზონაში სხვა სამშვიდობო ძალების შეყვანა, რათა გამორიცხონ რეგიონზე ბაქოს სრული კონტროლის დამყარება. ასე შეიძლება გაჩნდეს ახალი ვითარების შექმნის შესაძლებლობა, რომელიც გავლენას იქონიებს აზერბაიჯანზე.** აშშ-ისა და საფრანგეთის ჩარევა ყარაბაღში მშვიდობის დამყარების საქმეში ამჟამად სუსტია, მაგრამ ეს ჩარევა შეიძლება შეიცვალოს და მან გავლენა იქონიოს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. სხვა საქმეა, თუ ბაქო წინმსწრებად იმოქმედებს და შეძლებს თავისი ინტერესების გატარებას სომხეთთან ურთიერთობაში. რაც შეეხება რუსეთს, ექსპერტთა დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ მისთვის ყარაბაღის პირველ და მეორე ომებთან შედარებით კოლოსალურად მოიმატა ფსონებმა. არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ **ამერიკის მიერ ორგანიზებული „დემოკრატიის სამიტის“ შემდეგ გარკვეული ძალები შეეცდებიან, კავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური კაპიტალიზაციისკენ მიმართონ ძალისხმევა. სამივე რესპუბლიკა მოვლენების ასეთი განვითარებით მზად უნდა იყოს.**

iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი ბაჩეჩილაძე**

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო განზე დარჩენას არ აპირებს. მან უკვე დაარღვია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვრები უკრაინაში, როცა აღიარა ადგილობრივი „რასკოლნიკები". ამ ფაქტმა გამოიწვია როგორც მართლმადიდებელი სამყაროს გახლეჩა, ისე ახალი ცხელი წერტილების გაჩენა მსოფლიო ქრისტიანობის რუკაზე. შეიძლება მათგან ერთ-ერთი აფხაზეთიც იყოს.

მართლმადიდებლობის მტერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინის შემდეგ საქართველო

## ბართლომეს სურს საქართველოს ეკლესიის გახლეჩა და მართლმადიდებლურ სამყაროში დაპირისპირების გაღრმავება

**აფხაზი სამღვდელოება თავისი საეკლესიო სტრიქტურის შექმნაზე ალაპარაკდა, რასაც მართალმადიდებული სამყარო განხეთქილების შეტანის მცდელობად მიიჩნევს. საკითხის გადასაწყვეტად ისინი მოსკოვის, თბილისისა და კონსტანტინოპოლის ჩართვას მოითხოვენ, მაგრამ ვითარებას თავისებურად ხედავენ.**

მართლმადიდებელი ეკლესიების ჩამონათვალში აფხაზეთის ეკლესია არ არის. ის თვითაღიარებულია, ანუ კანონებს მიღმაა. ეს კი ნიშნავს, რომ მის მიერ ჩატარებული რიტუალები და წეს-ჩვეულებები ფუჭი და ბათილია, მაგრამ ამ არაკანონიკური სტრუქტურის წევრები მაინც ცდილობენ ლეგალიზაციის მოპოვებას. „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის" სასულიერო პირმა **ბესარიონ აპლიამ** (როგორც odishinews.ge იუწყება, ეს პირიარის ბესარიონ ფილია — ნ.კ.) რამდენიმე დღის წინ-ათ მოუწოდა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტისკენ. მისი წერილი გასულ თვეში მიიღეს მოსკოვმა და თბილისმა.

**„ჩვენ სურვილი გვაქვს, გამოვასწოროთ შეცდომები, რომლებიც დაუშვეს აფხაზეთის ეკლესიის კანონიკური სტატუსის მიმართ"**, — ნათქვამია საქართველოსა და რუსეთის პატრიარქებისადმი მიმართვაში.

ვითარება აფხაზეთში ძალიან ჰგავს უკრაინაში შექმნილ ვითარებას. აფსნის რეგიონი, როგორც მას აფხაზები უწოდებენ, დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა სამეფოს ეკუთვნოდა და, შესაბამისად, სხვადასხვა მართლმადიდებელ ეკლესიას ემორჩილებოდა. XIX საუკუნეში ის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილად იქცა.

ყველაფერი შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1992 წელს ურთიერთობა თბილისსა და სოხუმს შორის, რომელიც იმ მომენტში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრი იყო, შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. იმხანად ლაპარაკი იყო აფხაზეთის როგორც ადმინისტრაციულ, ისე რელიგიურ დამოუკიდებლობაზე საქართველოსგან. არც ისე იშვიათად სისხლი ილვრებოდა წმინდა ადგილებზეც — მსხვერპლთა შორის იყვნენ ღვთისმსახურებიც, ამიტომ 1993 წელს რეგიონი დატოვეს არა მხოლოდ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, არამედ ბევრმა მღვდელმსახურმა. 1993 წელს ადგილობრივი სასულიერო პირების მცირე ჯგუფმა სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებით მმართველად **ბესარიონ აპლია** აირჩია. 2004 წელს მან რეგისტრაციაში გაატარა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მაგრამ ის მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ აღიარა, მოსკოვისა და საქართველოს საპატრიარქომ კი აღიარებაზე უარი განაცხადეს.

### პირდაპირ თბილისში

ერთი წლის შემდეგ ლეგალიზაციის პრობლემა გაღრმავდა. შიდა კონფლიქტის გამო აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან გავიდა მღვდლების ჯგუფი **არქიმანდრიტ დოროთეს (დბარი)** მეთაურობით. მათ შექმნეს „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია". ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ ისიც დაარეგისტრირა, მისი ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს ახალი ათონის მონასტერში.

საკითხის გადაწყვეტას ორივე სტრუქტურა სხვადასხვანაირად ხედავს. ბესარიონ აპლია მოსკოვის საპატრიარქოსთან დიალოგის მომხრეა.

**„საქართველოს ეკლესიამ ამ წლების განმავლობაში, უბრალოდ, მიატოვა ეკლესია და უკან დაბრუნება არ უცდია, — ამბობს აპლია, — ამას გარდა, 100 წლის წინათ პატრიარქმა ტიხონმა არ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრეტენზია აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ 1943 წლის ზაფხულში ეს გადაწყვეტილება ფეხქვეშ გათელეს".**

საქართველოს საპატრიარქომ ბესარიონ აპლიას ასე უპასუხა: **„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით წერილის სულისკვეთებას, ვაცნობიერებთ დიალოგის დაწყების აუცილებლობას, ამიტომ ვფიქრობთ, რომ სასარგებლო იქნებოდა თქვენთან შეხვედრა თბილისში და პრობლემური საკითხების განხილვა".**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აფხაზეთს თავის კანონიკურ ტერიტორიად მიიჩნევს. ანალოგიური თვალსაზრისი აქვს რუსეთის ეკლესიასაც, რომელიც კონფლიქტში არ ერევა.



სიმონ კანანელის სახელობის მონასტერი ახალ ათონში



საქართველოს პატრიარქი ილია II და მოსკოვის პატრიარქი კირილე

### ახალი მხარე

კიდევ ერთი დიდი მოთამაშე — კონსტანტინოპოლის საპატრიარქო — განზე დარჩენას არ აპირებს. მან უკვე დაარღვია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვრები უკრაინაში, როცა აღიარა ადგილობრივი „რასკოლნიკები". ამან გამოიწვია როგორც მართლმადიდებელი სამყაროს გახლეჩა, ისე ახალი ცხელი წერტილების გაჩენა მსოფლიო ქრისტიანობის რუკაზე. შეიძლება მათგან ერთ-ერთი აფხაზეთიც იყოს.

**აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის საბჭოს თავმჯდომარე დოროთემ თხოვნით მიმართა სტამბულში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მისცეს მას ავტოკეფალიის სიგელი — ისეთი, როგორიც გადასცა კიევს 2019 წელს. პატრიარქმა ბართლომემ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ამის წინააღმდეგი არ არის.**

„ავტოკეფალიის მინიჭება კონსტანტინოპოლის განსაკუთრებული კომპეტენციაა, ამაზე მეტყველებს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია... მოკლედ, გავიმეორებ, რომ რუსეთი ვერ მისცემს ავტოკეფალიას ვერც აფხაზეთს, ვერც სხვას", — განუცხადა ბართლომემ ქართულ ტელეარხ „ფორმულას".

აფხაზეთისთვის ტომოსის მიცემით პატრიარქი ბართლომე არა მხოლოდ გააღრმავებს კონფლიქტს მოსკოვის საპატრიარქოსთან, არამედ მწვავედ დაუპირისპირდება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასაც.

ეს კიდევ უფრო გახლეჩს მართლმადიდებელ სამყაროს, სწორედ ამისკენ მიისწრაფვიან გარკვეული დასავლური ძალები.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. უკრაინელი „რასკოლნიკები" რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ: არაკანონიკური „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის" მამა-დამფუძნებელი ფილარეტ დენისენკო საბოლოოდ განუდგა ბერძენ მოკავშირეებს და ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ავტოკეფალიის პროექტი — ბართლომეს მიერ უკრაინის არაკანონიკური ეკლესიისთვის ტომოსის გადაცემა. საერთოდ, უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიამ კარგი ვერაფერი მოიტანა. ადამიანების გაერთიანების ნაცვლად, როგორც ინიციატორები ამბობდნენ, ავტოკეფალიამ გახლეჩვის მასშტაბი კიდევ უფრო გაზარდა, მათ შორის, თვითონ ბართლომეს ძალისხმევით შექმნილ უკრაინის ახალ ეკლესიაში.**

**ნ.კ.**



კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომე



მღვდელმსახური ბესარიონ აპლია



არქიმანდრიტი დოროთე

PARA BELLUM

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აქამდე ძალების ასეთი მასშტაბური ჩართვა ამ ტერიტორიაზე არ ყოფილა. ასევე ამ „მანევრებში“ მონაწილეობენ სტრატეგიული ბომბდამშენები B-1B. ნატოს წვრთნების განრიგში, რომელიც ერთი წლით ადრე დგება, ეს ღონისძიება არ შედიოდა. ალიანსის ეს დაუგეგმავი მანევრები და თურქული უპილოტო თვითმფრინავების — BAYRAKTAR-ის გამოყენება უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ დონბასში რუსეთის სამხრეთ საზღვრების კომპლექსური კვლევის ერთი და იმავე ჯაჭვის რგოლებია“.**

# შავი ზღვა: აშშ-მა და ნატომ ესკალაცია დაიწყეს



**ბათუმში ორდღიანი ყოფნის შემდეგ, 10 ნოემბერს, დილით აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მეექვსე ფლოტის საშტაბო ხომალდმა Mount Whitney-მ და საესკადრო ნაღმოსანმა Porter-მა (Aegis-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სარაკეტო იარაღის მართვის მქონე ხომალდი) აჭარის პორტი დატოვეს შავ ზღვაში ოპერაციის გასაგრძელებლად.**

„გმადლობ, ბათუმო, თბილი მიღებისა და შესანიშნავი ვიზიტისთვის პორტში. ახლა დადგა დრო, Mount Whitney-მ და Porter -მა გეგმური ოპერაციები განაგრძონ შავ ზღვაზე ნატოელ მოკავშირეებსა და პარტნიორებთან ერთად“, — ნათქვამია ამერიკის მეექვსე ფლოტის განცხადებაში.

პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** სტუმრებს ბათუმში პატივი მიაგო, გაიმართა კულტურულ-მასობრივი ღონისძიება ამერიკის ჰიმნის თანხლებითა და „ლეზგინკას“ შესრულებით. საესკადრო ნაღმოსანი Porter-ის შავი ზღვის წყლებში 30 ოქტომბრიდან დაცურავს, ტანკერი John Lenthall-ი დარდანელისა და ბოსფორის გავლით 3 ნოემბერს შემოვიდა, მეორე დღეს კი — Mount Whitney-ც.

სწორედ **PORTER-ი, რომელსაც ასამდე ბირთვული თუ ჩვეულებრივი ქობინის ტარება შეუძლია, პოტენციურად უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს,** — აღნიშნავენ ექსპერტები. შეგახსენებთ, რომ სწორედ მისი (ასევე საესკადრო ნაღმოსან Donald Cook-ის) ბორტიდან 2017 წლის აპრილში „ტომაჰავკის“ (2500 კმ-მდე მოქმედების რადიუსით) რაკეტებით დაიბომბა სირიის ავიაბაზა ეშშაირატი. თავის მხრივ, **ფლაგმანი MOUNT WHITNEY, რომელიც აღჭურვილია ჰაერსაწინააღმდეგო საფარით, პასუხისმგებელია ხმელთაშუა ზღვის მეექვსე ფლოტისა და ნატოს მოკავშირეების მოქმედებების კოორდინაციაზე. ტანკერი JOHN LENTHALL-ი შექმნილია ზღვაში გემების საწვავით ოპერატიულად შესავსებად. მთელი ეს არმადა არაგეგმიური მრავალეროვნული წვრთნების საბაბით დემონსტრაციულად მიიწევს რუსეთის შავი ზღვის სანაპიროებისკენ.**

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ქმედებები მიმართულია უკრაინის ტერიტორიის სამხედრო ათვისებისა და შავი ზღვის რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციისკენ. დაინტერესებული მხარეები ემზადებიან დონბასში მორიგი ესკალაციისთვის და აქტიურად სწავლობენ სამხედრო ოპერაციების სავარაუდო თეატრს:

**„იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გარდა, სწავლებაში ჩართულია ტაქტიკური, საპატრულო და სტრატეგიული ავიაცია, ასევე ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, თურქეთისა და უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტიგენტები, აშკარაა სამხედრო ოპერაციების სავარაუდო თეატრის შესწავლა იმ შემთხვევაში, თუ კიევი ძალისმიერ ქმედებებს მიმართავს სამხრეთ-აღმოსავლეთში“.**

„9 ნოემბერს შავი ზღვის თავზე ამოაჩინეს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ჯაშუში — თვითმფრინავი E-8C“, — იუწყება რუსეთის თავდაცვის სამინისტრო. მისი მინიმალური მიახლოება რუსეთის საზღვართან 35 კილომეტრი იყო. მას ახლდა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სადაზვერვო თვითმფრინავი RC-135 (აფრინდა კრეტაზე მდებარე ბაზიდან), აშშ-ის საზღვაო ძალების საპატრულო თვითმფრინავი P-8A Poseidon-ი (აფრინდა სიცილიის ავიაბაზიდან) და საფრანგეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების სადაზვერვო თვითმფრინავი C-160G Gabriel (აფრინდა რუმინეთიდან). აღმოჩენილი იქნა აშშ-ის საჰაერო ძალების კიდევ ერთი სტრატეგიული სადაზვერვო თვითმფრინავი U-2, რომელიც აფრინდა დიდი ბრიტანეთის ტერიტორიიდან. ყველა აღნიშნული აპარატი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრებს რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდა.

იმავე დღეს, 9 ნოემბერს, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ბოგდან აურესკუმ** განაცხადა, რომ პირადად სთხოვა აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ენტონი ბლინკენს,** განეხილა რეგიონში ამერიკელი სამხედროების რაოდენობის გაზრდა. ამის საპასუხოდ აშშ-ის დიპლომატიის ხელმძღვანელმა შეაქო რუმინეთი, როგორც „ნატოს ერთგული მოკავშირე“, რომელიც იზიარებს ალიანსის „აღმოსავლეთ ფლანგზე“ თანამშრომლობის მიზნებს (რომლის სამხრეთ ნაწილს, ბუქარესტის თქმით, არასაკმარისი ყურადღება ექცევა), მათ შორის, „უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიისადმი“ უკუქმედების ჩათვლით.

„ჩვენ ვიმოქმედებთ საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო სივრცეში, როგორც მიზანშეწონილად მივიჩნევთ“, — კატეგორიულად განაცხადა პენტაგონის სპიკერმა ჯ. კირბიმ. ნატოს ოპერაციებს შავ ზღვასა და ჰაერში (სადაზვერვო ფრენები) თვალყურს ადევნებენ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“ და ფრეგატი „ადმირალი ესენი“.

„ის, რაც ახლა შავ ზღვაში ხდება, არ ჰგავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგ წვრთნებს“, — განაცხადა სამხედრო ექსპერტმა **ვიქტორ მურახოვსკიმ.**

**„აქამდე ძალების ასეთი მასშტაბური ჩართვა ამ ტერიტორიაზე არ ყოფილა. ასევე ამ „მანევრებში“ მონაწილეობენ სტრატეგიული ბომბდამშენები B-1B. ნატოს წვრთნების განრიგში, რომელიც ერთი წლით ადრე დგება, ეს ღონისძიება არ შედიოდა. ალიანსის ეს დაუგეგმავი მანევრები და თურქული უპილოტო თვითმფრინავების — BAYRAKTAR-ის გამოყენება უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ დონბასში რუსეთის სამხრეთ საზღვრების კომპლექსური კვლევის ერთი და იმავე ჯაჭვის რგოლებია“.**

**რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ქმედებები მიმართულია უკრაინის ტერიტორიის სამხედრო ათვისებისა და შავი ზღვის რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციისკენ. დაინტერესებული მხარეები ემზადებიან დონბასში მორიგი ესკალაციისთვის და აქტიურად სწავლობენ სამხედრო ოპერაციების სავარაუდო თეატრს: „იმის გათვალისწინებით, რომ, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გარდა, სწავლებაში ჩართულია ტაქტიკური, საპატრულო და სტრატეგიული ავიაცია, ასევე ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, თურქეთისა და უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტიგენტები, აშკარაა სამხედრო ოპერაციების სავარაუდო თეატრის შესწავლა იმ შემთხვევაში, თუ კიევი ძალისმიერ ქმედებებს მიმართავს სამხრეთ-აღმოსავლეთში**

**რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს თქმით, ამერიკელების ქმედებები არის „თითქმის მუდმივი მცდელობა, შეგვამოწმონ, რამდენად მზად ვართ, რამდენად კარგად არის აწყობილი ჩვენი სისტემა შავი ზღვის სანაპიროზე, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის სამხრეთით“.**

„ვფიქრობ, ნატოს წვრთნები დაკავშირებულია აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მისწრაფებასთან, გააძლიერონ რუსეთის ფედერაციის შეკავების პოლიტიკა“, — ივარაუდა საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა.** კიევის მიერ დონბასში ძალოვანი სცენარის განხორციელების შემთხვევისთვის დასავლელი პარტნიორები ახორციელებენ პრევენციულ ქმედებებს „რუსეთის სამხედრო ჩარევის“ თავიდან ასაცილებლად.

სამხედრო ექსპერტ **ვიქტორ ლიტოვკინის** თქმით, Arleigh Burke-ს კლასის სარაკეტო საესკადრო ნაღმოსნების სამიზენში შეიძლება აღმოჩნდეს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო დივიზიები კალუგის, ტვერისა და სარატოვის ოლქებში; ამასთანავე, **ყირიმისა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს თავდაცვის სისტემას (მათ შორის საზენიტო-სარაკეტო სისტემებს: C-300, C-400, ხომალდსაწინააღმდეგო სისტემებს: „ბალი“ და „ბასტიონი“ და სხვ.), რომ არაფერი ვთქვათ შეიარაღების ახალ სისტემებზე, როგორიცაა „კინჟალი“ და „ცირკონი“, შეუძლია მოიგერიოს პოტენციური თავდასხმა.**

„ჩვენ კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემა. ეს პირდაპირ კავშირშია წამყვან ქვეყნებში პერსპექტიული მოიერიშე საშუალებების შემუშავებასთან მაღალი სიჩქარის მახასიათებლებით. ამას, აგრეთვე, მოითხოვს ზოგადი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, მათ შორის ნატოს ავიაციის ფრენების მზარდი ინტენსივობა რუსეთის მახლობლად, ალიანსის მართული სარაკეტო შეიარაღების მქონე გემების გამოჩენა ბალტიისა და შავ ზღვებში. აი ახლაც, მოგეხსენებათ, ამერიკული ხომალდი შავ ზღვაში შევიდა — შეგვიძლია დავაკვირდეთ მას ბინოკლით ან შესაბამისი თავდაცვის სისტემების სამიზნით. ყველასთვის ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ევროპაში მოქმედების საშუალო რადიუსის რაკეტების ევროპაში განლაგების შესახებ, რომელიც ასევე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 1 ნოემბერს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაწესებულებათა ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას.

**ნინო ბერიძე**

**P.S. „რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შეშფოთებულია შავ ზღვაში აშშ-ის ყოფნით და აკვირდება ვითარებას, — განაცხადა რუსეთის სახელმწიფო მეთაურის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა შესაბამის კითხვაზე პასუხისას“, — წერს ria.ru. პესკოვის თქმით, რუსეთის საზღვრებთან ამერიკული გემების ყოფნა ყურადღების გამახვილებას მოითხოვს, თუმცა პრეზიდენტების ადმინისტრაციებს შორის კონტაქტები აქამდე არ ყოფილა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აშშ-ის მეექვსე ფლოტის ფლაგმანი გემის — Mount Whitney-სა და საესკადრო ნაღმოსან Porter -ის შავი ზღვის აკვატორიაში ყოფნის კომენტირებისას განაცხადა, რომ აკონტროლებენ მათ ქმედებებს. უწყებაში მიაჩნიათ, რომ აშშ ცდილობს, შექმნას სამხედრო დაჯგუფება რუსეთის საზღვრებთან, ვაშინგტონის ერთ-ერთი მიზანი უკრაინის სამხედრო ათვისებაა. სამინისტროში ვარაუდობენ, რომ აშშ სწავლობს ვითარებას იმ შემთხვევისთვის, თუ დონბასში კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრას შეეცდებიან.**

**ნ.ბ.**

ძია სემის კლანჭებში

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი პოლონეთს ამერიკის მეგობრად არ მიიჩნევს, იმის მიუხედავადაც კი, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე განთავსებულია ცხრა ამერიკული და ნატოს წევრი კიდევ ხუთი ქვეყნის სამხედრო ბაზები. დღეს პოლონეთში ხუთი ათასზე მეტი უცხოელი ჯარისკაცია და მთავრობას სურს უახლოეს მომავალში მათი რაოდენობის გაზრდა, ხოლო უცხოელი ჯარისკაცები პოლონეთში, უბრალოდ, ვალდებულნი არიან, თავი კომფორტულად იგრძნონ, რა თქმა უნდა, პოლონელების ხარჯზე“.**

# პოლონური გამოცემა: პოლონეთი აშშ-ის ევროპული კოლონიაა

## «არც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი არ მოკვდება პოლონეთისთვის»

**„პოლონეთ-ამერიკის ურთიერთობები ამჟამად განსაკუთრებულ ეტაპზეა. პირველად 30 წლის განმავლობაში აშშ-ისა და პოლონეთის ამჟამინდელი მთავრობები განსხვავდებიან ზოგადი ღირებულებების აღქმაში და ეს განსხვავება ხშირად ფუნდამენტურია“, — იუწყება პოლონეთის დამოუკიდებელი პოლიტიკური ონლაინ-ჟურნალი Dziennik polityczny.**

გამოცემის აზრით, ამერიკულ-პოლონური ურთიერთობების გაცივებაში დიდი როლი ითამაშა პოლონეთის მმართველი პარტია PiS-ის (პარტია „სამართალი და სამართლიანობა“) თავდასხმებმა TVN-სა და TVN24-ზე, რადგან ეს ტელეარხები ეკუთვნის ამერიკულ Discovery Corporation-ს. ამ შეტევამ კიდევ უფრო გაამძაფრა უკვე არსებული უთანხმოებანი ორივე მხარის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თვალსაზრისებში და შეიძლება გამოიწვიოს პოლონეთში დისლოცირებული ამერიკული ჯარების რუმინეთში გადაყვანაც კი. გარდა ამისა, პოლონურ-ამერიკული ურთიერთობების გაციების თვალსაჩინო მაჩვენებლად იქცა პოლონეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების შეხვედრების რაოდენობის შემცირება აშშ-ის ხელმძღვანელობასთან.

„წლის განმავლობაში აშშ-ის პრეზიდენტი შეხვდა რიგ ლიდერებს, მათ შორის თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს. ჰოდა, თუ ჩვენს პრეზიდენტზე ვისაუბრებთ, საგულისხმოა, რომ აშშ მხოლოდ დაპირებებით გვკვებავს, აქაოდა, ერთ დღესაც **ანჯეი დუდა** ამერიკის სახელმწიფოს მეთაურს შეხვდება. წლების განმავლობაში ხელისუფლებამ პოლონელებს ჩაუნერგა რწმენა, რომ ძლიერი პოლონურ-ამერიკული ალიანსი არის ევროკავშირსა და გერმანიასთან პოლონეთის კავშირის ალტერნატივა. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ პოლონეთის მმართველი პარტია მარცხს განიცდის“, — ამბობს სტატიის ავტორი, ჟურნალისტი **ჰანა კრამერი.**

მისი აზრით, ეს გასაკვირი არ არის, რადგან **პოლონეთი აშშ-ის ევროპული კოლონიაა, რომლის უამრავი დასტურიც არსებობს. მაგალითად, მმართველი პარტია ყოველთვის იღებს გადაწყვეტილებებს მხოლოდ თეთრი სახლის ინტერესებიდან გამომდინარე და ყოველთვის წარმოადგენს ამერიკელების ინტერესებს საერთაშორისო სამიტებზე. 2019 წელს კი ანჯეი დუდამ ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, რომლის შემდეგაც პოლონეთის ურთიერთობა აღმოსავლელ მეზობლებთან მხოლოდ გაუარესდა, რაც თავიდანვე ნათელი იყო.** დღეს პოლონეთი განაგრძობს აგრესიულ პოლიტიკას მოსკოვის მიმართ, არა იმიტომ, რომ რუსეთი მართლაც პოლონეთის მტერია, არამედ იმიტომ, რომ ოკეანის გაღმა ითხოვენ, რომ პოლონეთი რუსეთის მტერი გახდეს. ეს ვაშინგტონს სჭირდება და არა ვარშავას. ხოლო მას შემდეგ, რაც თეთრი სახლის ძალისხმევამ პოლონეთი მართლაც გადააქცია რუსეთის მტრად, მათ შეუძლიათ, უბრალოდ, მიატოვონ იგი.

„აშშ-თან მეგობრობის იმედს ვერ ვიქონიებთ, რადგან თეთრი სახლი სასიკვდილოდ გაგვიმეტებს. ამერიკელები ახლა ამ შესაძლებლობას განიხილავენ. 3 ნოემბერს აშშ-ის კონგრესთან არსებულმა ჰელსინკის კომისიამ მოაწყო სპეციალური მოსმენა პოლონეთში დემოკრატიის ნგრევის შესახებ, სადაც განიხილებოდა პოლონეთიდან ამერიკული ჯარების გაყვანა, ეკონომიკური სანქციების დაწესება, ვაშინგტონის ალიანსი ბრიუსელთან დემოკრატიული სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად ვარშავასა და ბუდაპეშტში“, — აღნიშნავს გამოცემა და აცხადებს, რომ **აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი პოლონეთს ამერიკის მეგობრად არ მიიჩნევს, იმის მიუხედავადაც კი, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე განთავსებულია ცხრა ამერიკული და ნატოს წევრი კიდევ ხუთ ქვეყნის სამხედრო ბაზები. დღეს პოლონეთში ხუთი ათასზე მეტი უცხოელი ჯარისკაცია და მთავრობას სურს უახლოეს მომავალში მათი რაოდენობის გაზრდა, ხოლო უცხოელი ჯარისკაცები პოლონეთში, უბრალოდ, ვალდებულნი არიან, თავი კომფორტულად იგრძნონ, რა თქმა უნდა, პოლონელების ხარჯზე.** ამ მიზეზით ამერიკელი ჯარისკაცები პოლონეთის კანონმდებლობისგან გათავისუფლდნენ. პოლონეთის ხელისუფლების ვერც ერთი წარმომადგენელი იანკებს ვერ დასჯის. „შესაძლოა, სწორედ ამიტომ იქცევიან ოკუპანტებივით ამერიკელი ჯარისკაცები პოლონეთში“, — აღნიშნავს ჰანა კრამერი.

„ეს ყველაფერი ვერაფრით დაეხმარება პოლიტიკოსებს ვაშინგტონის მხარდაჭერის მოპოვებაში. ეს არ შეცვლის იმ ფაქტს, რომ პოლონეთი თეთრი სახლის ბუფერული ზონაა. არც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი არ მოკვდება პოლონეთისთვის, რადგან ჩვენ აშშ-ის, მეგობარი კი არა, მხოლოდ კოლონია ვართ“, — ასკვნის Dziennik polityczny.







**fondsk.ru-ზე**
**გამოქვეყნებული მასალის**
**მიხედვით მოამზადა**
**ნინო ბერიძემ**

# უკრაინას ევროკავშირსა და ნატოში არავინ ელის

## კიევს ევროკავშირის წევრობისთვის «რამდენიმე სინათლის წელიწადი» სჭირდება

**უკრაინა აქტიურად მიისწრაფვის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებისკენ. ქვეყნის პოლიტიკა მიმართულია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, მაგრამ, როგორც ჩანს, კიევს არც ევროკავშირში და არც ნატოში არ ელიან. ამაზე ნათლად მიუთითებს ევროპელი და ამერიკელი მაღალჩინოსნების ბოლოდროინდელი განცხადებები.**

გასულ კვირას უკრაინაში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა **ჯონ ჰერბსტმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ უახლოეს ხუთ-ათ წელიწადში კიევს ნატოში გაწევრების იმედი არ უნდა ჰქონდეს. გადამდგარი პოლიტიკოსის თქმით, ამერიკა მზად არის, უკრაინას იარაღი მიაწოდოს, თუმცა სამხედრო კონტიგენტს სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ განათავსებს.

**ჰერბსტმა ასევე თქვა, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში უკრაინას არ უნდა ჰქონდეს აშშ-ის რეალური დახმარების იმედი. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ამერიკა დახმარებას კი არ გაუწევს, არამედ მხოლოდ ფულს გამოიმუშავებს იარაღის მიწოდებაზე.** მორიგი პესიმისტური განცხადება გააკეთა ესტონეთის პრეზიდენტმა **კერსტი კალიულაიდმა.** YES-Brainstorming ფორუმზე მან გაიმეორა ერთი თვის წინათ ნათქვამი, რომ უკრაინას ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაჩინო პერსპექტივა არ აქვს. **ესტონეთის პრეზიდენტმა კვლავ განაცხადა, რომ კიევს ევროკავშირის წევრობისთვის სჭირდება „რამდენიმე სინათლის წელიწადი“ (რაც, ფაქტობრივად, უსასრულობას ნიშნავს).**

ქალბატონ კალიულაიდის განცხადებით, უკრაინა ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირში ნანატრი წევრობისთვის აუცილებელ კოპენჰაგენის კრიტერიუმებს. კერძოდ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „ვერ დავინახე უკრაინის მიახლოება კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესრულებასთან“, — განაცხადა პოლიტიკოსმა. ეს არის პროუკრაინელი ევროპელი პოლიტიკოსის განცხადება; ესტონეთის პრეზიდენტისა, რომელიც ტრადიციულად მხარს უჭერს უკრაინას. გარდა ამისა, კერსტი კალიულაიდმა ისაუბრა ნატოში უკრაინის, ფაქტობრივად, შეუძლებელ გაწევრებაზე. პირველი ნაბიჯი, მისი თქმით, უნდა იყოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება.

იმის გათვალისწინებით, რომ კერსტი კალიულაიდი ნატოს გენერალური მდივნის პოსტზე კანდიდატად განიხილება, მისი სიტყვები ყურადსაღებია. უკრაინას საკუთარი ძალებით ამის გაკეთების უნარი არ შესწევს, აშშ და ნატო კი არ დაეხმარებიან. ჰოდა, ერთობ უნუგეშო მოჯადოებული წრე გამოდის.



**worldandwe.com-ზე**
**გამოქვეყნებული მასალის**
**მიხედვით მოამზადა**
**ნინო ბერიძემ**

სიკვდილის შემდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველაზე მნიშვნელოვანი ექიმის ფიგურაა, რამდენად კვალიფიციურია, როგორ მოგვივლის და იზრუნებს ჩვენს ჯანმრთელობაზე, თუმცა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორი იქნება მიღება, დახვედრა, მოპყრობა პაციენტის მიმართ. ამაზე ყურადღების გამახვილების ფუფუნება უკვე გვაქვს. პაციენტისთვის საავადმყოფოში ყოფნა და გადაადგილება არ უნდა იქნას გაიგივებული რაღაც ტანჯვასთან, ბიუროკრატიასთან“.**

# ევროპული დონის და ცოტა უფრო მეტის

**„ცვივა ტყეებზე ოქროს მანანა,**
**ციცნათელები არხევენ არაგვს...**
**და ორი ტურა, ქილიკ-დამანა,**
**სოროში ჯერით ამბობენ არაკს“.**

*გიორგი ლეონიძე*

**ჰოდა, სანამ ის ტურა-მელიები, რომლებსაც „არავინ მიშვებს გარეგან მთათა და გინა მე ბართა“, ხალხის გასაბითურებელ ზღაპარ-არაკებს ჰყვებიან, ათუხთუხებულ საძროხე ქვაბებში მოხარშული ტვინების კარნახით ჩვენს გაბრუებას ცდილობენ, გონიერი საქართველო ჩვენი საზოგადოების გაჯანსაღების საქმეს გულმოდგინედ აკეთებს, თუნდაც მედიცინის განხრით, ხალხის გასაჯანმრთელებლად.**

**გულიკო ჩაფიძის** სახელობის ცენტრიდან ამქვეყნად ხელმეორედ მოვლინებულმა პირველი ინტერვიუ ჩამოვართვი ახალგაზრდა კაცს, რომელიც მაინცდამაინც ამ საქმისთვის არის თავგადადებული და წარმატებულიც.

ველაპარაკები, უფრო ზუსტად, დროს ვაკარგვინებ ლეგენდარული ადამიანის, აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** დაარსებული, საყოველთაოდ ცნობილი სამკურნალო და სამეცნიერო ცენტრის გენერალურ მენეჯერს, პატრონსა და ხელმძღვანელს — **გიორგი დიასამიძეს,** რომელიც თბილისის უბანში, ფიქრის გორაზე ყოფილი „ევროპალასის“ სასტუმროს შენობის ახალ სამედიცინო დაწესებულებად რეკონსტრუქციას ამთავრებს.

გიორგი ბატონი ფრიდონის შვილიშვილია. წლებია, ვიცნობთ ერთმანეთს და უფლება გვაქვს, ამ „ჟურნალისტური აქტივობის“ დროს გავუშინაურდეთ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ არ ვარღვევთ ეთიკურ ნორმებს და ვსაუბრობთ ოფიციალურ ტონალობაში.

საზოგადოების მიმართ და ურთიერთ პატივისცემის გამო.

მაგრამ არა გულწრფელობის ხარჯზე.

ხომ ასე იყო, ბატონო გიორგი?

* * *

**პირველი შეკითხვა:**

**— ბატონმა ფრიდონმა ყველაფერი გააკეთა, რათა მის მიერ დაფუძნებულ კლინიკაში კვლავაც წარმატებით გაგრძელებულიყო სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა, მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვის გზით ჩვენი საზოგადოების გასაჯანსაღებლად. აღჭურვა უახლესი სამედიცინო აპარატურით და ა.შ., მაგრამ თქვენ მაინც გადაწყვიტეთ სამუშაო სივრცის გაფართოება. რამ გაიძულათ?**

— ცენტრალურ უბანში საავადმყოფოების ნაკლებობის გამო პაციენტებს დიაგნოზის დასადგენად, პროცედურების ჩასატარებლად, თუნდაც ისეთი მარტივის, როგორიც ანალიზის ჩაბარება ან რენტგენით გაშუქებაა, ვაკის, ვერის, მთაწმინდის უბნებში მცხოვრებ თბილისელებს ყოველდღიურად უწევდათ დიდი მანძილის გავლა ქალაქის გარეუბნებში განლაგებულ სამედიცინო ცენტრებში მისასვლელად.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენმა საავადმყოფომ აქ დაიდო ბინა, მოსახლეობის თხოვნით მოხდა. მომსახურების ხელმისაწვდომობით იყო ნაკარნახევი.

მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ისიც, რომ იქ, სადაც ჩვენი ცენტრია, განვითარება-გაფართოების არავითარი საშუალება არ არსებობს. ვგულისხმობ ისეთ ახალ მიმართულებებს, როგორიც არის პედიატრია, პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია, ესთეტიკური მედიცინა და პრევენციული მედიცინის ცენტრი, ე.წ. ჩექაფი, რომლებსაც ამ განახლებულ, მედიცინას მორგებულ და სათანადოდ აღჭურვილ ფილიალში ავამოქმედებთ.

**— „ჩექაფი“ როგორ იშიფრება?**

— „ჩექაფი“ გულისხმობს დაავადების აღმოჩენას ადრეულ ეტაპზე, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო პროგრამით.

თავისთავად ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ **ჩვენ ინდივიდუალურად, პაციენტის სქესის, ასაკის, გენეტიკური ფაქტორების, ცხოვრების წესის და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს, ჩაიტაროს პროფილაქტიკური გასინჯვა, შევუდგენთ ჯანმთელობის შემოწმების პროგრამას ერთი დღეში გამოწვლილვითი შემოწმების საფუძველზე.**

**— ე.ი., ოპერატიულად?**

— დიახ, რადგან დრო დღევანდელ პირობებში ყველაზე დიდი დეფიციტია... ინდივიდუალურ პროგრამას შევუდგენთ, რათა გამოირიცხოს ისეთი ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებები, როგორებიცაა, მაგალითად, კარდიოლოგიური, ენდოკრინოლოგიური პრობლემები და ა.შ., ასაკის მიხედვით განსხვავებული. გვინდა, რომ ამის კულტურა უფრო ფართოდ დავნერგოთ ჩვენს საზოგადოებაში.

**— ე.ი., მომავლის საქმეა?**

— არ იქნება ზუსტი, ასე რომ ვთქვათ, რადგან ეს პროგრამა უკვე დაწყებული გვაქვს: დღეში 60-მდე ადამიანი მოგვმართავს პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩასატარებლად.

**— შეიძლება ამ საქმის კონკრეტული პერსპექტივა წარვუდგინოთ ჩვენს მკითხველებს?**

— რატომაც არა! ჯანმრთელობის მენეჯერები შემოსვლისთანავე დახვდებიან პაციენტს. შემოიყვანენ, ვთქვათ, ამ ოთახში, რომელშიც ვართ (ვართ კი რეკონსტრუქტირებული ცენტრის მეხუთე სართულზე, რისი თქმაც დამავიწყდა. — ა.ს.) და რომელიც ერთი დღით თქვენი საკუთრება ხდება თავისი ტელევიზორით, მაცივრითა და მაქსიმალური კომფორტით (გიორგი დიასამიძე ბოდიშს იხდის იმ საველე პირობების გამო, რომელშიც გვიხდება მუშაობა: მშენებლები, მხატვრისა არ იყოს, უკანასკნელ შტრიხებს უკეთებენ საერთო ნამუშევარს); შეგახვედრებენ ექიმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თქვენს სრულყოფილ გასინჯვას **(ფრიდონ თოდუა ყვებოდა, რომ პაციენტისადმი დამოკიდებულება ევროპასა და თურქეთში საკმაოდ განსხვავებულია. საყოფაცხოვრებო დეტალების უზრუნველყოფით თურქები უსწრებენ დასავლეთევროპელ კოლეგებს: პაციენტისადმი ამ ხასიათისა და ხარისხის ყურადღების გამოჩენით ჯაბნიან მათ. პიროვნებად იგრძნობთ თავს, კაცად, რომელსაც პატივს სცემენ და ღირსეულად ეპყრობიან. საკუთარ თავზე გამოვცადეო. ბაბუის ნაანდერძევს ხომ არ ასრულებს გიორგი? არ მიკითხავს. ისედაც ცხადი იყო).**

— დროისა და ენერგიის დახარჯვა არ გვენანება: სამედიცინო მომსახურების გარდა, კლინიკაში შემოსვლისთანავე რომ იღებს პაციენტი, უმნიშვნელოვანესია, როგორ მიესალმებიან, როგორ დახვდებიან, როგორი კეთილგანწყობილი იქნება მასთან ურთიერთობაში ყველა ჩვენი თანამშრომელი ექიმის კაბინეტში შესვლამდე.

**ყველაზე მნიშვნელოვანი ექიმის ფიგურაა, რამდენად კვალიფიციურია, როგორ მოგვივლის და იზრუნებს ჩვენს ჯანმრთელობაზე, თუმცა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორი იქნება მიღება, დახვედრა, მოპყრობა პაციენტის მიმართ. ამაზე ყურადღების გამახვილების ფუფუნება უკვე გვაქვს. პაციენტისთვის საავადმყოფოში ყოფნა და გადაადგილება არ უნდა იქნას გაიგივებული რაღაც ტანჯვა-წვალებასთან, ბიუროკრატიასთან.** უნდა აღიქმებოდეს მაღალი ხარისხის მომსახურებად, ისეთად, როგორიც ახასიათებს უმაღლესი კლასის სასტუმროებს.

**(თუ სადმე ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლები მშვიდად ურთიერთობდნენ, „ერთად ძოვდნენ“ და პაციენტების ფუნქციას არსებული წესების მიხედვით ინარჩუნებდნენ, თოდუას ცენტრში იყო. რეალური კოაბიტაცია (და არა კოჰაბიტაცია, როგორც ზოგიერთმა უვიცმა დაიჩემა), აქ იყო რეალიზებული. ფრიდონ თოდუა მათ ერთმანეთისგან არ განასხვავებდა, ამიტომ იყო, რომ არავის არასოდეს, ვითარების მიუხედავად, მასზე ცუდი არ წამოსცდენია... ესეც ბაბუისგან მოსდევს შვილიშვილს, ასე მგონია. მეცნიერ მუშაკებად ექიმების ჩამოყალიბების ტრადიციის კლინიკაში გაგრძელებაც მისეულია).**

— მიმაჩნია, რომ ბაბუაჩემი, — **ამბობს გიორგი დიასამიძე**, — მე მაქვს ამის თქმის უფლება და, არა მგონია, აღმოჩნდეს ვინმე, ვინც არ დამეთანხმება, რომ ბატონმა ფრიდონმა ამ ქვეყანაში სამედიცინო ისტორიის მთელი თავი შექმნა თანამედროვე მედიცინის, თანამედროვე რადიოლოგიისა და ბევრი რამ დაგვიტოვა ისეთი, რის საფუძველზეც უნდა შევძლოთ ახალი დარგების განვითარების უზრუნველყოფა.

დღეს იმის გარეშე, რასაც ბაბუა ამბობდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია სამეცნიერო მუშაობა, ახალგაზრდების გაზრდა, ფართო ასპარეზზე გაყვანა და ასპარეზობის უფლების მიცემა, იმის გარეშე, რისკენაც ეს ადამიანი ორმოცდაათი წლის წინათ მოგვიწოდებდა, დღეს უკვე შეუძლებელია კვალიფიკაციის ამაღლება და ახალგაზრდა ექიმების სუპერპროფესიონალებად ჩამოყალიბება. დღეს წელიწადში რამდენიმეჯერ წარმოდგენილი თუ არ ხარ საერთაშორისო პრესტიჟულ გამოცემებში, სახელი „თოდუას კლინიკა“ რჩება მხოლოდ სახელად, იმ შინაარსისგან დაცლილად, რომელიც მას წლების განმავლობაში გამოარჩევდა და უმაღლესი ხარისხის ნიშნად იყო და არის მიჩნეული.

**ის, რომ ჩვენ ვმონაწილეობთ საერთაშორისო კლინიკურ პროექტში, ვაქვეყნებთ საინტერესო ნაშრომებს აქტუალურ პრობლემებზე და პრაქტიკულად ვართ ჩართული სამედიცინო საქმიანობაში, გვაძლევს უფლებას, განვაცხადოთ, რომ ვართ სრულყოფილი სამედიცინო დაწესებულება. ამის გარეშე მედიცინა არ არსებობს.** მხოლოდ რუტინულად პაციენტის გასინჯვა, იმის თქმა, რა ლამაზი კედლებია და რა კარგი აპარატურა გვაქვს, მედიცინას არ ნიშნავს. ამას გვასწავლიდა და ასეთი ცხოვრებისეული იდეა ჰქონდა ბაბუაჩემს, რომელსაც არ შეიძლება არ დაეთანხმო. რაღაც საკითხებზე ჩვენ გვქონდა განსხვავებული თვალსაზრისი, მაგრამ ფუნდამენტურ საკითხებში, რომლებზეც იგი წლების განმავლობაში მუშაობდა, ერთი აზრი გვქონა.

— მაპატიეთ, ჩაგეჭრებით, — **საუბარში ერთვება ნინო ჯღამაძე, აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ჩვენს შეხვედრას თავიდანვე ესწრებოდა,** — მოვა ახალგაზრდა, გვეუბნებოდა ბატონი ფრიდონი, და ნახავთ, საქმეს სულ სხვანაირად წაიყვანსო.

**— ასეთ დამოკიდებულებას ასწავლიან ჩვენს სამედიცინო სასწავლებლებში?**

— ეს არის ბაბუაჩემის სკოლა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოს ვერც ერთ უნივერსიტეტში ვერ ისწავლით ისეთ ურთიერთობებს, საქმის ისეთ სიყვარულს, ისეთ თავდადებასა და ერთგულებას, რომლის ჩანერგვაც შეეძლო ბაბუაჩემს. გონიერი ადამიანი ახერხებდა და ამ ყველაფერს ითვისებდა მისგან. ადამიანი, რომელსაც ჰქონდა უნ-



გიორგი დიასამიძე

**«ბატონმა ფრიდონმა ამ ქვეყანაში სამედიცინო ისტორიის მთელი თავი შექმნა თანამედროვე მედიცინის, თანამედროვე რადიოლოგიისა და ბევრი რამ დაგვიტოვა ისეთი, რის საფუძველზეც უნდა შევძლოთ ახალი დარგების განვითარების უზრუნველყოფა»**

**«ჩვენი კლინიკა, ძირითადად, მოემსახურება უახლოეს უბნებში მცხოვრებ მოქალაქეებს. სისხლის ანალიზისთვის აქ გლდანიდან არავინ მოვა. მაშასადამე, უმეტესობა ქვეითად მობრძანდება — ფეხით»**

# „ინდივიდუალურ პროგრამას შევუდგენთ, რათა გამოირიცხოს ისეთი ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებები, როგორებიცაა, მაგალითად, კარდიოლოგიური პრობლემები, ენდოკრინოლოგიური პრობლემები და ა.შ., ასაკის მიხედვით განსხვავებული. გვინდა, რომ ამის კულტურა უფრო ფართოდ დავნერგოთ ჩვენს საზოგადოებაში“.

სიკვდილის შემდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არი, ღრმად ჩაეხედა და გაეანალიზებინა, მისი თუნდაც ზოგჯერ ერთი შეხედვით მკაცრი ან ლმობიერი გადაწყვეტილების მიღმა რა იდეა იდგა, რა იგულისხმებოდა, ყოველთვის მოგებული რჩებოდა. ეს სულ სხვა გამოცდილებაა, რომელსაც ვერსად ისწავლით.

ასეთია ის ცოდნა, რომელიც მასთან ერთად ცხოვრების განმავლობაში შევითვისე. ასე რომ არ ყოფილიყო, ძალიან გამიჭირდებოდა. მე არ ვარ ერთადერთი, ვინც მისი სკოლა დავამთავრე. ძალიან ბევრი ადამიანია ჩვენს დაწესებულებაში და მის გარეთ, რომლებიც აბსოლუტურად იზიარებენ იმ ღირებულებებსა და მიდგომებს, რომლებიც ბაბუას ჰქონდა. ეს საშუალებას გვაძლევს, განვაგრძოთ წინსვლა და არ დავაბრკოლოთ ის დიდი საქმე, რომელიც მან ოცდაათი წლის წინათ დაიწყო.

**წლეულს ოცდაათი წელიწადი შეუსრულდა ჩვენს კლინიკას. ღირსშესანიშნავი თარიღია — არც ძალიან ბევრი, არც უმნიშვნელოდ ცოტა. ცოტა და უმნიშვნელო არ არის თუნდაც იმიტომ, რომ იმისთვის, რაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო 30 წელიწადში მოხდა — ომი, რევოლუცია, გაჭირვება, ეკონომიკური კრიზისებიც და კარგი პერიოდიც, ბევრ სხვას საუკუნეც არ ეყოფოდა. არსებობს 500 ან 200-წლიანი ისტორიის მქონე დაწესებულებები, რომლებსაც ამდენი რამ თავს არ გადახდენიათ...**

ძალიან რთული იყო ბაბუაჩემის გარდაცვალებასთან შეგუება, გადატანა ამ ტკივილის, მაგრამ არ გავტყდით და, როგორც ხედავთ, ახალ ადგილზეც ვართ წარმოდგენილები.

**— ახალგაზრდების გამოსვლა, წინა პლანზე ხომ არ დააკნინებს, დაამცრობს და დავიწყებას მისცემს ძველებს — დამაარსებლებსა და საფუძვლის ჩამყრელთ? საამისო მაგალითები ჩვენს უახლეს ისტორიას ახსოვს. ავად მოსაგონარია ხანდაზმულებისთვის.**

— თუკი ეს მოხდება, დაინგრევა ის საძირკველი, რომელზეც ვდგავართ, და ჩვენი ხსენებაც აღარ იქნება. ჩვენთან სამუშაოდ ყოველწლიურად ბევრი ადამიანი მოდის. მათი ნაწილი წლების განმავლობაში ავტომატურად გვტოვებს. თუ ახალგაზრდა ექიმი ფეხს ვერ აგვიწყობს, ის საკუთარი ნებით თავს გვანებებს. თუ ვერ ძლებენ, არ შეუძლიათ, არ არიან იმ სტანდარტების, როგორებიც დანარჩენები ვართ, თვითონ მიდიან ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე, უკონფლიქტოდ.

სულ რამდენიმე კვირაა საჭირო, რომ მიხვდე, რა მოგეთხოვება, როგორ სტანდარტზე ვმუშაობთ. არაკომფორტულად რომ იგრძნობ თავს, შენით წახვალ, დაუძალებლად.

**რა თქმა უნდა, გავდივართ რამდენიმე ეტაპს, სანამ ვინმეს სამსახურში მივიღებთ. ექიმები ქუჩიდან არ მოგვყავს. ისინი, ვინც ვერ უძლებს და მიდის, ცუდი ადამიანები არ არიან, შეიძლება კარგ სპეციალისტებადაც ჩავთვალოთ, მაგრამ არის კიდევ რაღაც, რასაც სიტყვებით ვერ აგიხსნით, რის გამოც ჩვენი ურთიერთობა ვერ შედგება, ვერ გამოვნახავთ საერთო ენას.**

ბაბუაჩემს ახალგაზრდების არასოდეს ეშინოდა, უფრო პირიქით იყო. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ჭკვიან ახალგაზრდებს აქვთ ფენომენალური შესაძლებლობა, გაეცნონ სპეციალურ ლიტერატურას, კონსულტაციები მიიღონ უფროსი კოლეგებისგან. ძველი და ახალი თაობის ადამიანების ერთად მუშაობის სამაგალითო და ბუნებრივი სიმბიოზი გვაქვს, რომელიც, როგორც წესი, შესანიშნავი შედეგების მომცემია.

**— პროფესიული საქმიანობის ამ სტილის ახალ კლინიკაში დანერგვისთვის თუ მუშაობდით წინასწარ?**

— ეს ყველაფერი ჩვენს ტრადიციულ კლინიკაში უკვე დანერგილი და გამოცდილი გვაქვს და ყოველდღიურად ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ. ამას თანამედროვეობაში ოპერატიული მენეჯმენტი ჰქვია და გამოიხატება, უწინარეს ყოვლისა, პაციენტისთვის კომფორტული გარემოს შექმნაში, რომელსაც იგი, როგორც უკვე გითხარით, კლინიკაში ფეხის შემოდგმისთანავე იგრძნობს. ისეთი ცოცხალი პროცესია, რომელიც არასოდეს მთავრდება.

**ჩვენ დეტალებსაც ვაქცევთ ყურადღებას. წინასწარ გვაქვს დაგეგმილი, რომელი ექიმი რომელ სართულზე, რომელ კაბინეტში იმუშავებს. ისე არ უნდა მოხდეს, რომ რადიოლოგი, რომელსაც სიბნელე სჭირდება, აღმოჩნდეს მეათე სართულზე, სადაც მზის შუქი ჭარბად შემოდის. ან, მაგალითად, დერმატოლოგს, რომელსაც კანის დაავადებების ნიუანსებში კარგად გასარკვევად მაინცდამაინც მზის სხივების სიუხვე ხელს უწყობს, სარდაფის დონეზე არ მოვუწყოთ სამუშაო ადგილი.**

**— ერთი, არცთუ ჩვეულებრივი შეკითხვით უნდა მოგმართოთ: გაქვთ თუ არა იმ დაავადების დამარცხების ჟინი, რომელმაც ფრიდონ თოდუას სიცოცხლე შეიწირა?**

— გარდაცვალება ჩემთვის არის ფაქტი, ბუნებრივი მოვლენა. **არ მიმაჩნია, რომ ბაბუაჩემი ამ დაავადებასთან ბრძოლაში დამარცხდა. აგიხსნით, რატომ: როცა ადამიანი ებრძვის დაავადებას, რომელიც დაუმარცხებელია, ბაბუაჩემმა კი სხვაზე უკეთ იცოდა, როგორი იყო იმ სენის ბუნება, ბოლო წუთამდე არ ყრიდა ფარხმალს, მენტალურად, იდეურად და ადამიანურად იყო გამარჯვებული. ბაბუაჩემის გარდაცვალებას ამ ფორმულით რომ ვაფასებ, არ მივიჩნევ, რომ იგი ვინმესთან ან რამესთან დამარცხდა.** დამარცხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ შეებრძოლებოდა, არ იომებდა გასამარჯვებლად. არასოდეს არ უნდა დავკარგოთ ღირსება, თვითშეგნება. მიმაჩნია, რომ ბაბუაჩემი ფრიდონი „ვეფხისტყაოსნის“ გმირების დონეზე ებრძოდა დაუნდობელ უბედურებას ბოლო დღემდე. და ეს იყო ყველაზე დიდი გამარჯვება, რომელიც სამაგალითოდ შეიძლებოდა დაეტოვებინა ჩემთვის.

რაც შეეხება ბრძოლის ჟინს.

რა თქმა უნდა, **როცა საკუთარ თავსა და ოჯახზე იგრძნობ ამ რთული ბრძოლის სიმძიმეს (მე ორჯერ მაქვს ეს გამოცდილი, რადგან ბებიაც და ბაბუაც ონკოლოგიით გარდაიცვალნენ) უკვე სულ სხვა თვალით უყურებ ყველა პაციენტს, სულ სხვანაირად გესმის მათი. რასაკვირველია, მინდა, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ იმ მოურჩენელი დაავადების წამალი არსებობდეს და ყველას შეგვეძლება ვიცხოვროთ ისე ხალისიანად, როგორც დაგვიმსახურებია, რისი ღირსნიც ვართ.**

ონკოლოგიურ დაავადებასთან მებრძოლი ყველა ადამიანი ჩემთვის არის გმირი — ისინიც და მათი ოჯახების წევრებიც. იმიტომ, რომ რთულია, ასეთ ვითარებაში შეინარჩუნო ღირსება და სულიერი სიმხნევე.

**— გისმენთ და ვგრძნობ, როგორ გიმძიმთ ამ თემაზე საუბარი...**

— არ მიჭირს, დამიჯერეთ. მე იმდენად დიდი სიყვარული მქონდა ბაბუაჩემის, იმდენად უპირობო, რომ მჯერა, სადაც გინდა იყოს, იქნება აუცილებლად კარგად. ძალიან მენატრება, ძალიანაც მიჭირს უმისობა, არ მაქვს შესაძლებლობა, რჩევა ვკითხო გაუგებარ საკითხებზე, შთაგონება მივიღო მისგან, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რომ ეს ადამიანი მყავდა. როცა ვაანალიზებ, როგორი ცხოვრება გაიარა მან, რა შეძლო და თავად რა ბედნიერი ადამიანი იყო, არ მეცოდება. სხვა გრძნობები მიჩნდება — ამაღლებული, ღვთიურ განზომილებაში გადასული, ამიტომ არ მიჭირს ბაბუაჩემზე ლაპარაკი. მჯერა მისი.


კლინიკის განახლებული შენობა

**— ბოლოსკენ მივდივართ. ახალ გარემოებაში მოღვაწეობისას ექიმებს ახალი მოთხოვნები წარედგინება. გავლენა ხომ არ ექნება ამ დამატებით დატვირთვას ექიმების ხელფასზე?**

— ექიმის ხელფასი ჩვენთან და ყველგანაც დამოკიდებულია იმაზე, რამდენსაც იმსახურებს. რაც უფრო მდიდრდება ექიმის ცოდნა, გამოცდილება, მით უფრო იზრდება მის მიმართ ნდობა, მატულობს მომართვიანობა და, შესაბამისად, მისი ანაზღაურებაც იზრდება.

**— პაციენტს უფრო ძვირი უჯდება მკურნალობა?**

— არა. პაციენტების რაოდენობა იზრდება. ე.ი., ძალაში შედის გამომუშავების პრინციპი.

**— დასასრულ, თქვენი მომავალი მეზობლები, ამ უბნის მცხოვრებნი, გაკვირვებას არ მალავენ: კლინიკის ამუშავებისთანავე ავტოტრანსპორტის პარკირების საჭიროება ათჯერ და მეტად გაიზრდება. ეს პრობლემა არ გაწუხებთ?**

— ჩვენი კლინიკა, ძირითადად, მოემსახურება უახლოეს უბნებში მცხოვრებ მოქალაქეებს. სისხლის ანალიზისთვის აქ გლდანიდან არავინ მოვა. მაშასადამე, უმეტესობა ქვეითად მობრძანდება, ფეხით. გვაქვს გაფორმებული ხელშეკრულებები ახლომახლო არსებული საპარკინგო სივრცეების მფლობელებთან. რეალურად სამი ასეთი სივრცე არსებობს. ამგვარი მომსახურების დეტალებს პაციენტებს გავაცნობთ წინასწარი ჩაწერისას. ასე რომ, პრობლემა არ შეგვექმნება. გათვლა მიმდებარე უბნებზე გვაქვს გაკეთებული.



ასეთი იქნება ახალი კლინიკის ინტერიერი


ნინო ჯღამაძე

## ბოლოთქმის ნაცვლად:

**უკვე ვთქვი, რომ ამ ინტერვიუს ესწრებოდა ქალბატონი ნინო ჯღამაძე, თოდუას კლინიკის აღმასრულებელი დირექტორი. ვეკითხები: როგორ მიიღო თქვენმა ექიმთა საზოგადოებამ ის სიახლეები, რომლებზეც ბატონი გიორგი საუბრობდა?**

— ძალიან დადებითად და დიდი ენთუზიაზმით. ყველა მოუთმენლად და იმედიანად ელოდება ჩვენი ამ ახალი ფილიალის გახსნას. ერთი სიტყვაც მინდა დავუმატო იმის შესახებ, რომ აბსოლუტურად გაკვირვებული და გაოცებული ვართ ამ ახალგაზრდა ადამიანით. თქვენც რომ იზიარებდით ჩვენს სიხარულს, აშკარად გეტყობოდათ ინტერვიუს ჩამორთმევისას.

**— დასტურ, ასეა.**

— ბედნიერები ვართ, რომ ბატონმა ფრიდონმა ასეთი შვილიშვილი გაზარდა და ხალხისთვის სამადლო საქმიანობის კეთილშობილურ გზაზე დააყენა. გიორგი, უწინარეს ყოვლისა, არის ჩვენი მეგობარი, ჩვენი უფროსი და ხელმძღვანელი, რომლის იმედიც გვაქვს ყველას, ყველა თაობის ექიმებს. ჩვენ არანაირად კონკურენციას არ გავუწევთ ერთმანეთს, პირიქით — შევავსებთ და გავაძლიერებთ კოლეგებს. ეჭვი არ გვეპარება, დარწმუნებულები ვართ, რომ თოდუას კლინიკა გიორგის ხელში კიდევ უფრო სახელმოხვეჭილი სამედიცინო ცენტრი გახდება.

ბატონმა ფრიდონმა ძალიან ბევრი ჩადო გიორგიში და მანაც სრულად გაუმართლა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამ ფილიალში იქნება ამჟამად ჩვენი თანამშრომელი, ქალბატონი **მედეა ანთელავა**, რომელიც ჩვენს ინსტიტუტში ბატონ ფრიდონის პრინციპებზეა გაზრდილი, რომელმაც ყველაფერი იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს ამ დაწესებულების ფეხზე დასაყენებლად.

— ყველანი, ვინც აქ გამწესდება, ამჟამად ჩვენთან მუშაობს, — ბატონ გიორგის რეპლიკაა.

— გიორგიმ ისიც მოიფიქრა, რომ მხოლოდ ექიმები კი არა, უმცროსი და საშუალო მედპერსონალი, რომელმაც აქ უნდა იმუშაოს, ჩვენთან დაეუფლებოდა პროფესიას და მიეღო შესაფერი გამოცდილება. ჩვენი ფილიალი როცა ამოქმედდება, უკეთ გამოჩნდება, როგორი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გაკეთდა მისი დაარსებით.

* * *

ჰოდა (ისევ „ჰოდა“ მოსაბეზრებელი, როგორც სიტყვადაწრეტილობის საფირმო ნიშანი „დიახ!“) ამ ინტერვიუს გიორგი ლეონიძის ციტირებული ლექსის მეორე სტროფით დავამთავრებ:

**„მე მშობლიური ღამე ვიცანი,**
**ვისმენ ბინდების მკვნესარე ზუზუნს,**
**ცაა ფირუზის თლილი ფიცარი,**
**დნება ვარსკვლავი — თამარის ძუძუ“.**

სულ ესაა. და „ავენობის პირს მაინც ნურავინ გახსნით“. ეს შეგონება „ქილილა და დამანადან“ არის.

**არმაზ სანებლიძე**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„უთანხმობაა მიზეზი
საერთო უძლურებისა,
და უძლურება — ნაყოფი
პირუტყვულ უმეცრებისა“.

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# ნაცებო, ქვეყანაში «პოლიტიკური ცეცხლის დანთებით» ეკონომიკა ვერ აყვავდება!

**რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს ეკონომიკა, ამაზე ბევრს საუბრობენ; ბევრს კამათობენ, რომელია გზა ხსნისა, ქვეყნის ეკონომიკურად გასაძლიერებლად რა საშუალებებია ეფექტური.**

**მაგრამ ჩვენი საქმე ისეა, როგორც ივანე კრილოვის იგავ-არაკში — გედმა, კიბომ და კალმახმა პირი რომ შეკრეს, ერთი ტვირთი სამივეს ზიარად გადაეტანა. გულმოდგინედ გაებნენ ისინი ერთად მარხილში, სწევდნენ, ექაჩებოდნენ, ოფლში ცურავდნენ, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრეს. მიზეზი?**

**„თურმე ნუ იტყვით... მიზეზი
იმათი გაჭირვებისა
უთანხმოება ყოფილა,
ნაყოფი უმეცრებისა.
ვერ ახერხებენ ვერც ერთი
ერთი მეორის შველასა!..
და მჩატე ტვირთი მიჰქონდათ
სხვადასხვა მხრისკენ ყველასა:
თევზს — წყალში, ფრინველს — ჰაერში,
კიბოს კი — უკან-უკანა,
და მათმა შრომამ მიტომაც
ნაყოფი ვერ მოიტანა.
უთანხმობაა მიზეზი
საერთო უძლურებისა,
და უძლურება — ნაყოფი
პირუტყვულ უმეცრებისა“.**

**ასეთ გენიალურ დასკვნას აკეთებს ცნობილი დიდი მეიგავე.**

**უთანხმოება რომაა საერთო უძლურების მიზეზი, ეს თვალნათლივ დაგვანახვა ჩვენი ხელისუფლების, ოპოზიციისა და მათი უცხოელი „მეგობრების“ „მოღვაწეობამ“ ჩვენი ქვეყნის „სასიკეთოდ“. და მანამ ვიწრიალებთ ამ მოჯადოებულ წრეში, სანამ ამ „პირუტყვულ უმეცრებას“ თავს არ დავაღწევთ.**

ახლა კი ჩვენს დიდ ილიას მოვუსმინოთ, რომელიც მიიჩნევდა, რომ მაშინდელი საქართველოს წარუმატებლობის ყველაზე დიდი მიზეზი ეკონომიკური პრინციპების დავიწყება იყო. მისი აზრით, **„მივიწყებულს ეკონომიკურს მხარეს ჩვენი ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის. რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა“**.

ილია ჭავჭავაძეს ხალხის სიღარიბიდან გამოსვლის მთავარ საწინდრად ეკონომიკური ცოდნა მიაჩნდა. მისი აზრით, ეკონომიკური მეცნიერების დაუფლება დაგვეხმარება თითოეული ადამიანის კეთილდღეობის მიღწევაშიო. **„ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს, სად რა სიმდიდრე უძევს და რა რიგის ხერხით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ“, — წერდა ერის მამა.**

ილია მთელი თავისი ცხოვრება რაციონალური გადაწყვეტილებებისკენ მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას და წერდა: **„მტერთაგან და უგზოობისგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებული იყო ის მოეყვანა, ის ემუშავნა თავის მიწაზე, რასაც დღეს იეფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდან მოვიტანთ. დღეს რა გვიშლის, მაგალითებრ, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებურ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იეფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი, რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფას საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდან პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით და არა დიდ მოგებაში?“** ილია, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო და საქართველოში წარმოებულ ქართულ პროდუქტს მთავრობა ადგილობრივ ბაზარზე უცხოეთიდან შემოტანილით ჩაანაცვლებდა. მაგალითად, როცა გვაქვს ჩვენი ციტრუსები, ყურძენი, ვაშლი და ა.შ., მთავრობამ, უპირველესად, ამ პროდუქტების რეალიზაციას უნდა შეუწყოს ხელი და შემოიტანოს ის პროდუქტები, რომლებსაც ჩვენ ცოტას ან საერთოდ ვერ ვაწარმოებთ.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, ილიას ჭავჭავაძის აზრით, ადამიანების შრომას ამსუბუქებს გაცვლის შესაძლებლობა, რაც მათ შექმნილი პროდუქტის რეალიზების და სხვა საჭირო ნივთის შეძენის საშუალებას აძლევს: **„გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიკური მოქმედება აღებ მიცემისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან“.** გარდა ამისა, რომ არ არსებობდეს გაცვლა, ადამიანები ვერც იმას გაიგებდნენ, რა ქონებას ქნიან შრომის შედეგად: **„დღეს ვერავინ იტყვის, რომ კაცს ბევრი პური და ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო უსათუოდ განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი“.**

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ ბაზარი განსაზღვრავს ამა თუ იმ პროდუქციის ფასს, რაც ეკონომიკურ ქმედებას მთავარ აზრს აძლევს: **„საცა მიქცევ მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის, იმ ადგილს ბაზარი ჰქვიან. საქონელთა ყიდვა-გაყიდვას, გაცვლას, მთლიანობაში, საქონელმიმოქცევა ეწოდება, რომელიც საქონლის ფასსს ხან ასწევს, ხან დასწევს“,** ხოლო რისკისა და ინიციატივის გარეშე, რასაც მეწარმეები ეწევიან, განვითარება შეუძლებელია. მისი აზრით, უკეთესია, საყოველთაო კეთილდღეობისთვის რესურსები იმ ადამიანის ხელთ იყოს, რომელსაც მისი სწორად გამოყენება შეუძლია: **„ეკონომიკური ბუნება ქონებისა ის არის — უძრავი ქონებაა თუ მოძრავი — რომ უხერხო და უმცდელ კაცისგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიკურ ბუნებისას წინ ვერაფერი დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა“.**





**უთანხმოება რომაა საერთო უძლურების მიზეზი, ეს თვალნათლივ დაგვანახვა ჩვენი ხელისუფლების, ოპოზიციისა და მათი უცხოელი «მეგობრების» «მოღვაწეობამ» ჩვენი ქვეყნის «სასიკეთოდ». და მანამ ვიწრიალებთ ამ მოჯადოებულ წრეში, სანამ ამ «პირუტყვულ უმეცრებას» თავს არ დავაღწევთ**



ილიას კარგად ესმოდა, რომ ნებისმიერი საქმიანობის მიზანი, მათ შორის სოფლის მეურნეობისაც, მოგება უნდა იყოს, რადგანაც ის უზრდის ადამიანებს მოტივაციას და შრომას სხვა ადამიანებისთვისაც სასარგებლოს ხდის. ამის მაგალითად მას წარმატებული ევროპული ქვეყნები მოჰყავდა. მისი თქმით, **„მიწის დამუშავება არა თავის გატანაზე უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ მშრომელს მაქსიმალური მოგება უნდა მისცეს და შრომის ხარჯები მაქსიმალურად უნდა შემცირდეს, ისე როგორც ეს ბელგიაში და ინგლისშია“.**

ცხადია, რომ ქვეყნის ეკონომიკური წარმატების გასაღები კონკურენცია და მრავალფეროვნებაა. ილიას მიაჩნია, რომ ცალკეული პირებისა და კომპანიების განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენება მთავრობის მიერ — პროტექციონიზმი, განწირულია წარუმატებლობისთვის: **„პროტექციონობის მიზანია, შინაურს საქონელს მოპირისპირე მოაცილოს ბაზარში და თვით სხვა ამ ცილობისგან განთავისუფლებულს მრეწველობას ფეხი აადგმევინოს... გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ასეთი პოლიტიკა ანდერძაგებულია და დაწუნებული“.**

ილიას აზრით, წარმატებული სახელმწიფო კარგი პირადი შემოსავლების მქონე ხალხის ქვეყანაა. მას მიაჩნია, რომ მაღალი გადასახადები, რომელთაც შეიძლება სხვადასხვა მიზეზით კრეფდნენ, ხელს უშლის თანამშრომლობის განვითარებას და ადამიანების წარმატებას. მისი თქმით, **„საქონლის გაცვლა ყოველი ბაჟისგან და გადასახადისგან თავისუფალი უნდა იყოს და რომელსამე კანონმდებლობისგან შეხუთული არ უნდა იქნას“.**

თითქმის ყველა ეკონომიკური კვლევა აჩვენებს, რომ კერძო საკუთრების უფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია ადამიანთა კეთილდღეობის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის სიტყვები კვლავ აქტუალურია: **„კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე. საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება“.**

ეკონომიკის განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანია დოვლათის შექმნა და არა ფულის რაოდენობის ხელოვნური გაზრდა (ინფლაციის ხელშეწყობა), რომელსაც არანაირი დადებითი შედეგი არ მოაქვს: **„თუ საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ რაც ქვეყანაში ფული ტრილებს, ერთი-ორად რომ იქცეს, საქონლის ფასებიც ერთიორად აიწევს მხოლოდ“.**

ილიას აზრით, ფინანსური წარმატება მოაქვს იმ პროდუქციის შექმნას, რომელზეც ბაზარზე მოთხოვნაა: **„საქონელი შრომით იქმნება და იგი შრომის ნაყოფის ის ნაწილია, რომელიც აღემატება პატრონის პირადი მოხმარებისთვის საჭირო რაოდენობას“.** ილიასვე სიტყვებით, **„ვერავინ იტყვის, რომ კაცს ბევრი პური და ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო უსათუოდ განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი“.**

და კიდევ: **„ქვეყნისთვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემშინაობის განურჩევლად“.**

ასე რომ, ნაცებო, ქვეყანაში „პოლიტიკური ცეცხლის დანთებით“ ეკონომიკა ვერ აყვავდება!

მთავარანგელოზნი უფლის ნებას გვაუწყებენ. გვიხსნიან სარწმუნოების საიდუმლოებებსა და წინასწარმეტყველებებს. ანგელოზნი ყველაზე ახლოს დგანან ადამიანებთან. ისინი ღვთის განგებულებას გვამცნობენ. არასოდეს გვტოვებენ და მუდამ მზად არიან, შეგვეწიონ.

სჯულიერება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა



უფლის ანგელოზთა დასის წინამძღოლი — მთავარანგელოზი მიქაელი

**მთავარანგელოზ მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა კრების აღნიშვნა გადაწყდა ლაოდიკიის ადგილობრივ კრებაზე, რომელიც IV საუკუნის დასაწყისში, ნიკეის I მსოფლიო კრებამდე რამდენიმე წლით ადრე გაიმართა. ლაოდიკიის კრებამ დაგმო და უარყო ანგელოზებისადმი ღვთაებრივი პატივის მიგება და დაამტკიცა მათი მართლმადიდებლური თაყვანისცემა.**

დღესასწაული აღინიშნება მარტიდან (საიდანაც ძველად წელიწადის ათვლას იწყებდნენ) მეცხრე თვეს — ნოემბერში (21 ნოემბერს), რაც ანგელოზთა ცხრა დასს შეესაბამება. თვის მერვე დღე მიგვანიშნებს ყოველთა უხორცოთა ზეცისა ძალთა შეკრებაზე „დღესა მერვესა“, როგორც წმიდა მამები უწოდებენ უფლის მეორედ მოსვლასა და საშინელ სამსჯავროს. წმიდა მამები სამყაროს არსებობის ხანას სიმბოლურად შესაქმის შვიდ დღეს უკავშირებენ, შვიდი ათასწლეულის შემდეგ *(„რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე“; ფს. 89, 4)* კი უნდა დადგეს „დღე მერვე“, *„რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაი დიდებითა თვისთა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა“ (მთ. 25, 31).*




ანგელოზთა კრებული

ანგელოზთა დასნი სამ იერარქიად განიყოფებიან. უმაღლეს იერარქიას შეადგენენ: **სერაბიმნი, ქერუბიმნი და საყდარნი**. ყოვლადწმიდა სამებასთან ყველაზე ახლოს დგანან სერაბიმნი (ანთებულნი, ცეცხლოვანნი). ისინი ადამიანებს ღვთაებრივი სიყვარულის ალით აღაგზნებენ.

სერაბიმთა შემდგომ უფალთან დგანან ქერუბიმნი, რომელთა სახელი ნიშნავს: სიბრძნის გარდამოსვლას, განათლებას.

ქერუბიმებს მოსდევენ საყდარნი, რომლებიც ღვთის მართლმსაჯულებას ემსახურებიან.

**ანგელოზთა საშუალო იერარქიას შეადგენენ: უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი.**

უფლებანი ანგელოზთა მომდევნო დასებზე მეუფებენ, ღვთისგან დადგენილ მიწიერ ხელისუფალთ ბრძნულ მართვა-განმგებლობაში შეეწევიან, გვეხმარებიან ცოდვილ გულისთქმათა დაოკებაში.

ძალნი ღვთის ნებით უფლის რჩეულებზე მორჩილებას, მოთმინებას, საკვირველთქმედების და განჭვრეტის მადლს გარდამოავლენენ.

ხელმწიფებანი ადამიანებს ეშმაკის საცდურთაგან განარიდებენ და ბოროტ გულისთქმებთან ბრძოლაში ეხმარებიან, განამტკიცებენ და იცავენ მოსაგრეებს.

**უმდაბლესი იერარქია მოიცავს სამ დასს: საწყისნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი.**

საწყისნი მთავარანგელოზებს აღძრავენ ღვთის ბრძანებათა შესრულებისათვის. საწყისებს დავალებული აქვთ სამყაროს განმგებლობა, ქვეყნების, ხალხებისა და ტომების დაცვა. ისინი ადამიანებს ასწავლიან, რომ ყველას თავისი ღირსების შესაფერი პატივი მიაგონ;

**მთავარანგელოზნი უფლის ნებას გვაუწყებენ. გვიხსნიან სარწმუნოების საიდუმლოებებსა და წინასწარმეტყველებებს.**

ანგელოზნი ყველაზე ახლოს დგანან ადამიანებთან. ისინი ღვთის განგებულებას გვამცნობენ. არასოდეს გვტოვებენ და მუდამ მზად არიან, შეგვეწიონ.

**ანგელოზთა დასის მთავრად დადგენილია მთავარანგელოზი მიქაელი (მისი სახელი ებრაულად ნიშნავს: „რომელი ვითარცა ღმერთი“) — ღვთის ერთგული მსახური, რომელმაც გაიმარჯვა სატანის ძალებზე.**

მთავარანგელოზ მიქაელს — მძლეველს ყველა მტრული ძალისა — ხატებზე ჯავშნით, ანუ ღვთიური მადლით შემოსილს ხატავენ. იგი ფეხებით დემონს თრგუნავს, მარცხენა ხელში ზეთისხილის მწვანე რტო ან სამკუთხედი ფარი უჭირავს. მარჯვენაში უპყრია შუბი თეთრი ალმით (ზოგჯერ — ცეცხლოვანი მახვილი), რომელზეც მეწამული ჯვარია გამოსახული. ზოგიერთ ხატზე ზეციურ ძალთა მხედართმთავარი მახვილით გმირავს დედამიწაზე შემოხვეულ გველს.

**მიქაელ მთავარანგელოზისადმი ლოცულობენ დემონურ ცთუნებათა დროს.**

საღვთო წერილიდან და წმიდა გადმოცემიდან ცნობილია სხვა მთავარანგელოზებიც, რომელთაც სხვადასხვა კურთხევა აქვთ მიცემული ღვთისაგან: **გაბრიელი — სიმტკიცე (ძალი) ღვთისა — ღვთის საიდუმლოს კეთილი მაცნე, უფლის ყოვლადძლიერების მახარებელი და მსახურია**. ხატებზე გაბრიელ მთავარანგელოზს გამოსახავენ სამოთხის რტოთი, რომელიც ყოვლადწმიდა ქალწულს მიართვა, ხშირად მას ცეცხლოვანი ლამპარი უჭირავს ხელში.

**რაფაელი — ღვთიური მკურნალი, სნეულებათაგან ადამიანთა დამხსნელია;** ხატებზე რაფაელს მარჯვენა ხელში უჭირავს ჭურჭელი მაკურნებელი წამლით, მარცხენათი კი მოჰყავს მართალი ტობიას ვაჟი — ჭაბუკი ტობია, რომელსაც თევზი მოაქვს.

**მთავარანგელოზ რაფაელს მიმართავენ სნეულებათა დროს, მგზავრობის წინ, შორეულ უცხო ქვეყანაში ყოფნისას, მწუხარების, უიმედობისა და სასოწარკვეთილების დროს.**

**ურიელი — ღვთაებრივი ცეცხლი და ნათელი, განმანათლებელი ბერმონაზონთა და ღვთისმეტყველთა მფარველად ითვლება. იგი გვინათლებს გონებას, რათა შევძლოთ ღვთიურ საიდუმლოთა და წმიდა წერილის შეცნობა; მთავარანგელოზი ურიელი მონანულთა მფარველიცაა**. საეკლესიო გადმოცემით, იგი ადამთან და ევასთან ერთად ლოცულობდა მათი სამოთხიდან განდევნის შემდეგ და უფლის საკურთხეველზე მიჰქონდა მათი სინანულის ცრემლი; ხატებზე მას გამოსახავენ ცეცხლოვანი ან გაშიშვლებული მახვილით.

**სელაფიელი მლოცველს ნიშნავს. იგი ადამიანებს უხილავად შეეწევა ლოცვისას. გარდა ამისა, არის მკურნალი ამაკანკალებელ ავადმყოფობათა (მალარია, ეპილეფსია.).** ხატებზე სელაფიელი ლოცვით მდგომარეობაში გამოიხატება: თვალებდახრილი და მკერდზე ხელებდაწყობილი; ზოგჯერ მას ხელში ანთებული სანთელი და საკმეველი უჭირავს.

**ეგუდიელი ღვთის დიდებას ნიშნავს. ის ადიდებს უფალს, განამტკიცებს და შუამდგომლობს მოღვაწეებს. გარდა ამისა, ის ითვლება მოგზაურთა მფარველად და გაჭირვებულთა შემწედ.** ხატებზე ეგუდიელს მარჯვენა ხელში ოქროს გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში კი — შოლტი სამი წითელი (ან შავი) ტოტით. შოლტი იმის მიმანიშნებელია, რომ ზარმაცთ და უდებთ ამ ცხოვრებაში ბევრი მწუხარება და სასჯელი დაატყდებათ თავს, სანამ გონს მოეგებიან, ხოლო გვირგვინი გულმოდგინეთათვის არის განკუთვნილი.

**ვარახიელი კურთხევის ანგელოზს ნიშნავს. ადამიანებისთვის ღვთიური მოწყალების გამომთხოვველია. ძირითადად ვარახიელი მოწამეთა, აღმსარებელთა და მოსაგრეთა მფარველად ითვლება.** ხატწერაში მთავარანგელოზ ვარახიელის სამოსელზე ვარდისფერ ყვავილთა სიმრავლე გამოისახება, რომელიც სულიწმიდის ნიჭთა სიმბოლოა.

წმიდა წერილში იხსენიება **იერომიელი, რაც ნიშნავს ღვთისკენ ამაღლებას. იგი საღვთო სიყვარულის აღმძვრელია და ვნებათა და ცოდვათა დაძლევაში შეგვეწევა.**

მთავარანგელოზი იერომიელი ხატებზე გამოისახება სასწორით ხელში.

**მომზადდა წიგნიდან „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი IV, თბილისი, 2003 წ.**

# ქრისტეს საფლავის საპატიო მცველები — იოანე, სტეფანე და ესაია ქართველები



ქრისტეს საფლავის საპატიო მცველები

**წმიდანთა დასში მართლად იწოდებიან ის ქრისტიანები, რომელთაც მთელი ამქვეყნიური ცხოვრება ღვთის დიდებასა და ერის სამსახურში გალიეს. მათი ცხოვრება თავის თავში იტევს ღირსი და ღმერთ-შემოსილი მამების, აღმსარებლებისა და მოწამეების ღვაწლს.**

**საქართველოს ეკლესიაში გაბრწყინებულ წმიდანთა შორის სულ ოთხი წმიდანია მართლის წოდებითა და ღვაწლით კანონიზირებული. მათ შორის — ყველასათვის კარგად ცნობილი, ერის მამად და უგვირგვინო მეფედ წოდებული ილია ჭავჭავაძე და დრო-ჟამისა და ჩვენი უდებების გამო დავიწყებული წმიდანები: იოანე, სტეფანე და ესაია ქართველნი.**

წმიდა იოანე, სტეფანე და ესაია ქართველების შესახებ ცნობები მხოლოდ საეკლესიო კალენდარმა შემოგვინახა. მათ ხსენებას საქართველოს სამოციქულო ეკლესია, უკვე რამდენიმე საუკუნეა, აღასრულებს. მათი ხსენების დღეა 17 ნოემბერი (ახალი სტილით).

როგორც მეცნიერები და მკვლევარები ვარაუდობენ, ეს წმინდანები იერუსლიმში მოღვაწეობდნენ და იყვნენ **ქრისტეს საფლავის საპატიო მცველები**.

**„ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე ცნობილი მეჩეთი, რომელიც მუსამ ააშენა, არის ჯინგერებერის მეჩეთი მალის ქალაქ ტომბუქტუში (1327 წ.). ექსპერტთა აზრით, მუსას ქონება დღეს 400 მლრდ დოლარად იქნებოდა შეფასებული. ერთადერთი ადამიანი, რომელიც სიმდიდრით მიუახლოვდებოდა მუსას, იქნებოდა ჯონ როკფელერი, რომლის ქონებაც 336 მლრდ დოლარადაა შეფასებული.**

# 5 საინტერესო ისტორია, რომლებიც გულგრილს არავის დატოვებს

**ისტორიის შესწავლისას შეიძლება წააწყდეთ საინტერესო ამბებს, რომლებიც წარსულის მოვლენებს ხდის ფარდას. გაეცანით „ტიტანიკისა“ და კიდევ ორი გემის კატასტროფას გადარჩენილი ქალის, ადამიანთა ზოოპარკისა და სხვა საინტერესო ისტორიებს, რომლებიდანაც ჩანს, რომ წარსული გაცილებით შემაშფოთებელი და დაუჯერებელი იყო, ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ.**



## ქალი, რომელიც «ტიტანიკისა» და კიდევ ორი გემის კატასტროფას გადაურჩა

**ვაიოლეტ ჯესოპი** შეიძლება მივიჩნიოთ ან ყველაზე იღბლიან, ან ყველაზე უიღბლო ქალად ისტორიაში. ასეა თუ ისე, მისი ცხოვრება მართლაც საინტერესო იყო. ჯესოპი სტიუარდესად მუშაობდა საოკეანო ლაინერებზე. მან კარიერა 1908 წელს დაიწყო (იმხანად 21 წლის გახლდათ) კომპანია „უაიტ სტარ ლაინთან“ თანამშრომლობით.

1910 წელს საკრუიზო ლაინერ „ოლიმპიკის“ ბორტზე იმყოფებოდა, როცა ეს გემი ბრიტანულ სამხედრო ხომალდ „ჰოუკს“ შეეჯახა ვიწრო სრუტეში. საბედნიეროდ, ლაინერი კატასტროფულად არ დაზიანებულა და არავინ დაღუპულა. სანამ „ოლიმპიკს“ არემონტებდნენ, ჯესოპმა „ტიტანიკზე“ დაიწყო მუშაობა. ის ბორტზე იმყოფებოდა, როცა ხომალდი აისბერგს შეეჯახა და ჩაძირვა დაიწყო. ქალმა შეძლო თავისუფალი ადგილის პოვნა სამაშველო ნავში და ამის წყალობით გადარჩა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯესოპი, რომელიც იმხანად „წითელ ჯვარში“ მუშაობდა, გაგზავნეს გემ „ბრიტანიკზე“ რომელიც ჰოსპიტლად იყო გადაკეთებული. „ბრიტანიკს“ დაჭრილი ჯარისკაცები გადაჰყავდა, როცა ეგეოსის ზღვაში გერმანელების მიერ დატოვებულ ნაღმზე აფეთქდა და ჩაძირვა დაიწყო. როცა ჯესოპი და სხვა მგზავრები სამაშველო ნავში ჩასხდნენ, ისინი კინაღამ შეიწირა გემის ხრახნის ე.წ. ფრთებმა. ამის შემდეგ ვაიოლეტ ჯესოპს „მის ჩაუძირავი“ უწოდეს.

## მეძავი, რომელიც მეკობრეების დედოფლად იქცა

**ჩინ სი** 1775 წელს დაიბადა. ის გუანდუნის პროვინციაში ცხოვრობდა — ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში და პროსტიტუციით იყო დაკავებული მცურავ ბორდელში. 1801 წელს ცნობილი **ჩჟენ ი,** მეკობრეთა ფლოტის, „წითელი დროშის“ კაპიტანი, თავს დაესხა ბორდელს. ჩჟენ ი ძალიან მოიხიბლა ჩინ სის სილამაზით და შესთავაზა, ცოლად გაჰყოლოდა. სი დაეთანხმა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩჟენ ი მას დაჰპირდა, რომ უზრუნველყოფდა თანაბარუფლებიან პარტნიორობას ფლოტის მართვაში და შუაზე გაუყოფდა ნადავლს. 6 წლის შემდეგ ჩჟენი დაიღუპა და ჩინ სის მემკვიდრეობით ერგო 400 ხომალდისგან შემდგარი ფლოტი. ქალმა განაგრძო ჩინეთის სამხრეთის სანაპიროზე მდებარე ქალაქების ძარცვა. მეკობრეთა ფლოტმა სის ხელმძღვანელობით 63 სახელმწიფოს 63 გემი ჩაუძირა. სამი წლის შემდეგ, რაც სი „წითელი ფლოტის“ მეთაური გახდა, ჩინეთის იმპერატორმა, რომელმაც ვერ დაინახა სხვა ალტერნატივა, ამნისტია შესთავაზა ყველას, ვინც თავს დაანებებდა მეკობრეობას და ხმელეთზე დაბრუნდებოდა.





## სავარაუდოდ, ყველაზე მდიდარი ადამიანი კაცობრიობის ისტორიაში

**მანსა მუსა I,** შესაძლოა, ყველაზე მდიდარი ადამიანია, რომელიც ოდესმე ცხოვრობდა დედამიწაზე. მანსა მუსა I-ს იშვიათად ახსენებენ, ძირითადად, იმიტომ, რომ ის წარმოშობით აფრიკიდან იყო და ამ კონტინენტის კვლევას ცოტა დრო ეთმობოდა.

მანსა მუსა I მალის იმპერატორი 1312 წელს გახდა. ოქროსა და მარილის (რომელიც ბევრი იყო დასავლეთ აფრიკაში) ვაჭრობით მუსამ კოლოსალური სიმდიდრე დააგროვა. მსოფლიომ მუსას ზღაპრული სიმდიდრის შესახებ შეიტყო მას შემდეგ, როცა ის მექაში მომლოცველად ჩავიდა. მისი ამალა შედგებოდა 60 ათასი კაცისგან, ქარავანი კი — ათასობით ცხოველისგან. მუსას მხლებლებს მიჰქონდათ უამრავი ოქრო, რომელსაც ქუჩაში შემხვედრ ადამიანებს ურიგედნენ. მათ იმდენი საქონელი შეიძინეს, რომ მსოფლიოს ეკონომიკა შეარყიეს, რადგან მიმოქცევაში უამრავი ოქრო მოხვდა.

მუსა ოქროს მეჩეთების მშენებლობაზე ხარჯავდა. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, თავისი მმართველობის პერიოდში ყოველ პარასკევს ერთ მეჩეთს აშენებდა. ყველაზე ცნობილი მეჩეთი, რომელიც მუსამ ააშენა, არის ჯინგერებერის მეჩეთი მალის ქალაქ ტომბუქტუში (1327 წ.). ექსპერტთა აზრით, მუსას ქონება დღეს 400 მლრდ დოლარად იქნებოდა შეფასებული. ერთადერთი ადამიანი, რომელიც სიმდიდრით მიუახლოვდებოდა მუსას, იქნებოდა **ჯონ როკფელერი,** რომლის ქონებაც 336 მლრდ დოლარადაა შეფასებული.



## მოჰავეს ტომის მიერ აღზრდილი მორმონი გოგონა



ოლივიე ოტმანი 1837 წელს დაიბადა. ის თავის დებსა და ძმებთან ერთად იზრდებოდა იესო ქრისტეს უკანასკნელი დღის წმინდანთა ეკლესიის მოძღვრების მიმდევართა შორის.

1850 წელს, როცა ოლივიე 13 წლის იყო, მისი მშობლები შეუერთდნენ მორმონებს, რომლებიც მატარებლით მოგზაურობდნენ კალიფორნიაში. მოგზაურობისას ოტმანებს თავს დაესხნენ იავაპაის ტომის წარმომადგენლები და ოლივიას მშობლები მოკლეს. თვითონ ოლივია კი ტყვედ წაიყვანეს. იავაპაის წარმომადგენლებს გოგონა მონად ჰყავდათ, ის იძულებული იყო, ხეები ეთრია და საკვებისთვის ემუშავა, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში სცემდნენ. ერთი წლის შემდეგ ოლივია ცხენში გაცვალეს და ის მოჰავეს ტომში აღმოჩნდა. ეს ტომი ეკონომიკურად უფრო განვითარებული იყო, ვიდრე იავაპაი და ოლივიასთვის საბედნიეროდ მისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა. ოლივიას მიწის ნაკვეთი გამოუყვეს დასამუშავებლად და მოჰავეს ტანსაცმელიც კი მისცეს. ამას გარდა, გოგონას ტატუებიც გაუკეთეს ნიკაპსა და ხელებზე. როცა ოლივიას 19 წელი შეუსრულდა, ფორტ-იუმიდან მოჰავეს სოფელში ჩავიდა პირი, რომელმაც განაცხადა, რომ თეთრი ადამიანები გოგონას დაბრუნებას ითხოვდნენ. იმის შიშით, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში თეთრკანიანები გაანადგურებდნენ მოჰავეს ტომს, მისმა წარმომადგენლებმა ოლივია ფონრტ-იუმაში ჩაიყვანეს, სადაც ნორმალური ტანსაცმელი მისცეს. ევროპულ საზოგადოებაში ოლივიას რეინტეგრაცია რამდენიმე წელს გაგრძელდა. მოგვიანებით ის სიყვარულით იხსენებდა მოჰავეს ტომის წარმომადგენლებთან გატარებულ პერიოდს.

## ადამიანების ზოოპარკის ექსპონატი



**ოტა ბენგა** პიგმეების ტომის, მბუტის, წარმომადგენელი იყო. ის კონგოს ტყის მასივ იტურიში დაიბადა 1883 წელს. ბენგა დაქორწინდა და 2 შვილს ზრდიდა, მაგრამ მისი ოცნება, ნორმალურად ეცხოვრა, დაინგრა, როცა 1890-იან წლებში ბელგიელი კოლონიზატორები მიადგნენ სოფელს, რომელშიც ის ცხოვრობდა, და მოკლეს მისი ცოლი და შვილები, სანამ ოტა ბენგა ნადირობდა. მალე ბენგა ტყვედ ჩავარდა და მონების მოვაჭრეებმა ფერმაში სამუშაოდ წაიყვანეს. 1904 წელს სწორედ ამ ფერმაში შენიშნა ამერიკელმა ბიზნესმენმა სემუელ ვერნერმა, რომელიც ევოლუციის შესახებ რასისტულ თვალსაზრისს იზიარებდა. მან გადაწყვიტა, რომ ბენგა, რომელიც იყო შავკანიანი და ჰქონდა მუქი ფერის კანი და ბასრი კბილები, წარმოადგენდა „დანაკლის რგოლს“ ადამიანებსა და ჩვენს ევოლუციურ წინაპრებს შორის. ვერნერმა ბენგა ერთ ტომარა მარილსა და რამდენიმე მეტრ ქსოვილში გაცვალა და გაგზავნა სენტ-ლუისში, სადაც პიგმეი საერთაშორისო გამოფენის ჰიტად იქცა. გამოფენის შემდეგ ბენგა აფრიკაში დაბრუნდა და იქორწინა, მაგრამ ცოლი გარდაეცვალა და კვლავ აშშ-ში გაემგზავრა, სადაც ის მაიმუნებთან ერთად მოათავსეს ბრონქსის ზოოპარკის ვოლიერში ნიუ-იორკის ანთროპოლოგიური საზოგადოების მიერ მოწყობილი გამოფენის ჩარჩოებში. ადგილობრივი სასულიერო პირების შავკანიანმა წარმომადგენლებმა მოითხოვეს, სასწრაფოდ გაეთავისუფლებინათ ბენგა. მათ თანხმობა მიიღეს გუბერნატორისგან და ზოოპარკი იძულებული შეიქნა, გამოფენა დაეხურა. პიგმეი გაგზავნეს ვირჯინიაში, სადაც თამბაქოს ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. 1916 წლის 20 მარტს ბენგამ, რომელსაც გადაეწურა სამშობლოში დაბრუნების იმედი, გულში ტყვია დაიხალა და ამით დაასრულა ერთ-ერთი სულისშემძვრელი ისტორია კაცობრიობის ისტორიაში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ნილს ბორის საფეხბურთო ისტორია სწრაფად დასრულდა — ფიზიკა აირჩია. თუმცა თავის უმცროს ძმა ჰარალდთან ერთად კლუბ „აკადემიკ ბკ“-ში მოასწრო თამაში. ჰარალდ ბორიც, რომელიც 1887 წლის 17 აპრილს დაიბადა, მეცნიერი იყო — მათემატიკოსი. ძმებს აახლოვებდათ არა მხოლოდ მეცნიერებებისადმი ინტერესი, არამედ ფეხბურთისადმი დიდი სიყვარულიც.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ძმები ბორები — გენიოსი მეცნიერები, რომლებიც აღმერთებდნენ ფეხბურთს

**2005 წლის შემოდგომაზე მილიონობით ადამიანი პირდაპირ ეთერში უყურებდა პროგრამას „ვის უნდა გახდეს მილიონერი“ გერმანულ ვერსიას. ჟურნალისტ მატიას პოლს ერთი კითხვის გამოცნობა აშორებდა 500 ათასი ევროს მოგებას. წამყვანმა გიუნტერ იაუხმა ჰკითხა: „ნობელის პრემიის ლაურეატებიდან ვინ ითამაშა რამდენიმე მატჩი თავისი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებში? ვარიანტები: გუსტავ ჰერცი, პიერ კიური, ანრი ბეკერელი და ნილს ბორი.“**
**მატიას პოლი შეცდა და... შინ 125 ათასი ევროთი წავიდა. მწვანე აინთო ნილს ბორის სახელზე. მაყურებლებმა სინანულით ამოიოხრეს. წაგებული კი სკამის საზურგეს მიეყრდნო. და მას ჰქონდა იმედგაცრუების მიზეზი, იმიტომ, რომ ნილს ბორს დანიის ნაკრებში არასოდეს უთამაშია.**

**ნილს ბორი** 1885 წლის 7 ოქტომბერს დაიბადა ფიზიოლოგიის პროფესორ **კრისტიან ბორის** (ის ორჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე) ოჯახში. ნილსი 20 წლის იყო, როცა მიიღო დანიის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი ჭავლის ზემოქმედებით წყლის ზედაპირის დაჭიმვის გასაზომად შესრულებული სამუშაოს გამო, თუმცა მისი მთავარი მიღწევა ატომის აგებულების გამოსაკვლევად ჩატარებული სამუშაოებია. ფიზიკოსმა **ერნესტ რეზერფორდმა,** რომელსაც ნობელის პრემია 1908 წელს მიანიჭა, ბორის თეორიას „მეცნიერებაში ოდესმე შექმნილი თეორიებიდან ყველაზე რევოლუციური“ უწოდა. **ალბერტ აინშტაინიც** ვერ მალავდა აღფრთოვანებას: „ეს ნამდვილი სასწაულია, აზროვნების უმაღლესი მუსიკალურობა“.

ნილს ბორი 37 წლის იყო, როცა ნობელის პრემია მიიღო და ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატის ტიტული დაიმსახურა.

1940 წელს დანიაში ცხოვრება სახიფათო შეიქნა — ქვეყანა გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს და ნილს ბორი შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ იმის გამო, რომ დედა ებრაელი ჰყავდა. 1943 წელს ნილს ბორი ვაჟთან ერთად ნავით გადაიყვანეს შვედეთში, იქიდან კი ჯერ ინგლისში წავიდნენ, შემდეგ — აშშ-ში, სადაც მამა-შვილი სხვა გვარ-სახელით ცხოვრობდა — **ნიკოლას** და **ჯიმ ბეიკერები.** აშშ-ში მეცნიერი ბომბის შექმნაში ჩაერთო.

**ნილს ბორის საფეხბურთო ისტორია სწრაფად დასრულდა — ფიზიკა აირჩია. თუმცა თავის უმცროს ძმა ჰარალდთან ერთად კლუბ „აკადემიკ ბკ“-ში მოასწრო თამაში. ჰარალდ ბორიც, რომელიც 1887 წლის 17 აპრილს დაიბადა, მეცნიერი იყო — მათემატიკოსი. ძმებს აახლოვებდათ არა მხოლოდ მეცნიერებებისადმი ინტერესი, არამედ ფეხბურთისადმი დიდი სიყვარული.**

როცა ნილსი და ჰარალდი დაიბადნენ, დანიაში ფეხბურთი ჯერ კიდევ არ იყო პოპულარული, მაგრამ მათი მამა, კრისტიანი, ერთ-ერთი იყო, ვინც კოპენჰაგენში ფეხბურთის პოპულარიზაციას ეწეოდა. მისი თანადგომით ტაგენსვეის ქუჩაზე აიგო სტადიონი. მამას ყოველთვის მიჰყავდა შვილები ფეხბურთის მატჩის საყურებლად.

გამელჰოლმის ლათინურ სკოლაში, რომელშიც ძმები სწავლობდნენ, გაკვეთილების ჩამონათვალში ფეხბურთიც შედიოდა. ნილსი და ჰარალდი კარგად თამაშობდნენ, მაგრამ, როგორც მათი თანატოლები ყვებოდნენ, ნილსი ყოველთვის ქმნიდა პრობლემებს. „ნილსი ისე ურტყამდა, რომ ბურთი ყოველთვის წყალში ვარდებოდა, — ყვებოდა **ააგე ბერლემი,** ნილს ბორის სკოლელი. — გვიწევდა წყალში შეტოპვა და ეს ქმნიდა სირთულეებს“. შესაძლოა, ამის გამო სკოლის მასწავლებელმა ნილსი კარში ჩააყენა. ამავე პოზიციაზე თამაშობდა ის, როცა კოპენჰაგენის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ჰარალდი განსაკუთრებული ინტელექტით გამოირჩეოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ის ნილსზე 2 წლით უმცროსი იყო, ძმასთან ერთად სწავლობდა. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ძმები საფეხბურთო სამოყვარულო კლუბ „აკადემიკ ბკ“-ში ჩაირიცხნენ (ეს კლუბი დღესაც არსებობს და დანიის მეორე დივიზიონში ასპარეზობს). „სამოყვარულო ფეხბურთის პერიოდშიც კი, როდესაც მოთამაშეთა უმრავლესობა დილით ძირითად სამსახურში მიდიოდა, ის, რასაც ძმები ბორები აკეთებდნენ, უნიკალური იყო, — ამბობდა **მაიკლ გიბონსი,** ერთ-ერთი ავტორი წიგნისა („Danish Dinamite“) დანიის ნაკრებზე. — **ადამიანები იშვიათად აღწევენ ასეთ ფიზიკურ და გონებრივ სრულყოფილებას. მათი შემთხვევა უნიკალურია“.**

16 წლის ჰარალდი სპორტში უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე მისი ძმა, რომელსაც სწავლა უფრო აინტერესებდა. ერთხელ გერმანული ქალაქის, მიტვაიდის, გუნდთან შეხვედრისას მეტოქემ შორიდან დაარტყა „აკადემიკ ბკ“-ს კარში, ნილსი კი ძელს იყო მიყრდნობილი ურეაქციოდ. „აკადემიკ ბკ“-ს ფეხბურთელები შოკში ჩავარდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ნილსმა ეს ეპიზოდი ასე გაიხსენა: **„მე მიყვარდა ფეხბურთი, მაგრამ მიყვარდა მათემატიკაც და ამ ორ სიყვარულს ზოგჯერ ვერ ვათავსებდი ერთმანეთთან. მახსოვს, მიტვაიდში როცა ვთამაშობდით, იდეა გამიჩნდა და შევეცადე, მყისვე ჩამეწერა, როგორც ტოლობა. ისე გამოვიდა, რომ ჩასაწერად ყველაზე მოსახერხებელი ადგილი კარის ძელი აღმოჩნდა და... ასე გავუშვი ბურთი“.**

გასაკვირი არ არის, რომ 1905 წელს ნილს ბორი ფეხბურთიდან წავიდა.

„ნილს ბორი — კაცობრიობის ერთ-ერთი ნათელი გონება — შესანიშნავი ფეხბურთელი იყო, — წერდა უნგრელი, სპორტის ჟურნალისტიკის კლასიკოსი **ლასლო ფელეკი,** — რეზერფორდი, რომელიც ბორის გვერდით მუშაობდა, მას ასე მიმართავდა: „მისტერ ფეხბურთელო“. მისი ერთ-ერთი ამხანაგი **გიორგი გამოვი** ამბობდა: „ნილსი თავის საფეხბურთო გამოცდილებას ალფა-ნაწილაკების შეჯახების შესასწავლად ჩატარებულ ცდებში იყენებდა“.

**ჰარალდი 1908 წელს ლონდონში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში დანიის საფეხბურთო ნაკრების ღირსებას იცავდა და ვარსკვლავად იქცა. ოლიმპიადაზე დანიამ ვერცხლის მედალი მოიპოვა. 1910 წელს, როცა ჰარალდი დისერტაციას იცავდა, მას ფეხბურთის მოყვარული უამრავი ადამიანი გულშემატკივრობდა (მოგვიანებით ჰარალდმაც მეცნიერება აირჩია).**

„ჰარალდი მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა და სწრაფი ფეხბურთელი იყო, მისი თამაში ძალიან სასიამოვნო საყურებელი იყო, — წერს ისტორიკოსი **ჰალე იორგენსენი** წიგნში „დანიის ნაკრების 2198 ფეხბურთელი — კრელბენიდან კრელდრუპამდე“. — მაყურებელს ძალიან მოსწონდა მისი თამაში. ის ძალიან პოპულარული იყო დანიაში“.

პირველ ოფიციალურ მატჩში საფრანგეთის მეორე ნაკრებთან, რომელშიც დანიელებმა გაიმარჯვეს, ჰარალდ ბორმა 2 ბურთი გაიტანა, ხოლო მეორე მატჩი საფრანგეთის ძირითად ნაკრებთან დანიელებმა 17:1 მოიგეს. ეს ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვებაა. დანიელები ფინალში დიდ ბრიტანეთთან დამარცხდნენ 0:2 და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

უმცროსმა ბორმა დანიის ეროვნულ ნაკრებში ბოლოს 1910-ში ითამაშა. მის ანგარიშზე სულ 4 მატჩია. რამდენიმე წლის შემდეგ ის კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

* * *

**პროგრამაში „ვის უნდა გახდეს მილიონერი“ მატიას პოლის წარუმატებლობის შემდეგ დიდი სკანდალი ატყდა, რადგან 500 ათას ევროდ ღირებულ კითხვაში ოთხივე კითხვა არასწორი იყო — რედაქტორებს ჰარალდ ბორი მის ძმაში, ნილს ბორში, აერიათ. ტელევიზიამ აღიარა შეცდომა და განაცხადა, რომ ამ კითხვის დასასმელად გამოყენებული იყო ბროკჰაუზის ენციკლოპედია — მთავარი გერმანული ცნობარი.**

**ტელეარხმა PTL-მა ჰოლს მეორე შანსი მისცა, მაგრამ ჟურნალისტმა ვერ უპასუხა კითხვას: „რას იყენებდნენ ადრე ფეხმძიმობის ტესტად?“ — (შარდს, ხორბლისა და ქერის მარცვლებს), და 125 ათას ევროს დასჯერდა.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


ჰარალდ და ნილს ბორები


ნილს ბორი და ალბერტ აინშტაინი


ნილს ბორი


პირველ რიგში მარცხნიდან პირველი ჰარალდ ბორი




# «მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების აზრები უკვდავებაზე» — ვიქტორ რცხილაძის ახალი თარგმანები

**ადამიანს, მათ შორის, არამორწმუნეს, ოდითგანვე აფიქრებდა სიკვდილისა და უკვდავების თემა, თუმცა უმრავლესობა ადამიანის ყოფის ამ მთავარ საკითხს არ ულრმავდება, გაურბის საეკლესიო მამების სწავლებათა კითხვას.**

**ვიქტორ რცხილაძე,** დიდი ხანია, ილვწის საიმისოდ, რომ თანამედროვე ადამიანი დაინტერესდეს რწმენის საკითხებით, ეძებოს გზა რწმენისკენ. ამ მიზნით იგი თარგმნის ახალი ეპოქის ავტორებს — ფილოსოფიისა და თეოლოგიის კორიფეებს, რომლებიც თანამედროვე ენით წერდნენ.

ამჯერადაც, გამომცემლობა Carpe diem-მა დასტამბა ვიქტორ რცხილაძის თარგმანების ახალი კრებული, რომელიც სწორედ უკვდავების საკითხებს შეეხება. კრებულს ასე ეწოდება: „მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების აზრები უკვდავებაზე“ და შედგება შემდეგი ავტორებისაგან: **რომანო გუარდინი, ვოლფჰარტ პანენბერგი, გეორგ ზიმელი, ანტონ ნოიჰოიზლერი და ნიკოლაი ლოსკი.**

კრებულის შეძენა შესაძლებელია თბილისში, რუსთაველის გამზირის 16 ნომერში, ასევე წიგნის მაღაზიებში: „პარნასი“, „ლატერნა“ და ილიას უნივერსიტეტის წიგნის სახლში.




# «რატომ დასცინით ადამიანებს?» — ლუკაშენკომ მთავრობის წევრებს კოვიდისტერიკის აღკვეთა მოსთხოვა



**ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური ვითარებისადმი მიძღვნილ თათბირზე, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ კოვიდისტერიკის აყოლისთვის და აკრძალვების შემოღებისთვის მკაცრად გააკრიტიკა ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები.**

„დიმიტრი ლეონიდოვიჩ (მიმართა დიმიტრი პინევიჩს — ბელარუსის რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრს — ლ.გ.), აქ დარბაზში ყველა ადამიანი ჯანმრთელია?

— დიახ.

— პრეზიდენტთან შეხვედრამდე თქვენ ისინი კარანტინში გყავდათ, „პი-სი-არ“ ტესტები გაუკეთეთ?

— არა.

— როგორ მოხდა, რომ სახელმწიფო მეთაურთან ასე მოხვედით, პრეზიდენტთან? ის ხომ ერთია ბელარუსში, და აქ დამსწრენი არ შეამოწმეთ? ეს რა დამოკიდებულებაა იმისადმი, რაშიც მე გამუდმებით მარწმუნებთ?! მე ამას ტყუილად არ გეკითხებით. თქვენ სწორად მოიქეცით, აქ მოსულთ ტესტირებები რომ არ ჩაუტარეთ, იმიტომ, რომ ჩვენთან ეს მიღებული არ არის, თუმცა, მთელ მსოფლიოში ადამიანები კარანტინის გავლის გარეშე პრეზიდენტთან არ შედიან. აღარ ვლაპარაკობ შემოწმებებზე. მე სპეციალურად დაგისვით ეს კითხვა იმისთვის, რომ დაგისვათ შემდეგი კითხვა — **თუკი თქვენ პრეზიდენტთან თავისუფლად შედიხართ, შემოწმებების, კარანტინებისა და ტესტების გარეშე, რატომ დასცინით ადამიანებს, რატომ აიძულებთ კარანტინებისა და ტესტების გავლას?** ჩემთან არასოდეს არავინ არ შემოსულა პირბადით. ვეკითხებოდი, — ვაქცინირებული ხარ-მეთქი და, პასუხი იყო არა, არც „პი-სი-არ“ ტესტი არ ჰქონიათ გაკეთებული; მხოლოდ **კოჩანოვა (ნატალია კოჩანოვა** — ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული საკრებულოს საბჭოს თავმჯდომარე — ლ. მ.) აღშფოთდებოდა ხოლმე, — როგორ შეიძლება ასე მისვლა პრეზიდენტთანო?! ახლაც აღშფოთებულია, მაგრამ თვითონ ჩემთან მოდის ტესტირების გარეშე. მაშინ რატომ ვაიძულებთ ადამიანებს?! რატომ ატეხეთ ხმაური ქვეყანაში, რატომ მოხდა მილიციის მობილიზაცია ნიღბების რეჟიმის შესამოწმებლად?... მინისტრი სად არის? **მე ხომ გაგაფრთხილეთ** (მიმართავს ბელარუსის შინაგან საქმეთა მინისტრს, **ივანე კუბრაკოვს** — ლ. მ.)? **თქვენ რა, საქმე არაფერი გაქვთ?... თქვენ ვის აჰყოლიხართ?!** თუ მკურნალობთ, უმკურნალეთ, როგორც საჭიროა. ატეხეს აურზაური მთელ ქვეყანაში! ვფიქრობ, ახლა გუბერნატორებიც გვისმენენ, თორემ, ბრესტში უკვე დაიწყეს დაჯარიმება და მკერდზე მუხლის მიბჯენით აიძულებენ მოქალაქეებს ვაქცინის გაკეთებას. ხომ გთხოვეთ, არ დაგეშვათ ეს!..“

**Youtube.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# მსოფლიოს უძლიერესი არმიების სარეიტინგო სიაში უცნაურობაა

**გამოქვეყნდა Global Fire Power-ის 2021 წლის უძლიერესი არმიების სარეიტინგო სია. პირველ სამ ადგილზე აშშ, რუსეთი და ჩინეთია, მეოთხეა ინდოეთი, რაც მოსალოდნელი იყო.**



მოულოდნელი და გასაკვირია იაპონიის ყოფნა მე-5 ადგილზე, რადგან მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ იაპონიას უფლება არ აქვს, ჰყავდეს არმია. ეს აკრძალულია ამ ქვეყნის კონსტიტუციითაც, რომელიც ამერიკელების დაწერილია. საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა იაპონია მსოფლიოში მეხუთე პოზიციაზე სამხედრო სიძლიერის მიხედვით. ეს იმიტომ ხომ არ მოხდა, რომ იაპონიაში ამერიკული სამხედრო ძალებია განლაგებული?

**cont.ws-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. ამ სიაში საქართველო 92-ე პოზიციაზეა 140 ქვეყანას შორის, ის უსწრებს სომხეთს (მე-100 პოზიცია) და ჩამორჩება აზერბაიჯანს ( 63-ე პოზიცია).**

**გ.გ.**

# ბაიდენმა «სტრატეგიულ მეგობარ» ტაივანს მხარდაჭერაზე უარი განუცხადა



**აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ჩინეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით მხარდაჭერაზე უარი განუცხადა თავის სატელიტ ტაივანს, რომელსაც ჩინეთი თავის საკუთრებად მიიჩნევს. ბაიდენმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინპინთან ონლაინ-საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომხრეა პრინციპისა „ერთი ჩინეთი“.**

# უკრაინელი მსახიობი: ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა



**„რუსეთი აქტიურად უჭერს მხარს და ავითარებს თავის კულტურულ მემკვიდრეობას, უკრაინა კი ძალადობასა და პრიმიტივიზმით სავსე შუასაუკუნეობრივ კოშმარში იძირება“, — განაცხადა YouTube-არხის Politwera-ს ეთერში უკრაინის კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ, მსახიობმა ლიუბოვ ტიტორენკომ.**

„შუასაუკუნეებში კი არა, ჩვენ უკვე ჯოჯოხეთში ვცხოვრობთ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“, — დასძინა მსახიობმა. ტიტორენკოს თქმით, რუსეთს უზრუნველყოფილი აქვს ხანგრძლივი არსებობა რუსული მემკვიდრეობის წყალობით, რომელიც დიდი სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობს. უკრაინაში კი წვავენ წიგნებს და ამ ფონზე ნოყიერ ნიადაგს ილებენ ნეონაცისტები, რომლებიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების წაქეზებით მოქმედებდნენ.

ამასთანავე, მსახიობმა დაიჩივლა, რომ ინტელიგენტებს შორის არ არის სოლიდარობა და მათ ეშინიათ აქტიურად გამოვიდნენ თავიანთი კულტურის დასაცავად, ნაციონალისტები და რადიკალები კი, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ, კარგად არიან ორგანიზებულნი.

**eadailly.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894